ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali-Taoba

28 მაისიდან
„ახალ თაობასთან“ ერთად
ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი
მე-2 ტომი
AFRB UF PთშმF Y თH შF L 2^KF HB



jhif,fsb7 @* vfbcb7 @)!@

1125 (5815)

afcb5 #) stshb

# ბიძინა ივანიშვილი: ამ ბრძოლას გამარჯვებამდე მივიყვან!“

გვ.4



## თბილისში არჩევნები უკვე ჩატარებულია“

გვ.5





მომდევნო აქცია ქუთაისში გაიმართება

## სახალხო კრება ქართული ოცნების“ აქციას შეუერთდა გვ.3



გვ.3 **ნუგზარ წიკლაური: ივანიშვილი ნაცრისფერი კერპია**



გვ.2 **დავით დარჩიაშვილი: ჩვენ დათმობას არ ვაპირებთ!“**



გვ.6 **პაატა ზაქარეიშვილი: ქუთაისის პარლამენტის შენობას საკონცერტო დარბაზად გადავაკეთებთ“**



გვ.3

**ლადო პაპავა: რკინიგზის გაყიდვის უფლება ხელისუფლებას ამერიკამ არ მისცა**



**შოთა მალაშხია: ივანიშვილს არჩევნებში მონაწილეობის მიღება არ სურს“** გვ.2



**სოსო ცისკარიშვილი: ამ ხელისუფლების ვაშინგტონს აღარ სჯერა“** გვ.6

23 მაისიდან
ვფ[ფკბ სფჯ,ფ4+
სალვადორ დალი
* კფჰბ




ISSN 1987-9385

**7** აფხაზეთისა და ცხინვალის დამოუკიდებლობის ყიდვას რუსეთი ახლა სერბეთისგან აპირებს

**2** მეუფე იაკობი: წინა საუკუნეში მსოფლიომ საქართველო, ფაქტობრივად, რუსეთის წინაშე მიატოვა

**4** რა იმედით მივიდა ხალხი ქართული ოცნების“ აქციაზე

**11** რუსეთი, სავარაუდოდ, დარიალზე“ უარს იტყვის

# შოთა მალაშხია: ივანიშვილს არჩევნებში მონაწილეობის მიღება არ სურს“

ქეთი ხომერიკი

**მოაწერს თუ არა პრეზიდენტი საკონსტიტუციო ცვლილებებს ხელს, ვის სურს არეულობა საქართველოში და ემზადებიან თუ არა არჩევნების გასაყალბებლად? „ახალ თაობას“ „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელი, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის დროებითი საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარე შოთა მალაშხია ესაუბრა.**

**შოთა მალაშხია:**

– კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ ივანიშვილს არ უნდა არჩევნებში მონაწილეობის მიღება. დიახ, ისინი არჩევნებისთვის არ ემზადებიან. მათ კარგად იციან თავიანთი რეიტინგები, შესაძლებლობები და ამიტომ მათი ძირითადი ფუნქციაა არეულობა საქართველოში, ანუ ისინი არჩევნების შემდგომი პერიოდისთვის უფრო ემზადებიან, ვიდრე არჩევნებისთვის იმიტომ, რომ მათი პროგრამა საარჩევნო, პრაქტიკულად, არ არსებობს და არსებობს მარტო ის, რომ რაღაც ხიდს ააფეთქებს, როგორც ასლან აბაშიძე აფეთქებდა, რომ საქართველოში ომი ჩვენ დავიწყეთ და ა.შ. ეს არის მათი მოქმედების არეალი და ეს არის მათი პროგრამა. ვიმეორებ, ეს პროგრამა ნიშნავს საქართველოში არეულობას, ამას ელოდება პუტინი, რა თქმა უნდა, რადგან ხედავს სერიოზული წარმატებებია საერთაშორისო დონეზე.

***– რა წარმატებები?***

– აი, მაგალითად, ჩიკაგოს სამიტზე საქართველო სამივე ფორმატში ღებულობდა მონაწილეობას, მეტი ფორმატი ჩიკაგოს სამიტზე არ ყოფილა. ჩიკაგოს სამიტზე საქართველო განიხილებოდა ასპირანტ ქვეყნებთან ერთად, ანუ კიდევ ერთხელ დაადასტურეს, რომ მაპის გარეშე შეიძლება საქართველო გახდეს ნატოს წევრი. ამავე სამიტზე ითქვა, რომ ეს არის ბოლო სამიტი, სადაც არ მოხდება ნატოს გაფართოება, ანუ მომავალში მოხდება ნატოს გაფართოება, ამიტომ ჩვენ გვინდა სტაბილური მდგომარეობა, გვინდა ის დემოკრატიული წინსვლა, რომელიც დღეს არსებობს, სხვათა შორის, ეს წინსვლა აღინიშნა კიდეც დეკლარაციაში, რომელიც მიიღო სამიტზე ნატომ და ეს წინსვლა, როდესაც იქნება, თუ აქ არ იქნება არეულობა, ცხადია, საქართველო გახდება ნატოს წევრი, აი, ამის ხელის შეშლა უნდა რუსეთს.

***– ფიქრობთ, კრემლს ახლა ყველაზე მეტად აწყობს არეულობა საქართველოში?***

– რა თქმა უნდა, გამოვიდა კიდეც რუსეთის საგარეო საქმეთა წარმომადგენელი გუშინ და გააკეთა ოფიციალური განცხადება – ჩიკაგოს სამიტზე არ იქნა სწორი გადაწყვეტილებები მიღებული, სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი არის დამოუკიდებელი სახელმწიფოებიო და ა.შ. ამაზე საკმაოდ გაღიზიანებულნი არიან.

***– და ივანიშვილმა როგორ უნდა მოაწყოს არეულობა ქვეყანაში?***

– არ ვიცი, ვერ გეტყვით, მაგათ ტვინში ჩემმა მტერმა ჩაიხედა, ეგ მაგათი პრობლემაა, მაგრამ მეორე არის, რომ ეს საკითხი მარტო ფულით არ წყდება და საქართველოში არ მოიძებნება იმდენი ადამიანი, რომ ფულის გამო გაყიდოს სახელმწიფო ინტერესები. ასეთი ხალხის რაოდენობა საკმაოდ მცირეა, ამიტომ არეულობა და პუტინის ოცნებები განუხორციელებელი რამ არის და კიდევ ბევრი ფაქტორი არსებობს იმის საწინააღმდეგოდ, რომ ეს პროცესები საქართველოში არ იქნეს აგორებული.

***– კუკავა-ბურჯანაძის დუეტმა თუ მესამე პოლიტიკური ცენტრი შექმნა, მათი მიზანიც სიტუაციის დაძაბვა იქნება ქვეყანაში? თუ ასეა, მაშინ ივანიშვილთან უნდა გაერთიანებულიყვნენ, არა?***

– აი, ეგ ფრთა საერთოდ არ მალავს თავის მიზნებს, ესენი კი შენიღბულად მოქმედებენ. მოვა ბრძანება მოსკოვიდან და იმ წუთში გაერთიანდებიან, პრობლემა არ არის, მიუხედავად იმისა, რომ ეს ადამიანები პიროვნულად ერთმანეთს ვერ იტანენ. მოვიდა ბრძანება გაერთიანდნენ, აი, ეს არის.

***– გამოდის, რუსეთი დღე და ღამე საქართველოზე ფიქრობს... ამის მართლა გჯერათ?***

– სხვა გზა არ აქვს. პუტინი დაბრუნდა,



პრინციპში არსად არ წასულა, მაგრამ მსოფლიოსთვის დაბრუნდა და მას უნდა საბჭოთა კავშირის აღდგენა. რაც, პირველ რიგში, ნიშნავს საქართველოში ხელისუფლების გამოცვლას, სხვანაირად მთელ ამიერკავკასიას ვერ გააკონტროლებენ, ეს ოცნება ჩაეშალა პუტინს, როდესაც ომი საქართველოში ვერ მოიგო. მისი მარიონეტების, ამ შემთხვევაში, ამ ოცნების პროცენტი კი, რიკო კრედიტიდან ,,თიბისი ბანკზე ჩამოვიდა და დაახლოებით მაგაზე დარჩებიან, თუ ცოტა კარგად მოიქცევიან, ის თიბისი ბანკი კიდევ 10 % ნახევარს ამატებს.

***– თქვენ რა იცით, ჯერ ხომ არ ჩატარებულა არჩევნები?***

– მე, სიტუაციას ვაფასებ, სიტუაციას მათი ,,საარჩევნო კამპანიიდან“ გამომდინარე. ნაკლებად მოიძებნება საქართველოში ადამიანი, რომელსაც ეტყვი, რომ ხო, ომი ჩვენ დავიწყეთ და მომეცი ხმა, ხო, ხიდები უნდა ავაფეთქოთ და მომეცი ხმა, ციხიდან უნდა გამოვიყვანოთ ხალხი, მილიციაში დავნიშნოთ და მომეცი ხმა და ა.შ. ამას ხმას არავინ მისცემს. ასეთებიც არიან, მაგრამ არა იმ პროცენტით, რომ სერიოზული შედეგი დადონ.

***– ისევ საკონსტიტუციო ცვლილებებზე უნდა გკითხოთ, მოაწერს პრეზიდენტი ხელს? ივანიშვილმა მოუწოდა, ვეტო დაადე და მოგმართავ ორმაგი მოქალაქეობის მისაღებადო...***

– თქვენ გახსოვთ, მე, წინა ინტერვიუს დროს გითხარით, არა შეჯდა მწყერი ხესაო, აიყვანეს და ძალით შესვესო, აი, ძალით შეჯდა ივანიშვილი. ვეუბნებით, არ გინდა არჩევნებში მონაწილეობა, კანონი არის ისეთი, რომ, აუცილებლად, უნდა მიიღო მონაწილეობა იმიტომ, რომ უნდა გამოჩენილიყო, რომ არ უნდა ამ ხალხს არჩევნებში მონაწილეობა. არის კანონი და ახლა, უკვე ახირების დონეზე არიან – სახელმწიფოსთან ახირებით საუბარი არის გამორიცხული, ის დრო დამთავრდა. შევარდნაძის დროს იყო ვიღაც აფრასიძე სვანეთში და ამბობდა, ფულს თუ არ მომცემ, ვესვრი ამ სადენებს ავტომატს, გადამიხადეთ ფული, რომ გქონდეთ შუქიო, შუქი მაინც არ იყო, მაგრამ მაინც კიდევ აფრასიძესთან იყო მოსალაპარაკებელი ერთი ავტომატის ჯერით მოხსნიდა შუქს, თუ არ მოხსნიდა, აი, ეს დრო დამთავრდა, სახელმწიფოში ვცხოვრობთ, მოქმედებს კანონები, ამ კანონებს უნდა დაემორჩილოს ნებისმიერი ადამიანი 5-ნახევარი მილიარდი აქვს შემოსავალი თუ 500 ლარი. პრეზიდენტი, რა თქმა უნდა, მოაწერს ხელს. და საერთოდაც, ეს ჩვენთვის თემა არ არის, აი, ჩემთვის არის თემა, როდესაც მივდივარ რაიონებში და ვიგებ რა უნდა ხალხს, ზუსტად იმ ამომრჩეველს, ვისთანაც კონტაქტში უნდა ვიყოთ. ზოგიერთი ადამიანი ითხოვს, აი, მაგალითად, გამრიცხველიანობა დაწყებულია, მაგრამ უნდათ, რომ დაამთავრონ, გზა არის ნახევრამდე მიყვანილი და უნდათ, რომ მივიყვანოთ ბოლომდე, ვილაცისთვის არის პრობლემა ის, რომ ხელფასი აქვს 25-ში და გადასახადები მოსდის 20-ში და ა.შ. უამრავი პრობლემაა, რომელიც ადგილზე არის გადასაწყვეტი და ამ პრობლემებს ადგილზე ვწყვეტთ.

***– უგვარებთ პრობლემებს?***

– რა თქმა უნდა, ასეთი პრობლემები გვარდება. აი, იგივე ჩხოროწყოში ამ გამრიცხველიანების საკითხი იყო და მოგვარდა. ნაწილი მოგვარების სტადიაშია და ვფიქრობ, რომ ეს საკითხები მოგვარდება. ამომრჩეველს სჭირდება კონკრეტული საქმეების მოგვარება, კონკრეტული შეპირებები და არა ოცნებებზე საუბარი.

***– აი, თქვენი ოპონენტის, ალასანიას კონკრეტული დაპირება – 220-ლარიანი პენსია. თქვენ კიდევ დაპირებული 100-დოლარიანი პენსიაც არ აღირსეთ ხალხს...***

– არა, ეს დაპირება არ არის, ეს არის ოცნებები. შეგვიძლია მივცეთ 1000-ლარიანი პენსიაც, მაგრამ.... მაგალითად, ამ თვალსაზრისით ჯონდი ბაღათურია გაცილებით შორს არის წასული და ის უფრო მეტ პენსიას ითხოვს, მაგრამ რომ მისცემ ამ დიდ პენსიას, რა იქნება, იცით? მაშინ კარტოფილს ვეღარ იყიდი იმ ლარად, მაშინ კარტოფილში უნდა გადაიხადო 5 ლარი და რა მნიშვნელობა აქვს, ბევრი ქაღალდი გეჭირება ხელში და ამის მიხედვით გადაიხდი თუ იმდენი, რაც გაქვს გარანტირებულად და იმდენს იყიდი, რაც არის. კი, პენსია უნდა გაიზარდოს, მაგრამ უნდა გაიზარდოს ეკონომიკის ზრდის მიხედვით, მაგრამ რისი მოწესრიგება შეგვიძლია, იცით, იმის, რომ პენსიონერს, ან პატარა ბავშვს რაღაც ავადმყოფობა, რომ დაემართება, რაც ოჯახისთვის კატასტროფაა, აი, ეს კატასტროფა რომ გამოსწორდეს, ამისთვის ყველა პენსიონერი დაზღვეული იქნება სექტემბრიდან.

***– რატომ სექტემბრიდან და არა ხვალიდან? ესეც არჩევნებზეა გათვლილი, არა?***

– ესეც ბიუჯეტიდან არის განსაზღვრული, ანუ ბიუჯეტში არის ზრდა. და რომ ყოფილიყო მაისიდან, იტყოდნენ, რატომ მაისიდანო. გარდა ამისა, ყველა რაიონში გაკეთდა საავადმყოფოები, რომლებიც არის ევროპული დონის.

***– სადაც აპარატურა ჩამოტარებით დააქვთ, ასე ამბობენ...***

– მე ვარ ექიმი და ზუსტად გეტყვით – ის აპარატურა რომ მოხსნა და ერთი ადგილიდან წაიღო მეორეში, დაამონტაჟო, უფრო ძვირი დაჯდება, ვიდრე რომ იყიდო, ამიტომ აზრი არ აქვს ამის გაკეთებას.

***– დაბოლოს, ევროკავშირის მოქალაქეებს ხმის მიცემის უფლება ექნებათ, არ ფიქრობთ, რომ ეს უკონტროლო ხმების შემოდინებას განაპირობებს საარჩევნოდ?***

– იმდენი ადამიანი არ არის გასული საზღვარგარეთ, მით უმეტეს, ევროპულ ქვეყნებში, რომ ეს ასე მოხდეს და ჯერ ერთი, ამ ადამიანებს უნდა ჰქონდეთ უფლება, რომ მიიღონ არჩევნებში მონაწილეობა. ჩვენ უნდა ვიფიქროთ ამ მიმართულებით კიდევ როგორ შეიძლება ამის დახვეწა, რადგან ჩვენ გვინდა, ვიყოთ ევროკავშირის წევრი სახელმწიფო.

***– ეს ხმები როგორ გაკონტროლდება?***

– ცხადია, გაკონტროლდება... გახსოვთ, ალბათ, როდესაც გავხსენით ჩრდილო- კავკასიელებისთვის საზღვარი, ატყდა ერთი ვაი-ვიშვიში, აი, დავიღუპეთ, შემოვლენ ტერორისტები და ა.შ. არაფერი არ მოხდა ამ მიმართულებით, მაგრამ მოხდა ის, რომ ჩრდილო კავკასიაში საქართველოს ავტორიტეტი გაიზარდა. ამ სისტემამ კარგად რომ იმუშავა, მთელი რუსეთისთვის გაიხსნა საზღვარი, ჩამოდის ახლა ის ხალხი, ფულს ხარჯავს, მიდის, ინფორმაცია მიაქვს-მოაქვს, უყვება თავის მეგობრებს, რომ აქ არავინ კაცს არ ჭამს და ა.შ. მუდმივად არსებობს ასეთი რამ – რამეს გააკეთებ და ატყდება ერთი გნიასი, რომ ეს ისეა და სინამდვილეში გამოჩნდება, რომ ყველაფერი კარგადაა, მერე ეს ავიწყდებათ, რომ ამაზე ცუდს ლაპარაკობდნენ და ა.შ.

***– ირწმუნებით, რომ არჩევნების გასაყალბებლად არ ემზადებით? მერაბიშვილმაც არ დაავალა პედაგოგებს ხმების მიცემა საარჩევნოდ?***

– რა ვიცი, ახლა ყველა რეიტინგებით წინ ვართ და... მითხარით, 6 თვით ადრე მერაბიშვილი რატომ უნდა ხვდებოდეს პედაგოგებს და ეუბნებოდეს, 6 თვის მერე მომეცით ხმაო? ყველას უნდა ჰქონდეს უფლება, რომ შეხვდეს, ვისაც უნდა, როგორც უნდა და სადაც უნდა, მაგრამ არ უნდა მოხდეს კანონის დარღვევა. სადმე ერთი კანონი მაჩვენეთ, რომელიც მერაბიშვილს უკრძალავს, მაგალითად, პედაგოგებთან შეხვედრას, დედამისია პედაგოგი, სხვათა შორის. რაც შეეხება გაყალბებას, არაფერში არ გვჭირდება. ჩვენ გვინდა ვიყოთ ნატოს წევრი, ევროკავშირის წევრი, გვინდა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, დეოკუპაცია, ამისთვის გვჭირდება ნორმალური განვითარება, საკმაოდ მოტივირებული ვართ, რომ ეს პროცესი ბოლომდე მივიყვანოთ, ამას სჭირდება ნორმალური არჩევნების ჩატარება, აი, კანონიც მივიღეთ იმისთვის, რომ მიეღო ამ ადამიანს არჩევნებში მონაწილეობა და ახლა ლაპარაკობს, არ მინდა არჩევნებში მონაწილეობის მიღებაო.

## დავით დარჩიაშვილი: ჩვენ დათმობას არ ვაპირებთ!“

მმართველი გუნდის წარმომადგენელი, პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე დავით დარჩიაშვილი მიიჩნევს, რომ კოალიცია „ქართული ოცნების“ გუშინდელი აქციის მასშტაბები მხოლოდ ჩვეულებრივი სტატისტიკაა.



„როგორც მითხრეს, აქციაზე ხალხმრავლობა იყო და ასეც იყო მოსალოდნელი. 20%-მდე მხარდამჭერის არსებობა ქმნის იმის საფუძველს, რომ აქციებზე რამდენიმე ათეული ათასი ადამიანი შეკრიბო. ეს ჩვეულებრივი სტატისტიკაა და ამ 20%-ს არც აკლდება და არც ემატება“ – განაცხადა დარჩიაშვილმა.

ამასთანავე, მან ხაზი გაუსვა, რომ მმართველი ძალა დათმობას არ აპირებს და გამარჯვებისთვის იბრძოლებს.

„ლეგიტიმური, კანონიერი გზების გათვალისწინებით არაფრის დათმობას არ ვაპირებთ“ – აღნიშნა დეპუტატმა.

მისი თქმით, მათ ოპონენტებს გააჩნიათ მოხლოდ ქვეყნის მოდერნიზაციისა და განვითარების ილუზია, ხოლო ხელისუფლებას რეალური გეგმა.

სხვადასხვა მონაცემებით, კოალიციის დღევანდელ აქციაზე 100-დან 150-დე ათასი ადამიანი ესწრებოდა.

**ნიუსპრესი**

## მეუფე იაკობი: წინა საუკუნეში მსოფლიომ საქართველო, ფაქტობრივად, რუსეთის წინაშე მიატოვა

გუშინდელ საკვირაო წირვაზე სამების საპატრიარქო ტაძარში

გარდაბნისა და მარტყოფის ეპისკოპოსმა მეუფე იაკობმა იქადაგა.

მისი თქმით, საქართველო წინა საუკუნეშიც და ამ საუკუნეშიც დიდი გამოწვევების წინაშე იყო და მას მსოფლიო თანამეგობრობისაგან სხვაგვარი დახმარება სჭირდება და სხვა დახმარებას სთავაზობენ.

როგორც მან აღნიშნა, წინა საუკუნეში მსოფლიომ საქართველო, ფაქტობრივად, რუსეთის წინაშე მიატოვა.

,,80-იანი წლების ბოლოს, როდესაც ერებმა დამოუკიდებლად განვითარების გზა აირჩიეს, ჩვენ ვფიქრობდით, რომ მსოფლიო თანამეგობრობის ღირსეული წევრები გავხდებოდით. ჩვენ ვითხოვდით მსოფლიოსგან, რომ დაგვხმარებოდა, დავეცავით საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთის აგრესიისაგან. როდესაც რუსეთს არ ეცალა ჩვენთვის, შეიძლებოდა, რომ რომელიმე გაერთიანებაში მივეღეთ, მაგალითად ნატოში ან ევროკავშირში და ამით საქართველოს ტერიტორიული რღვევა აღარ მოხდებოდა“, – აღნიშნა მეუფემ იაკობმა და თბილისში სექსუალური უმცირესობის მიერ გამართული აქცია გაიხსენა.

როგორც მან აღნიშნა, დასავლეთმა ქართული საზოგადოება სექსუალური უმცირესობების უფლებების დარღვევის გამო გააკრიტიკა. მეუფის აზრით, უზნეობა ნებისმიერი რელიგიისთვის მიუღებელია და თავისუფლების გზა მამათმავლობაზე არ გადის.

,,ჩვენ სულ სხვა დახმარება გვინდოდა და სულ სხვა დახმარებას გვთავაზობენ. ჩვენი თავისუფლების გზა არ გადის მამათმავლობაზე. საიდან მოიტანეს, რომ საქართველოს განვითარება გადის ამ უმსგავსობაზე?! ეს არის ცოდვა. ასეთი ადამიანები თუ არსებობენ, საზოგადოება მათ არ ჩაგრავს, მაგრამ ამის აფიშირება დაუშვებელია. თუ უცხოეთს დახმარება უნდა, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში დაგვეხმაროს და მარტო მწუხარების გამოხატვით არ შემოიფარგლოს“, – დასძინა მეუფე იაკობმა.

**მედიანიუსი**

ახალი თაობა
ლფვაეყტ,კტ,ბ5 ყბყჯ ,ფრეჰფტ7 პეჰფ, ,ტჰბტ7 ცჯცჯ უჯუბყფიდბკბ
ვსფდფჰბ ჰტლფმნჯჰბ 2 ცჯცჯ უჯუბყფიდბკბ
ჰტლფმნჯჰბ 2 კფკბ ფცკფყბიდბკბ
ჰტლფმნჯჰბც ვჯფლუბკტ 2 იჯჰტყფ ვფჰცფუბიდბკბ
ლჯყცკნფყნტ,ბ
ცფჰტრკფვჯ ცფვცფეჰბ 2 -(-)-
ვბცფვფჰსბ5 მ8 ს,ბკბცბ7 X,I ჩ 8 1)7 ვტ-№ ცფჰსკბ8
ნტკტაჯყბაფმცბ 2(-)-(!
დტ,-უდტჰლბ www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
უფპტსბ
უფპჯლნც
!((№ ოკბც
№ ბდკბცბლფყ
ლორფ,ფლჯსტ,ფ 2 ბყუფ ლდფკბიდბკბ7 ყჯყფ რუყლტკორ7 ვბიფ მჯმთფიდბკბ

## პაატა ლ დავითაიას იმედი აქვს



დისაპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი პაპუნა დავითაია ფიქრობს, რომ „სერბეთი აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას არ აღიარებს''.

„ამაზე საუბარი ნაადრევია. სერბეთი დემოკრატიული ქვეყანაა და არ ვფიქრობ, რომ ამ გადაწყვეტილებას მიიღებს'', – განაცხადა დავითაიამ.

შეგახსენებთ, რომ სერბეთმა შესაძლოა, აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების საკითხი განიხილოს.

ამის შესახებ „ეხო მოსკვისთვის" მიცემულ ინტერვიუში სერბეთის პრეზიდენტმა ტომისლავ ნიკოლიჩმა განაცხადა.

**პირველი**

## ნუგზარ წიკლაური: ივანიშვილი ნაცრისფერი კერპია

ბიძინა ივანიშვილი საბჭოთა ნაცრისფერი კერპია, – ეს განცხადება საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა ნუგზარ წიკლაურმა „ინტერპრესნიუსთან" „ქართული ოცნების" დღევანდელი აქციის შეფასებისას გააკეთა.



„რაც შეეხება თვითონ აქციას, გარდა რეტროგრადული და დრომოჭმული აზრებისა, მე იქ არაფერი მომისმენია. თვითონ ბიძინა ივანიშვილი, ახლა უკვე ღრმად მწამს ამის, არის საბჭოთა ნასცრისფერი კერპი. მისი მხრიდან საუბარი 9 აპრილზე, არის ცინიზმის მწვერვალი, რადგან ყველამ ძალიან კარგად იცის, რომ სწორედ ბიძინა ივანიშვილი იყო 9 აპრილის ჯალათის, ლებედის უშუალო დამფინანსებელი. რაც შეეხება აქციას – ეს არის ჩვენი ხალხის უფლება, გამოვიდეს და გამოთქვას თავისი მოსაზრებები. ხოლო იმას, თუ როგორი მმართველობა იქნება საქართველოში, გადაწყვეტს მთლიანად ქართველი ხალხი ოქტომბრის არჩევნებში. მე ღრმად მწამს, რომ საბჭოთა კავშირი არასოდეს დაბრუნდება და ოქტომბერში ქართველი ხალხი დაასრულებს ამ რუსულ ოცნებას, პარტკომების ოცნებას, რომ კიდევ ერთხელ მოვიდნენ საქართველოს სათავეში", – განაცხადა ნუგზარ წიკლაურმა.

**ინტერპრესნიუსი**

## სახალხო კრება ქართული ოცნების" აქციას შეუერთდა

სახალხო კრება ქართული ოცნების აქციას სრული შემადგენლობით შეუერთდა.ამის შესახებ „სახალხო კრების" აღმასრულებელი საბჭოს მიერ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამი.

„სახალხო კრება" ყოველთვის იყო და რჩება მის მიერ დეკლარირებული პრინციპების ერთგული. ჩვენ არაერთგზის განგვიცხადებია, რომ დღეს არ არის ოპოზიციურ ძალებს შორის პაექრობის დრო, დღეს ქვეყანაა გადასარჩენი. ამისათვის ყველა რეალურად ოპოზიციურმა პოლიტიკურმა ძალამ საკუთარი პოლიტიკური ამბიციები გვერდზე უნდა გადადოს და მიუხედავად მათი განწყობისა და პოლიტიკური შეხედულებებისა, ხალხის მოთხოვნას უნდა დაემორჩილონ – იყვნენ ერთმანეთისადმი სოლიდარულნი, იმოქმედონ კოორდინირებულად და შეთანხმებულად, რათა მიაღწიონ აუცილებელ წარმატებას არსებულ რეჟიმთან ბრძოლაში. ეს ეხება როგორც „სახალხო კრებაში" შემავალ პოლიტიკურ პარტიებს, ასევე ყველა სხვა რეალურად ოპოზიციურ ძალას. „სახალხო კრებას" დაარსების დღიდან არც ერთი პოლიტიკური პროცესისათვის არათუ ხელი არ შეუშლია, არამედ ყოველთვის რეჟიმთან რეალურად მებრძოლთათვის ხელის შეწყობასა და დახმარებას ცდილობდა. აქედან გამომდინარე, „სახალხო კრების" აღმასრულებელმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ სოლიდარობის და თანადგომის მიზნით, 2012 წლის 27 მაისს დაგეგმილ აქციაზე მივიდეს. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული აქცია ეკუთვნის საქართველოს თითოეულ მოქალაქეს და აქციის ამოცანაა არსებულ ხელისუფლებას დავანახოთ, რომ ვდგევართ ერთად და რეჟიმს ვეუბნებით – არა! „სახალხო კრება" არის და ყოველთვის იქნება იქ, სადაც ხალხია'', – ნათქვამია „სახალხო კრების" განცხადებაში.

**პირველი**

## ქუთაისში 2 ავტომანქანა დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, „ქუთაისში, გელათის ქუჩაზე საგზაო წესების დარღვევით მოძრავი ორი ავტომანქანა დააკავეს".

ამის შესახებ სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი.

„ქუთაისში, საპატრულო პოლიციის მიერ გაჩერებულ იქნა გელათის ქუჩაზე საგზაო მოძრაობის წესების დარღვევით მოძრავი ორი ავტომანქანა. პატრულ ინსპექტორის მიერ საჯარიმო ქვითრის გამოწერის დროს, ავტომანქანაში მსხდომმა პირებმა პოლიციის თანამშრომელს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს, მის კანონიერ მოთხოვნას არ დაემორჩილნენ და წინააღმდეგობა გაუწიეს. რის საფუძველზე აღნიშნულ ავტომანქანაში მსხდომი პირების დაკავება მოხდა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლომ, საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლის საფუძველზე, დავით ახრახაძე, რევაზ კაკაბაძე, გოჩა ბაძგარაძე, ირაკლი ბერაია, ნუგზარ მოდებაძე, ლია გამრეკელი და მაია მახაშვილი ოთხას-ოთხასი ლარით დააჯარიმა, ირაკლი დუნდუას კი ოთხი დღით პატიმრობა მიუსაჯა, ირაკლი ჩანტლაძეს და მანუჩარ ახვლედიანს ხუთი დღის ვადით პატიმრობა მიუსაჯა", – აღნიშნულია განცხადებაში.

**პირველი**

# ლადო პაპავა: რკინიგზის გაყიდვის უფლება ხელისუფლებას ამერიკამ არ მისცა

**ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ლადო პაპავა ფიქრობს, რომ ბიძინა ივანიშვილმა კუთხეში მოიმწყვდია სააკაშვილი და მას თავის ჭკუაზე ატრიალებს. ლადო პაპავას თქმით, ივანიშვილი დღეს შეტევაზეა გადასული და ნაციონალებს სააკაშვილის მეთაურობით უხდებათ დაცვაში ყოფნა.**

**რა ეშლება შს მინისტრ ვანო მერაბიშვილს, რეალურად, რა მიზეზით გადაიდო „საქართველოს რკინიგზის" 25%-ის გასხვისება და ვის სურს „თელასის" ყიდვა? – ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს პროფესორ ლადო პაპავასთან.**



შორენა კოწოწაშვილი

***– ბატონო ლადო, რას იტყვით შექმნილ პოლიტიკურ ფონზე და რა მდგომარეობაშია ხელისუფლება „ქართული ოცნების" მხრიდან საარჩევნო კამპანიის დაწყების დროისთვის?***

– ქვეყანაში გარკვეული კონტურები უკვე იკვეთება. იკვეთება თუნდაც ის, რომ მომავალ არჩევნებში სულ ცოტა 4-5 საარჩევნო სუბიექტი იქნება. მაგრამ ამ სუბიექტებიდან რეალური ძალა სამ სუბიექტს ექნება. რა თქმა უნდა, ხელისუფლება ადმინისტრაციულ რესურსს გამოიყენებს და ამიტომ ნაციონალური მოძრაობა ანგარიშგასაწევი ძალა იქნება – არა იმდენად იმიტომ, რომ ხალხს უყვარს, არამედ უფრო იმიტომ, რომ ადმინისტრაციული რესურსი მის მხარესაა. სერიოზული ძალა, რომელიც ხალხში დიდ სიმპათიას იმსახურებს, ეს არის „ქართული ოცნება", რომელიც ყალიბდება პროდასავლურ-პროქართულ პოლიტიკურ გაერთიანებად, რადგან აქ ასეთი ძალებია თავმოყრილი. იკვეთება მესამე სუბიექტი, რომელიც ასევე გაერთიანდება. ეს იქნება ქ-ნი ნინო ბურჯანაძის გარშემო, რომელიც უფრო აღქმული იქნება, როგორც პრორუსული. ალბათ არავისთან არ გაერთიანდება შალვა ნათელაშვილი, თუმცა ამ ეტაპზე ძალიან საეჭვოა, რომ ლეიბორისტულმა პარტიამ ბარიერი გადალახოს: ლეიბორისტებს სერიოზული შეცდომები აქვთ დაშვებული... ხოლო რაც შეეხება „ქრისტიან-დემოკრატებს", არ არის გამორიცხული, რომ მათაც შექმნან ბლოკი მემარჯვენეებთან და „ეროვნულ-დემოკრატებთან" ერთად. დღევანდელ ვითარებაში „ქრისტიან-დემოკრატები" ჯერ კიდევ რჩებიან ანგარიშგასაწევ ძალად, თუმცა, სავარაუდოდ, მათი პოპულარობა ხალხში თანდათანობით დაქვეითდება. თქმული არ ნიშნავს, რომ სხვა პარტიები არ მიიღებენ არჩევნებში მონაწილეობას. თუმცა, დიდი ალბათობით, ერთ პროცენტზე მეტს ვერ მიიღებენ. აი, ამ ვითარებაში იმყოფება დღეს ქვეყანა. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ერთი მომენტიც, რომელიც მოითხოვს შეფასებას: როგორ ეთამაშება „კატა-თაგვობანას" ბიძინა ივანიშვილი მთელ ნაციონალურ მოძრაობას.

***– ბიძინა ივანიშვილის მიერ სააკაშვილის სახელზე გაკეთებული ღია განცხადების შემდეგ ექსპერტების ნაწილი ფიქრობს, რომ დღეს თამაშის წესებს უკვე ბიძინა ივანიშვილი კარნახობს პრეზიდენტს. ასეა?***

– ბიძინა ივანიშვილი მართლაც საკმაოდ სერიოზული პოლიტიკური მოთამაშე აღმოჩნდა; იმაზე უფრო სერიოზული, ვიდრე ეს ან ნაციონალურ მოძრაობას წარმოედგინა, ან მთლიანად ქართველ საზოგადოებას. ივანიშვილს ხალხი არ იცნობდა. იცნობდა მის ქველმოქმედებას, რომელიც დიდად გაპიარებული არ იყო. ამ რამდენიმე თვეში ივანიშვილმა იმდენი საინტერესო ნაბიჯი გადადგა, ხანდახან ურთიერთგამომრიცხავიც, რომელიც ერთი შეხედვით, თითქოს არ უნდა გადაედგა, მაგრამ დღევანდელი გადასახედიდან მტკიცდება, რომ ის პრაქტიკულად „კატათაგვობანას" ეთამაშება სააკაშვილს. და ერთი საინტერესო რამ, რაც ახალია თვისობრივად ქართულ პოლიტიკაში – ზნეობრიობა პოლიტიკაში. პრაქტიკულად 1989 წლიდან დაწყებული პოლიტიკაში მკვიდრდებოდა უზნეობა. მიუხედავად იმისა, რომ დამოუკიდებლობის მოპოვება იყო ძალიან მაღალი ზნეობრივი აქტი, იქაც გამოიკვეთა უზნეობის კომპონენტები ქართულ პოლიტიკაში. უზნეობა იყო დამახასიათებელი შევარდნაძის ხელისუფლებისთვისაც, დამახასიათებელია სააკაშვილის მმართველობისთვისაც. წარმოიდგინეთ, მოდის პოლიტიკაში კაცი, რომელიც იძახის, რომ ყველანაირი გზით არ მინდა ხელისუფლებაში მოვიდე. მე მინდა მოვიდე ზნეობრივი გზით. შეურაცხყოფაა საქართველოსი ის, რაც გაუკეთეს კონსტიტუციას, სადაც ჩაწერეს, რომ თურმე ქვეყნის მმართველი შეიძლება იყოს ადამიანი, რომელიც არ არის საქართველოს მოქალაქე. მარტივი კითხვები ისმის, თუ საქართველოს პირველი პირი არ არის საქართველოს მოქალაქე და უღალატა საქართველოს, თუ მოქალაქე არ არის, რას ნიშნავს ღალატი? ვთქვათ, უღალატა იმ ქვეყანას, რომლის მოქალაქეც არის, მაშინ იმ ქვეყნის სასამართლოს უნდა გადავცეთ ჩვენი ქვეყნის პირველი პირი? წარმოიდგინეთ, რა კურიოზული ჩანაწერია. ანდა, რატომ ევროკავშირის მოქალაქე და არა ამერიკის ან ისრაელის? ასე რომ, ეს კონსტიტუციური ცვლილება საქართველოს შეურაცხყოფაა. ვფიქრობ, უაზრობაა მათთან დისკუსიაში შესვლა, ვინც ცდილობს, ეს საკონსტიტუციო ცვლილება გაამართლოს. თუ ადამიანი ვერ ხვდება, რომ შეურაცხყოფა მიაყენა სრულიად საქართველოს, მასთან დისკუსიაში არ უნდა შეხვიდე. ეს ამორალური პიროვნებაა, ან იმდენად გაბრიყვებულია, რომ ვერ ხვდება, რა გააკეთა. ბევრისთვის მოულოდნელი იყო ივანიშვილის ეს ბოლო გადაწყვეტილება, რომ ამორალური გზით მას არ უნდა პოლიტიკაში მოსვლა. ამ თვალსაზრისით, მან კიდევ ერთხელ კუთხეში ჩააყენა სააკაშვილი. ივანიშვილი დღეს შეტევაზეა გადასული და ნაციონალებს სააკაშვილის მეთაურობით უხდებათ დაცვაში ყოფნა. თანაც ძალიან პრიმიტიულ დაცვაში, შეცდომას შეცდომაზე უშვებენ. ასეთ ვითარებაში, რა თქმა უნდა, უპირატესობა აქვს ივანიშვილს. ბოლო ბოლო, მთავარი ის კი არ არის ივანიშვილი, როგორც საქართველოს მოქალაქე, მიიღებს თუ არა არჩევნებში მონაწილეობას. ივანიშვილი თავისი ქმედებებით აჩვენებს, რამდენად გაკოტრებულია ნაციონალური მოძრაობა.

***– შეგვიძლია ვთქვათ, რომ ივანიშვილი სააკაშვილს უკვე თავის ჭკუაზე ატრიალებს?***

– კი, ასე გამოდის. ივანიშვილი აშკარად გამოკვეთილი „კატის" როლშია, რომელიც ნაციონალ „თაგუნიებს" ეთამაშება.

***– რას იტყვით სააკაშვილის დღევანდელ მდგომარეობაზე? დაკარგა თუ არა მან სრულად დასავლეთის მხარდაჭერა?***

– სააკაშვილმა თავისი თავი ყველაზე კარგად აჩვენა მახათას მთაზე. ეს არის ფოტო, რომელიც ყველაზე კარგად ახასიათებს მას. კარგად აჩვენა თავისი თავი სააკაშვილმა თელავში, როდესაც სიტყვით გამოდიოდა და ლამის ტრიბუნა დაამტვრია. სამწუხაროდ, ჩვენ ქვეყანას ჰყავს პრეზიდენტი, რომელიც არაადეკვატური პიროვნებაა. თუმცა სააკაშვილი არ არის სუსტი პიროვნება. ის თავის თავს თვითონ ამარცხებს თავისი სულელური ქმედებებით. სააკაშვილს ყოველთვის მისთვის სასურველ აუდიტორიასთან ჰქონდა გამოსვლები, მაგრამ პრისტონის უნივერსიტეტში მოხდა ის, რაც სულაც არ იყო დაგეგმილი. იქ აღმოჩნდა ქართველი ემიგრანტი გიორგი სუგუა, რომელმაც ჩვეულებრივი კითხვები დაუსვა სააკაშვილს, რომლებიც თითოეულ ჩვენგანს აღელვებს. სააკაშვილი მწყობრიდან გამოვიდა, შეურაცხყოფა მიაყენა და კითხვას პასუხი არ გასცა. რაც მთავარია, ეს დაინახეს ამერიკელებმა, თორემ ჩვენ ისედაც კარგად დავინახეთ პარლამენტში ჯონდი ბაღათურიასთან სააკაშვილის ქცევა. სააკაშვილი უკვე პრაქტიკულად დევალვირებადი, გაუფასურებადი პოლიტიკური ფიგურაა. ეს საქართველოსთვის ამ ეტაპზე სულაც არ არის კარგი. მაგრამ ამას საქართველოს მომავლისთვის პოზიტიური მნიშვნელობა აქვს, რადგან ეს რეჟიმი კოტრდება.

***– ანუ საგარეო მხარდაჭერა სააკაშვილმა სრულად დაკარგა? რუსეთმაც შეიძლება გადახედოს სააკაშვილთან დამოკიდებულებას?***

– ამ ეტაპზე სააკაშვილს მხარდაჭერა ჯერ კიდევ აქვს. ჩემი აზრით, პუტინისთვის ის ძალიან კარგი ვარიანტია საქართველოს ხელისუფლებაში დარჩეს. ეს პუტინს აძლევს საშუალებას კონტაქტში არ შევიდეს საქართველოს ხელისუფლებასთან და არც არავითარ დათმობაზე არ წავიდეს, რაც უნდა, ის აკეთოს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში. მხედველობაში მაქვს სამხედრო ბაზების გაძლიერება. სააკაშვილს დასავლეთის მხარდაჭერაც აქვს, მან კარგად ითამაშა ორი მიმართულებით: ერთი, ავღანეთის სამშვიდობო ოპერაციაში ქართველი ჯარისკაცები გაგზავნა, რითაც მონუსხა ნატო და მეორე, ცდილობს მაქსიმალურად გამოიყენოს ის კონფლიქტი, რომელიც არსებობს ამერიკასა და ირანს შორის თავის სასარგებლოდ. თანაც 2012 წელს ამერიკელებს ჩვენთვის არ სცალიათ იმიტომ, რომ შიგა პრობლემები აქვთ. ნუ დაგვავიწყდება, რომ სააკაშვილი პრემიერი უნდა გახდეს 2013 წლის შემოდგომაზე. მაშინ კი ამერიკას ჩვენთვის შესანიშნავადაც ეცლება. ამერიკელებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ორ ვადას ხელისუფლებაში. ეს მათთვის დაუწერელი კანონია. თუ სააკაშვილი მაინც მოახერხებს პრემიერობას, ფაქტობრივად, ამერიკა მას ზურგს შეაქცევს. ამ თვალსაზრისით შეიძლება ვიფიქროთ, რომ ახალი ფურცლის დაწერის დრო დადგა ამერიკა-რუსეთის ურთიერთობაში.

***– რადგან ბურჯანაძის ფრთა უფრო პრორუსულად აღიქმება, საპარლამენტო არჩევნებში, თქვენი აზრით, მას უფრო დიდი მხარდაჭერა ექნება რუსეთიდან, ვიდრე სააკაშვილს და ნაციონალურ მოძრაობას?***

– არა, მე ასე მარტივად არ ვუყურებ ამ საქმეს. არა მგონია, მოსკოვს ჩამოყალიბებული პოზიცია ჰქონდეს, რომ ბურჯანაძე ურჩევნია სააკაშვილს. სააკაშვილის მისთვის ყველაზე კომფორტული ვარიანტია იმიტომ, რომ მის დროს განახორციელა ეკონომიკური ექსპანსია და სამხედრო თვალსაზრისით რაც უნდა, იმას აკეთებს. სააკაშვილმა მოსკოვს კომფორტული გარემო შეუქმნა, მაგრამ მოსკოვი უყურებს აგრეთვე საერთაშორისო განვითარების ტენდენციებს. მოსკოვი ვაშინგტონიდან დამოუკიდებლად ვერ ჩამოყალიბდება საქართველოს მომავალი ლიდერის შესახებ. ჩემი აზრით, არა მგონია ქ-ნი ნინო ბურჯანაძე დღეს ვაშინგტონის გემოვნებას აკმაყოფილებდეს.

***– ბატონო ლადო, რას იტყვით „საქართველოს რკინიგზის" 25%-ის ჯერ ლონდონის ბირჟაზე გამოტანის გადაწყვეტილებაზე და შემდეგ პრემიერ ნიკა გილაურის მხრიდან უკან დახევაზე? ფაქტია, გილაურმა დროებით გადადო რკინიგზის ლონდონის ბირჟაზე გამოტანა.***

– ხელისუფლებას სჭირდება ფული, დავიწყოთ აქედან. ამ ხელისუფლებას ამოძრავებს არა ქვეყნის ინტერესები, არამედ ხელისუფლების შენარჩუნება. რკინიგზა არის ჩვენი სტრატეგიული ობიექტი, ეს არის ის ობიექტი, რომელიც უზრუნველყოფს საერთაშორისო ეკონომიკურ ფუნქციას – სატრანზიტო გადაზიდვებს. თანაც ცნობილია, რომ რუსეთის რკინიგზა ფლობს სომხეთის რკინიგზას და მის ბაზაზე შექმნა ახალი კომპანია ,,სამხრეთ კავკასიის რკინიგზა". ფაქტია, სომხური მონაკვეთი არ ფარავს მთლიანად კავკასიის რკინიგზას. ამით რუსეთმა აჩვენა ამბიცია, რომ სურს აკონტროლოს საქართველოს რკინიგზაც. ამ შემთხვევაში რკინიგზის გაყიდვა ნამდვილად არ არის გამართლებული, მაგრამ საქართველოს მთავრობას საქართველოს ინტერესები ამ კუთხით არც არასდროს არ ადარდებდა. ნუ დაგვავიწყდება, რომ ქართული ოქრო და სპილენძი ქართველების ხელში აღარ არის. რომ არა ამერიკელების ჩარევა, მაგისტრალური გაზსადენიც რუსების ,,გაზპრომის" ხელში იქნებოდა. გაიხსენეთ, პარლამენტში გამოვიდა ვანო მერაბიშვილი და თქვა: ,,რადგანაც ფულს სუნი არ აქვს, ამიტომ რუსულ ინვესტიციებს უნდა მივესალმოთო". რას ჰქვია რუსულ ფულს სუნი არა აქვს, ბოდიში და ისე „იმპერიალისტურად ყარს", ისეთი მძიმე სუნი სდის, ამის არშეგრძნება შეუძლებელია. არ გამოვრიცხავ, რომ რკინიგზის გასხვისებაზე მთავრობას ისევ ამერიკამ ააღებინა ხელი.

***– ითქვა, რომ ხელისუფლებას შეეშინდა რკინიგზა ბიძინა ივანიშვილს არ ეყიდა და ამიტომ დროებით შეაჩერა აქციების გაყიდვა.***

– არც ეგ არის გამორიცხული. ივანიშვილმა გამოთქვა ინტერესი, რომ ,,თელასი" შეიძინოს და თუ შეიძენს, ძალიან კარგი იქნება. ენერგეტიკული და სატრანსპორტო ობიექტები უნდა იყოს საქართველოს საკუთრება და არა ჩვენი მტრის საკუთრება. შეიძლება ქვეყანა პოლიტიკურად და სამხედრო თვალსაზრისით მტერი იყოს, ხოლო ეკონომიკურად მეგობარი?!

# ბიძინა ივანიშვილი: ამ ბრძოლას გამარჯვებამდე მივიყვან!“

## „ქართულმა ოცნებამ საარჩევნო კამპანია დაიწყო“

თეა მარხვაიძე

**თბილისში ასეთი მასშტაბის აქცია არასდროს უნახავთ. მოსწონს ვინმეს თუ არა ბიძინა ივანიშვილი, ფაქტია, მან ძალიან ბევრი ხალხი გამოიყვანა. არადა, ნაციონალები ამბობდნენ, ის ხალხის აყოლიებას ვერ შეძლებსო. გუშინ მან ამის გაკეთება შეძლო.**

**მას საკმაოდ ემოციური გამოსვლა ჰქონდა. ამ გამოსვლამ ხალხს გული აუჩუყა. აქციის მონაწილეები ხშირად სკანდირებდნენ მის სახელს. ამით ბიძინა ივანიშვილი ძალიან გახარებული იყო.**

— საქართველოს გარდა მე სხვა სამშობლო არ გამაჩნია! მე საქართველოს მოქალაქეობა თქვენ უკვე მომანიჭეთ! მე საქართველოს მოქალაქე ვარ, რადგან არავინ მიყვარს ისე, როგორც ჩემი ხალხი, ჩვენი საქართველო! ბედნიერი ვარ, რომ ჩვენ ერთად ვიწყებთ ბრძოლას ერთიანი, ძლიერი, დემოკრატიული საქართველოსთვის, — ასე დაიწყო თავისი გამოსვლა ბიძინა ივანიშვილმა.

მან აქციაზე მისულ ადამიანებს სთხოვა1989 წლის 9 აპრილს და 20011 წლის 26 მაისს დაღუპული ადამიანებისთვის წუთიერი დუმილით პატივი მიეგოთ.

ამის შემდეგ ივანიშვილმა მხარდამჭერებს თავის ოცნება გაუმხილა.

— ჩემი ოცნება ყოველთვის იყო ძლიერი, განვითარებული, ბედნიერი საქართველო. ჩემი ოცნება იყო ქართული სახელმწიფო, როგორც თავისუფალი ადამიანების საზოგადოება, სახელმწიფო, სადაც მისი ყოველი მოქალაქე თანასწორია კანონის წინაშე, სადაც პატივს სცემენ ადამიანის ღირსებას და ყველას აქვს საშუალება, საკუთარი ნიჭითა და შრომით მიაღწიოს წარმატებას. ასეთი იყო ჩემი ოცნება და ასეთად რჩება დღესაც. მთელი ჩემი ცხოვრება, შეძლებისდაგვარად, ვცდილობდი, ვყოფილიყავი არა რომელიმე ხელისუფლების, არამედ ქვეყნის სამსახურში; ჩემი რესურსების გამოყენებით ხელი შემეწყო სახელმწიფო ინსტიტუტების ჩამოყალიბებისთვის, ვცდილობდი დავხმარებოდი ადამიანებს გარდამავალი პერიოდის სირთულეების გადატანაში, მაგრამ ისე გამოვიდა, რომ ამ გარდამავალი პერიოდის დასრულებას არა და არ დაადგა საშველი, — განაცხადა ივანიშვილმა.

მან სინანული გამოთქვა იმის გამო, რომ ხელისუფლების ცვლილებები ქვეყანას არ შველოდა. ქვეყანა ერთი ჩიხიდან მეორე ჩიხში შედიოდა.

მან ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ხელისუფლება ქვეყნისთვის სახიფათო გადაწყვეტილებებს ღებულობს. ამასთან მან პოლიტიკაში მოსვლის მიზეზებიც განმარტა.

— ჩვენ კარგად ვიცით, ვისთან და რასთან გვაქვს საქმე. მე ნათლად დავინახე, რომ ხელისუფლების უგუნურება იქამდე მივიდა, რომ ის უკვე სერიოზული საფრთხეა ქართული სახელმწიფოსთვის. მე დავინახე, რომ თუ ასე გაგრძელდა, ჩვენ ყველანი სამშობლოს დავკარგავთ. ამიტომაც, პოლიტიკაში ყოფნა, პოლიტიკური ბრძოლა მმართველი რეჟიმის შესაცვლელად, ჩემი სურვილი კი არ არის, არამედ ჩემი



მოვალეობაა. ეს არის თითოეული ჩვენგანის, საქართველოს ყველა მოქალაქის მოვალეობა, ეს არის ჩვენი ღირსების საქმე, — აღნიშნა ქართული ოცნების ლიდერმა.

ის შემოდგომაზე დაგეგმილ არჩევნებსაც შეეხო. ქართული ოცნების ლიდერი მას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს.

— საპარლამენტო არჩევნები, რომელიც შემოდგომაზე უნდა გაიმართოს, ყოფნა-არყოფნის საკითხია ჩვენი ქვეყნისთვის: ჩვენ — აუცილებლად გავიმარჯვებთ! თუმცა, გამარჯვებისთვის მარტო სურვილი არ კმარა, გამარჯვებისთვის არ კმარა თავდადებული შრომაც კი, გამარჯვებისთვის არ კმარა არც მხოლოდ თავგანწირვა, გამარჯვებისთვის აუცილებელია კარგად გააზრებული, მკაფიო გეგმა, რომელიც სურვილსაც, თავგანწირვასაც და შრომასაც ერთიან კალაპოტში მოაქცევს და ერთი მიზნისკენ მიმართავს. მიზნის მისაღწევად პროცესის თავიდან ბოლომდე გააზრება და დაგეგმვა ბუნებაში მაქვს, ეს ჩემი ხასიათია. ჩემი პირველი განცხადებიდან 7 თვე გავიდა და გარწმუნებთ, რომ ყველაფერი ისე ვითარდება, როგორც ვგეგმავდი და გააზრებული მქონდა. ამ გააზრებული გეგმით მოვედით დღემდე და, გარწმუნებთ, დღეიდან პროცესები შეუქცევად ხასიათს მიიღებს, უკვე შეუძლებელია დაწყებული პროცესების შეჩერება, მით უფრო, ამ პროცესების შემობრუნება. ხელისუფლებამ რაც არ უნდა დაგეგმოს, რაც არ უნდა მოიმოქმედოს, ეს ბრძოლა აუცილებლად ბოლომდე მივა და ჩვენი გამარჯვებით დასრულდება, — დადო პირობა მეოცნებეთა ლიდერმა.

მან გაიხსენა თავისი პოლიტიკური მოღვაწეობის 7 თვე. მისი თქმით, ერთიანი გუნდის შექმნა არც ისეთი ადვილი იყო.

— ამ თვეების განმავლობაში ჩვენმა გუნდმა უზარმაზარი სამუშაო გასწია. ჩამოვაყალიბეთ პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნება“, ჩვენ შევძელით და მთელ საქართველოში შევქმენით რეგიონალური სტრუქტურები — შტაბები. ყოველივე ამას ჩვენ ვაკეთებდით ხელისუფლების მხრიდან ისტერიული ძალადობისა და უბადრუკი საძაგლობების ფონზე. ჩვენ ეს შევძელით, რადგან ამ ბრძოლაში ჩვენ მხარესაა ქართველი ხალხის ნება, რომელსაც არ სჩვევია მონობაში ცხოვრება. ჩვენ მხარესაა თანამედროვე პოლიტიკური და კულტურული ტრადიცია, ჩვენ მხარეს არიან ქვეყნები, რომლებმაც დემოკრატია და თავისუფლება სახელმწიფოს ფუნდამენტში ჩადეს. ხოლო ჩვენ წინააღმდეგ არის ერთი მშიშარა კაცი — ტრადიციას, თანამედროვეობას, რეალობას მოწყვეტილი, რომელსაც სიცრუისა და ძალადობის გარდა არგუმენტი აღარ დარჩენია. ჩვენ დღეს ვიწყებთ წინასაარჩევნო კამპანიას და მე ბედნიერი ვარ, რომ ამ ბრძოლაში თქვენ გვერდით ვარ, საქართველოს მოქალაქეების გვერდით, სამშობლოს გვერდით! ჩვენი მიზანია არა ვინმეს დამარცხება, არამედ საქართველოს გამარჯვება.

დღეს ჩვენ ვიწყებთ ბრძოლას იმისთვის, რომ მკვეთრად შევცვალოთ საქართველოს თითოეული მოქალაქის ცხოვრება უკეთესობისკენ, — ამბობს ივანიშვილი.

თქვა, რომ კარგად იცის, როგორ გააკეთოს ეს. გაიხსენა ბავშვობაც და ისიც, როგორ მოვიდა აქამდე. ახლა ის წარმატებულია. თუმცა ამბობს, რომ ბედნიერი არ არის, რადგანაც მის სამშობლოს მრავალი გასაჭირი აქვს.

— სწორედ ამიტომ, თავს უფლებას მივცემ და ხელისუფლების მაღალი ეშელონებისა და ქართველი ბიზნესმენების გასაგონად ვიტყვი: ვერანაირი პირადი მატერიალური კეთილდღეობა ვერ მოგანიჭებს ბედნიერებას, როდესაც შენი ხალხი უბედურია, როდესაც მილიონ ნახევარზე მეტი ადამიანი სიღარიბის ზღვარს ქვემოთაა, როდესაც მოსახლეობის დიდ ნაწილს ბანკის ვალი ახრჩობს, როდესაც გისოსებს მიღმა უდანაშაულო ადამიანები იტანჯებიან, როდესაც შენი ქვეყნის ტერიტორიები ოკუპირებულია. ეს უნდა დასრულდეს! დღეს ჩვენ ვიწყებთ ბრძოლას იმისთვის, რომ სახელმწიფოს მთავარი ღირებულება და საზრუნავი გახდეს ადამიანი და რომ ყველა მოქალაქე თანასწორი იყოს კანონის წინაშე. ჩვენ ვიწყებთ, რათა დავამკვიდროთ თავისუფალი ბიზნესგარემო, ხელი შევუწყოთ მეწარმეობის განვითარებას, შევქმნათ საკუთრების ხელშეუხებლობისა და დასაქმებულთა სოციალური დაცვის გარანტიები, რაც საბოლოო ჯამში უზრუნველყოფს უმუშევრობის დაძლევას და სამუშაო ადგილების შექმნას. უმუშევრობის პრობლემა მოკლე ხანში მინიმუმამდე უნდა შემცირდეს. ყველას უნდა შეეძლოს საკუთარი შესაძლებლობის შესატყვისი სამსახურის პოვნა და ამით ოჯახის რჩენა და ჩვენ ამას შევძლებთ, — აღნიშნა ივანიშვილმა.

მისი თქმით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახალგაზრდების დასაქმება, რათა მათ ჰქონდეთ შრომისა და წარმატებული კარიერის პერსპექტივა საკუთარ სამშობლოში და არა სადმე სხვაგან.

— ჩვენ შემუშავებული გვაქვს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების დეტალური პროგრამა ყველა მიმართულებით. ჩვენ არ დაგპირდებით არაფერს ისეთს, რისი შესრულებაც არ არის შესაძლებელი და რაც არ შეგვიძლია. ყოველი ჩვენი დაპირება რეალური და კარგად დათვლილია. რეალური პოლიტიკა, რეალური ნაბიჯები, ეს არის ის, რასაც გპირდებით. ჩვენ ვერ მოვახდენთ სასწაულს, მაგრამ გავაკეთებთ შესაძლებლის მაქსიმუმს, — ამბობს ივანიშვილი.

თავის გამოსვლაში ივანიშვილმა ქართული ოცნების პრიორიტეტებზეც ისაუბრა.

— თუკი ამ ხელისუფლების პრიორიტეტი არის საკუთარი ძალაუფლების განმტკიცება და შენარჩუნება, ჩვენი პრიორიტეტი იქნება თითოეული მოქალაქის თავისუფლება და კეთილდღეობა. არ არსებობს იმაზე დიდი ღირებულება, ვიდრე ადამიანის სიცოცხლეა.



საკუთარი მოქალაქეების სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე ზრუნვა კი, ცივილიზებული სახელმწიფოს უპირველესი მოვალეობაა. დღეს ჩვენ ვიწყებთ ბრძოლას, რათა დავძლიოთ ჯანდაცვის სისტემაში შექმნილი კატასტროფული ვითარება. მოქალაქეთა აბსოლუტური უმრავლესობისთვის სამედიცინო მომსახურება ხელმიუწვდომელია. ძვირი ღირს საავადმყოფოში დაწოლა, ძვირია წამლები, ძვირია ოპერაციის გაკეთება. ჩვენ დღეს პირველები ვართ ევროპასა და პოსტსაბჭოთა სივრცეში მოზარდთა სიკვდილიანობით, ჩვენ დღეს პირველები ვართ დედათა და 5 წლამდე ბავშვთა სიკვდილიანობით. დღეს ჩვენ ვიწყებთ, რათა ისე შევცვალოთ ქვეყნის მართვა, რომ უმოკლეს დროში ყველა მოქალაქეს ჰქონდეს ხელმისაწვდომი ხარისხიანი განათლება. აუცილებელია ყველა სოფელში მოქმედებდეს სკოლა, რომელთა უმრავლესობა ეგრეთ წოდებული ოპტიმიზაციის საბაბით დაიხურა. სოფლის სკოლაზეა დამოკიდებული არა მარტო განათლების საკითხი, არამედ მოსახლეობის ადგილზე დამაგრება, ისტორიული კუთხეების დაცლისგან გადარჩენა, — ამბობს ქართული ოცნების ლიდერი.

პირობა დადო, რომ ყველაფერს გააკეთებს სოფლის ფეხზე დაყენებისთვის. თქვა, რომ პენსიონერებს და ვეტერანებს ღირსეული ცხოვრების შესაძლებლობას მისცემს.

მისი მტკიცებით, ქართულ ოცნებას აქვს მკაფიო გეგმა, როგორ უნდა დაიძლიოთს და გადავჭრას ეს პრობლემები.

სიტყვით გამოსვლისას მან საარჩევნო კამპანია გახსნილად გამოაცხადა. თქვა, რომ ამაზე აქტიურად მუშაობენ, როგორც ქვეყანაში ასევე საზღვარგარეთაც. გამოსვლაში შიშის დათრგუნვაზეც ისაუბრა.

— ბევრი ლაპარაკია იმაზე, რომ მთავარი საფრთხე შიშის დაძლევაა და რომ ქართველი ამომრჩეველი შიშის გამო საარჩევნო ურნებთან თავისუფალ არჩევანს ვერ გააკეთებს. მეც ასე მეგონა, თუმცა დღეს დავრწმუნდი, რომ გამბედაობაზე და შიშის დათრგუნვაზე ლაპარაკი იმ ხალხთან, იმ ქალაქში, რომელიც არ შეშინებია ყველაზე სასტიკ დამპყრობელსაც კი, სასაცილოა. არ შეიძლება ქართველებს ჰკადრო, რომ სააკაშვილის ეშინიათ. რეალურად ეს შიში კი არ არის, ეს უნდობლობაა, რომელიც გაუჩნდა ჩვენს ხალხს, რადგან ბევრჯერ დარჩა პოლიტიკოსებისგან გაწბილებული. ამიტომ დღეს, პირველ რიგში, თქვენი ნდობა გვაქვს მოსაპოვებელი. ამჯერად თქვენი იმედი არ გაცრუვდება, მოქალაქეობრივი ღირსება არ შეილახება. ჩვენ თქვენს გვერდით ვიქნებით ბოლომდე. და დღეს, აქ, საზეიმოდ, მე გპირდებით, რომ ბოლომდე ვიბრძოლებ თქვენთან ერთად, რათა ყველამ ერთად ავიხდინოთ ჩვენი ოცნება, — მიმართა ამომრჩევლებს ივანიშვილმა.

მისი თქმით, 28 მაისიდან სრული დატვირთვით ამუშავდება ქართული ოცნების საარჩევნო შტაბები.

— ჩვენ ერთი წამითაც არ შევწყვეტთ მუშაობას. ჩვენი ყურადღების მიღმა არ დარჩება არც ერთი ქალაქი, არც ერთი სოფელი, ყველას შევხვდებით, — ამბობს ივანიშვილი.

მისი თქმით, მომდევნო აქცია 7 ივნისს ქუთაისში გაიმართება. მერე უკვე თელავი და ზუგდიდი.

— ჩვენ მთელ საქართველოს გავაერთიანებთ. ჩვენ აუცილებლად მოვიგებთ ამ ბრძოლას, — ასე დაასრულა თავისი გამოსვლა ივანიშვილმა.

# რა იმედით მივიდა ხალხი ქართული ოცნების“ აქციაზე

შორენა გონგლაძე

**„ჩვენ ვიწყებთ“ — ამ ლოზუნგით დაიწყო გუშინ „ქართულმა ოცნებამ“ წინასაარჩევნო კამპანია. მიუხედავად იმისა, რომ აქციაზე მხოლოდ დედაქალაქის მოსახლეობას ელოდნენ და პარტიის მხრიდან რეგიონების მობილიზება არ მომხდარა, ხალხის სიმრავლემ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. დაიკეტა მეტრო „თავისუფლების მოედანი“. ხალხის ნაკადი მეტროსადგურ „რუსთაველიდან“ იწყებოდა და თავისუფლების მოედანს მოიცავდა. აქციაზე წესრიგს „ქართული ოცნების“ მიერ სპეციალურად შექმნილი, ე.წ. მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენლები იცავდნენ. თავისუფლების მოედანზე სპეციალურად მოწყობილ ტრიბუნამდე ბიძინა ივანიშვილის შემოსვლის მომენტში რამდენიმე „ცრუ კორიდორი“ გაკეთდა. საბოლოოდ, „ქართული ოცნების“ დამფუძნებელი სულ სხვა გზით, ყველასგან მოულოდნელად აღმოჩნდა ტრიბუნაზე. აქცია დაახლოებით საათ-ნახევარს გაგრძელდა. აქციის მონაწილეები იმედოვნებდნენ, რომ მოძრაობა უკვე დაწყებულია და ამავე ტემპით გაგრძელდება.**

**ნინო კაკუჩავა, აქციის მონაწილე:**

— მე ვარ აფხაზეთიდან დევნილი. ამდენი წელია აქ ვცხოვრობ და რაღაცის შეცვლის იმედით ვარ. ამდენი ხნის განმავლობაში ნორმალურ საცხოვრებელს ვერ ვეღირსე, ყველაფერი თავზე გვენგრევა. ჩემს სახლში რომ შემოხვიდეთ, ვერ იტყვით, რომ აქ ადამიანების საცხოვრებელია. ოცი წელია არავისგან ყურადღება არ გვქონია, ჩვენთან არ მოსულა და არ უკითხავს ჩვენი მდგომარეობა არც მერიის წარმომადგენლებს, არც ლტოლვილთა სამინისტროს, არც სოციალურ სამსახურს. ჩვენთვის არავინ არ არსებობს, არც დეპუტატი და არც გამგებელი. დამიჯერეთ, თავი მომძულდა, აღარავისი აღარ მჯერა. დღეს უკვე იმედი გვაქვს, რომ ქვეყანაში რაღაც შეიცვლება. ასე რომ არ მოხდეს, ხალხი ყველაფრის იმედს დაკარგავს.

**ნაირა დიასამიძე, აქციის მონაწილე:**

— მინდა, რომ ის დაპირება, რითიც მოდის ახალი ძალა, რეალობად იქცეს. უკვე ნახევარ საუკუნეს გადავაბიჯე და დამიჯერეთ, აქციაზე არასოდეს გავსულვარ. ეს დღე რაღაცით მახსენებს ვარდების რევოლუციის დღეებს. მახსოვს, როგორი აჟიტირებული იყო მაშინ ხალხი, როგორი იმედის თვალით უყურებდა მომავალ ძალას. სიმართლე გითხრათ, როგორც საქართველოს მოსახლეობის უმეტეს ნაწილს, მეც მქონდა უკეთესი მომავლის იმედი. სამწუხაროდ, ეს იმედები ჩვენმა ხელისუფლებამ ვერ გაამართლა. დღეს თამამად შემიძლია ვთქვა, რომ როგორც ამ ქვეყნის მოქალაქეს, მაქვს უკმაყოფილების გრძნობა. დღევანდელი ხელისუფლება მაშინ სულ სხვა დაპირებებით მოვიდა და დღეს სულ სხვა სურათი გვაქვს სახეზე. დაეცა ცხოვრების დონე, მოსახლეობის უდიდესი ნაწილი სიღატაკის ზღვარზეა, დღევანდელმა ხელისუფლებამ უკვე ამოწურა ყველა რესურსი, ამიტომ ვთვლი, რომ დროა, ახალ ძალას დაუთმოს ადგილი.

**ნინო გოლეთიანი, აქციის მონაწილე:**

— ხალხო, ამას კითხვა უნდა კიდევ, თუ რისთვის მოვედით აქციაზე? ვერ ხედავთ, დამშეული ყრია ხალხი?! განმკითხავი არავინ ჰყავს. ამ ხელისუფლებამ ყველა მოგვატყუა, ყველას იმედი გაგვიცრუვდა, გვეგონა, რომ ვარდების რევოლუციის შემდეგ რაღაც მაინც შეიცვლებოდა, მაგრამ შევცდით. ამ ხელისუფლებამ მხოლოდ საკუთარ ჯიბეზე იზრუნა. თვითონ კარგად ცხოვრობენ, მაგრამ ხალხზე არავინ ზრუნავს. არ აინტერესებთ ხალხის აზრი, არ აინტერესებთ, რა უჭირთ და რა ულხინთ. ერთხელ არავის მოუკითხავს ჩვენთვის, არ მოუსმენია და არ დაგვხმარებია. საავადმყოფოებს რომ ხსნის სააკაშვილი, რატომ არ ფიქრობს, შეუძლია თუ არა ხალხს ამ საავადმყოფოებში მკურნალობა, ამისთვის თუ აქვთ ფული?! საბოლოოდ ისე გამოდის, რომ სააკაშვილი და მისი ხელისუფლება მხოლოდ საკუთარ კეთილდღეობაზე ზრუნავს, ამიტომ მოვედით ამ აქციაზე, გვინდა, რამე შეიცვალოს და ქართული ოცნება ასრულდეს.

# თბილისში არჩევნები უკვე ჩატარებულია“

## მომდევნო აქცია ქუთაისში გაიმართება



ნათია ხურცილავა

პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო კამპანია, დაპირებისამებრ, თავისუფლების მოედანზე გახსნილად გამოცხადდა. თავისუფლების მოედანზე მრავალი პოლიტიკური აქცია გამართულა, თუმცა, გუშინდელი პოლიტიკური თავყრილობა სრულიად განსხვავებული იყო.

შეიძლება ითქვას, პირველად პოლიტიკურმა ძალამ წინასაარჩევნო კამპანია ოფიციალურად გახსნილად გამოაცხადა და საკუთარი შესაძლებლობებიც მოსინჯა.

აქცია ერთი საათის დაგვიანებით დაიწყო კოლონების რაოდენობისა და გადაადგილების გამო. თავისუფლების მოედანზე ვაკის პარკიდან, ავლაბრიდან, დიდუბიდან წამოსულმა კოლონებმა მოიყარეს თავი. ერთ-ერთ კოლონას თავად ბიძინა ივანიშვილი მოუძღოდა.

რამდენი ათასი ადამიანი მივიდა თავისუფლების მოედანზე? შეიძლება, ეს კითხვა არც ისე აქტუალურია, რადგან, როგორც ამბობენ, ამ რაოდენობის ხალხი ქუჩაში ბოლო წლებში გამოსულა. მიუხედავად ამისა, მაინც საინტერესოა, რამდენი მხარდამჭერი მივიდა თავისუფლებაზე? საინფორმაციო სააგენტო „ინტერპრესნიუსის“ გამოთვლით, დაახლოებით 110 ათასი ადამიანი იყო მისული. ბიძინა ივანიშვილმა შეკრებილებს სიტყვით მიმართა. ივანიშვილს სიტყვით გამოსვლა რამდენჯერმე გააწყვეტინეს ბიძინა! ბიძინას შეძახილებით. მიმართვის დასრულების შემდეგ, როგორც ჩანს, სრულიად სპონტანურად ივანიშვილი სცენიდან კიბეებზე დაეშვა, რომ ხალხს პირადად მისალმებოდა, მაგრამ დაცვამ კიბეებიდანვე მიაბრუნა, ივანიშვილიც მორჩილად მიბრუნდა.

ივანიშვილის შემდეგ სცენა ბერამ დაიკავა და გარეპა. აქცია ერთ საათში დაიშალა. როგორც ცნობილია, ექსცესები არ დაფიქსირებულა, თუ არ ჩავთვლით, რომ ორი ადამიანი შეუძლოდ გახდა.

აქციაზე თითქმის ყველაფერი ორგანიზებული იყო, გარდა ჟურნალისტების სამუშაო პირობებისა, რომელიც, გაუგებარი მიზეზების გამო, უგულებელყოფილი იყო.

აქციას ნინო ბურჯანაძე, „სახალხო კრება“ და ძმები გაჩეჩილაძეები შეუერთდნენ.

ლევან გაჩეჩილაძის განცხადებით, ის ამ პროცესს, როგორც რიგითი ჯარისკაცი, ისე შეუერთდა.

აქციას ასევე შეუერთდა დავით საგანელიძე, რომელსაც „ქართული ოცნების“ ლიდერები მიესალმნენ.

– კიდევ კარგი, რომ „დინამოს“ სტადიონი არ მოგვცეს, იმიტომ, რომ 64 ათას ადგილს ჩვენ მხოლოდ ჩვენი აქტივით ვავსებდით. მე ვიცოდი, რომ თავისუფლების მოედანზეც ვერ დავეტეოდით. ეს თავიდანვე ცხადი იყო, როდესაც ჩვენმა შტაბებმა მუშაობა დაიწყეს. 75-80 ათასი თავისუფლების მოედანზე ეტევა, პარლამენტის შენობის წინ 30 ათასი ადამიანი ეტევა. შუალედში – 20 ათასი. ზემოდან გადაღებულ კადრებს რომ ვნახავ, მერე დაზუსტებით შეიძლება საუბარი რაოდენობაზე. დღევანდელმა დღემ აჩვენა, რომ „ქართულ ოცნებას“ თბილისში არჩევნები მოგებული აქვს. მიშას ისღა დარჩენია, თავი დაიმშვიდოს, – ამის შესახებ „ქართული ოცნების“ წარმომადგენელმა ზვიად ძიძიგურმა ჩვენთან საუბარში განაცხადა. მისივე თქმით, ცხადი გახდა, რომ თბილისი როგორც არჩევნების თვალსაზრისით, ასევე ფსიქოლოგიურად და მორალურად მოგებულია.

– ამ დღემ ასევე აჩვენა, თუ რატომ გარბის ხოლმე მიხეილ სააკაშვილი თბილისიდან და აქცენტებს სხვა ქალაქებზე რატომ აკეთებს, – განაცხადა ძიძიგურმა.

მისივე თქმით, დღევანდელი აქციით გააკეთებს დასკვნას როგორც ხელისუფლება, ისე საერთაშორისო საზოგადოება.

ძიძიგურის განცხადებით, აქციაზე 85 000 ადამიანს ელოდებოდნენ, რადგან სწორედ ამ რაოდენობის აქტივისტები იყვნენ ამ აქციაზე რეგისტრირებული, თუმცა, ხალხის რაოდენობამ მოლოდინს გადააჭარბა.

– აქ გაცილებით მეტი ადამიანი მოვიდა. ამდენი ადამიანი მე არ მახსოვს არასოდეს თავისუფლების მოედანზე, – აღნიშნა ზვიად ძიძიგურმა.

„ქართული ოცნების“ წარმომადგენელმა შეაფასა ბიძინა ივანიშვილის გამოსვლაც და აღნიშნა, რომ კოალიციის ლიდერის სიტყვით გამოსვლა საპროგრამო თემებით იყო გაჯერებული.

. კოალიცია „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერის ირაკლი ალასანიას შეფასებით, საქართველოში არჩევნები უკვე ჩატარებულია. ამის შესახებ მან ჟურნალისტებს თავისუფლების მოედანზე კოალიცია „ქართული ოცნების“ მხარდამჭერთა აქციის დასრულების შემდეგ განუცხადა.



– არჩევნები ჩვენთვის უკვე ჩატარებულია, ვერდიქტი გამოტანილია. ეს ყველაფერი კი ოქტომბერში ამ ხალხის პარლამენტში უმრავლესობით მოსვლით გაფორმდება, – განაცხადა მან.

კოალიციის ერთ-ერთი ლიდერის დავით ბერძენიშვილის განცხადებით, „ქართული ოცნება“ და მისი ხელმძღვანელი ბიძინა ივანიშვილი საქართველოს მომავალია.

„არ დავტოვებთ არც ერთ ქალაქსა და სოფელს, სადაც ჩვენს სათქმელს მოქალაქეებამდე არ მივიტანთ“, – აღნიშნა ბერძენიშვილმა.

კოალიციის ლიდერის „ეროვნული ფორუმიდან“ გუბაზ სანიკიძის განცხადებით კი აქციაზე მოსულმა მოქალაქეების რაოდენობამ მის ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. აქციის მონაწილეებს სრულად ჰქონდათ დაკავებული თავისუფლების მოედანი, აგრეთვე, მოედნიდან კინოთეატრ „რუსთაველამდე“ და პუშკინის ქუჩაზე, ხელოვნების მუზეუმამდე ტერიტორია.

„ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე მანანა კობახიძე გუშინდელ აქციას კოალიციის გამარჯვებად მიიჩნევს.

როგორც კობახიძემ განაცხადა, აქციის მონაწილეთა რაოდენობამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

– ერთი პერიოდი შემეშინდა კიდეც, რადგან შეიძლებოდა, ჭედვის საფრთხე შექმნილიყო, მაგრამ ყველაფერი ძალიან ორგანიზებულად ჩატარდა, – აღნიშნა მან. კობახიძის შეფასებით, მოქალაქეები აქციაზე ქვეყნის გადარჩენის, გამთლიანებისა და რეალური დემოკრატიული ცვლილებების მხარდასაჭერად მივიდნენ. „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის განმარტებით, აქციიდან გამომდინარე, ხელისუფლებას შიშის საფუძველი ნამდვილად აქვს.

– ხელისუფლებას უნდა დაენახა, რომ „ქართული ოცნების“ გამარჯვება ძალიან რეალურია და ამ გამარჯვებამდე ცოტა დარჩა, – განაცხადა მან.

კობახიძის განცხადებით, საზოგადოებასთან შეხვედრები ქვეყნის სხვადასხვა რეგიონშიც გაგრძელდება.

– მიშა, ხალხს აღარ სჯერა შენი, შენ უნდა წახვიდე, – ამ



სიტყვებით მიმართა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს „ქართული ოცნების“ ერთ-ერთმა ლიდერმა კახი კალაძემ.

თავისუფლების მოედანზე მიმდინარე აქციაზე კალაძემ პრეზიდენტს ასევე მოუწოდა, ისწავლოს წასვლა და არა გაქცევა, „როგორც ის გარბოდა ბრძოლის ველიდან და პარლამენტიდან“.

– მე ჩემი ქვეყნის ერთ-ერთი რიგითი ჯარისკაცი ვარ და არ მინდა, მყავდეს კასტრირების შიშის ქვეშ მყოფი მთავარსარდალი, – განაცხადა კალაძემ. მან კიდევ ერთხელ მოუწოდა ქართველ ხალხს ერთიანობისა და ბიძინა ივანიშვილის მხარდაჭერისკენ.

კალაძის თქმით, ბიძინა ივანიშვილი ერთადერთი ადამიანია, რომელიც შეძლებს, ქართველ ხალხთან ერთად გამარჯვებას მიაღწიოს. როგორც კალაძემ აღნიშნა, ხელისუფლება საკუთარ ხალხს ჰპარავს ფულებს, ქონებას, მაგრამ მათ არ უნდა მიეცეთ საშუალება, რომ ხალხს ღირსება მოჰპარონ.

– დღეს არის საქართველოს გაერთიანების დასაწყისი, – ამის შესახებ კოალიცია „ქართული ოცნების“ ერთ-ერთმა ლიდერმა, დეპუტატმა გია ცაგარეიშვილმა „ქართული ოცნების“ მიერ გამართული აქციის შემდეგ განაცხადა.

მისი თქმით, ეს არის უზარმაზარი დღესასწაული და მას ამგვარი დღესასწაულები წინ კიდევ ხუთი თვე აქვს.

– შემდეგ ეს ყველაფერი თავს მოიყრის არჩევნების დღეს, როდესაც ჩვენ პოლიტიკურ სამარეში გავისტუმრებთ სააკაშვილს თავის ყაჩაღთა ბანდასთან ერთად. ამ დღესასწაულის დასაწყისისთვის შეიკრიბა დღეს უამრავი თბილისელი და არათბილისელი, – განაცხადა გია ცაგარეიშვილმა. ცაგარეიშვილის განცხადებით, ისინი ელოდნენ, რომ უამრავი ადამიანი მოვიდოდა დღევანდელ აქციაზე, „თუმცა, ჩვენი მოლოდინი ზეგეგმიურად გამართლდა“.

– ეს დღე ახალი პოლიტიკური პროცესის დასაწყისია, – ამის შესახებ ჟურნალისტებს თავისუფლების მოედანზე გამართული აქციის დასრულების შემდეგ კოალიცია „ქართული ოცნების“ ერთ-ერთმა ლიდერმა ეკა ბესელიამ განუცხადა. მისი თქმით, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ბევრჯერ მდგარა ოპოზიციის აქციაზე სცენაზე, ამ რაოდენობის ხალხი არასოდეს უნახავს.

– ჩვენმა ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა პირობა მისცა ხალხს, რომ ამ პროცესს გამარჯვებამდე მიიყვანს, – განაცხადა ბესელიამ და აქვე აღნიშნა, რომ მთავარი ხალხის სიმრავლე იყო.

ზურაბ აბაშიძის განცხადებით კი აღნიშნული ბრძოლა ოქტომბერში გამარჯვებით დასრულდება.

– ოქტომბერში ჩვენ ამ ბრძოლას გამარჯვებით დავასრულებთ, – ამის შესახებ თავისუფლების მოედანზე „ქართული ოცნების“ მიტინგის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებს კოალიციის ერთ-ერთმა ლიდერმა ზურაბ აბაშიძემ განუცხადა.

მისი თქმით, 27 მაისი რომ შედგა, ამაში ეჭვი, ალბათ, არავის ეპარება.

– ასობით ათასი ადამიანი გამოვიდა და ვერ დაეტია თავისუფლების მოედანზე, ამიტომ გვქონდა ვარაუდი, რომ არც ერთი სტადიონი და თავშეყრის ადგილი არ გვეყოფოდა, – განაცხადა აბაშიძემ.

ზურაბ აბაშიძე აცხადებს, რომ „ქართული ოცნება“ და ბიძინა ივანიშვილი 27 მაისიდან იწყებს საარჩევნო კამპანიას და ეს ხალხიც აქ მოვიდა, რათა ამ პროცესში მათ გვერდით დამდგარიყო.

– აქედან გამომდინარე, ოქტომბერში ჩვენ ამ ბრძოლას



გამარჯვებით დავასრულებთ, იმიტომ რომ მუხტი უფრო და უფრო გაიზრდება და მთელ საქართველოს გადაედება, – დასძინა აბაშიძემ.

დავით უსუფაშვილის განცხადებით, 27-მა მაისმა განსაზღვრა, თუ ვინ იქნება 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებული.

– ეს იყო უპრეცედენტო მოვლენა ქვეყნის ისტორიაში. 1988-89 წლებიდან მოყოლებული, ყველა შეკრების თანამონაწილე ან თვითმხილველი ვიყავი, მაგრამ ამდენი ხალხი არასდროს ყოფილა. ეს ხდება არჩევნებამდე ხუთი თვით ადრე და მხოლოდ თბილისელების მობილიზებით, რაც იმას ნიშნავს, რომ დღეს მომავალ საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებულის ვინაობა გაირკვა, – განაცხადა უსუფაშვილმა. დავით უსუფაშვილის განმარტებით, პასუხი გაეცა შეკითხვას, „ვის უჭერს ქართველი ხალხი მხარს“.

სოზარ სუბარის აზრით, მიხეილ სააკაშვილს თითზე დასათვლელი დღეები დარჩა.

სუბარის განცხადებით, ხალხის დიდ რაოდენობას ის აქციაზე ელოდებოდა, თუმცა, მის მოლოდინს რაოდენობამ ბევრად გადააჭარბა.

– დღევანდელ ხელისუფლებას რომ თავმოყვარეობა ჰქონდეს, ის თავისით უნდა წავიდეს ხელისუფლებიდან. დღევანდელმა დღემ ყველა დაარწმუნა, რომ მიხეილ სააკაშვილს თითზე ჩამოსათვლელი დღეები დარჩა. რაც მთავარია, განწყობა ძალიან მაღალია, – განაცხადა სოზარ სუბარმა.

კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრ თინა ხიდაშელის შეფასებით, „ქართული ოცნების“ საარჩევნო კამპანია გრანდიოზულად და საოცნებოდ დაიწყო.

როგორც თინა ხიდაშელმა თავისუფლების მოედანზე გამართული აქციის შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა, „ქართული ოცნების“ საარჩევნო კამპანიას ზუსტად ის სტარტი აქვს, რომელიც „ქართულ ოცნებასა“ და, პირველ რიგში, საქართველოს სჭირდება.

– საქართველოს სჭირდება, რომ ყველამ დაინახოს ხალხის განწყობა, დაინახოს, რომ საზოგადოება ელოდება იმ გადამწყვეტ მომენტს, რომელიც ოქტომბერში დადგება, რათა ამ რვა წლის უკანონობისა და ძალადობისთვის ხელისუფლებას პასუხი გასცენ, – განაცხადა თინა ხიდაშელმა.

ხიდაშელის განმარტებით, კოალიციის ლიდერები აქციაზე მისული ხალხის რაოდენობით კმაყოფილი და ბედნიერი არიან.

კოალიცია „ქართული ოცნების“ პრესსპიკერ მაია ფანჯიკიძის შეფასებით, აქციაზე მისული ხალხის რაოდენობამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

– ეს არის სრულიად არაჩვეულებრივი დღე. ვიცოდით, რომ მხარდამჭერები გვყავდა, მაგრამ ასეთ სოლიდარობას არავინ ელოდა. თბილისს ამდენი ხალხი ერთად არ უნახავს, – აცხადებს მაია ფანჯიკიძე.

მისი თქმით, აქციამ მშვიდობიანად და ყოველგვარი ინციდენტების გარეშე ჩაიარა.

– იმის შესახებ, რომ აქციის მსვლელობისას რაიმე ინციდენტებს ჰქონოდა ადგილი, მე ინფორმაცია არ მაქვს, – აღნიშნა ფანჯიკიძემ.

საათ-ნახევრის შემდეგ თავისუფლების მოედანზე „ქართული ოცნების“ სცენის დემონტაჟი დასრულდა. სცენა და აპარატურა „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებმა სატვირთო ავტომანქანებზე დააწყვეს და იქაურობა მშვიდად დატოვეს. ცოტა ხანში დასუფთავების სამსახურიც მოვიდა და დედაქალაქი ცხოვრების ჩვეულ რიტმს დაუბრუნდა.

„ქართული ოცნების“ ერთ-ერთმა ლიდერმა ირაკლი ჩიქოვანმა გვითხრა, რომ აქცია კარგად იყო ორგანიზებული და „ქართულმა ოცნებამ“ მერიის მიერ გამოყოფილი 24 საათი პროდუქტიულად გამოიყენა.

– მერიას 24 საათის გამოყოფის თხოვნით მივმართეთ. ჩვენ არ გვინდოდა, მეტი დროით შეგვექმნა დაბრკოლება თბილისელებისთვის. ყველაფერი გეგმის მიხედვით განხორციელდა. მნიშვნელოვან შეფერხებებს ადგილი არ ჰქონია. ყველა ადამიანი მოწოდებული იყო, რომ ყველაფერი კარგად ორგანიზებული ყოფილიყო და შემიძლია ვთქვა, რომ დღევანდელი აქცია ნამდვილად კარგად იყო ორგანიზებული, – განაცხადა ირაკლი ჩიქოვანმა.

# სოსო ცისკარიშვილი: ამ ხელისუფლების ვაშინგტონს აღარ სჯერა“



ნათია ხურცილავა

**პოლიტოლოგი სოსო ცისკარიშვილი ჩვენთან საუბარში ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ დადებულ ყოველწლიურ ანგარიშს ეხმიანება, რომელიც საქართველოში ადამიანის უფლებების ხელყოფის ფაქტებს ეხება.**

**ინტერვიუ სოსო ცისკარიშვილთან:**

***— რას იტყვით სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ დადებულ დასკვნაზე, რომელიც ჩვენს ქვეყანაში არსებულ ადამიანის უფლებებს ეხება?***

— ბატონი ჯონ ბასის განცხადება, რომლითაც ის ეხმიანება ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის შეფასებებს საქართველოში ადამიანის უფლებათა კუთხით არსებულ სიტუაციას, რასაკვირველია, არის სრული საფუძველი ვირწმუნოთ, რომ ამერიკული დიპლომატია ის აღარ არის, რაც იყო. წავიდა ბატონი ტეფტის დრო, რომელიც საქართველოში ელჩობდა ფაქტიურად, როგორც ნაციონალური მოძრაობის აქტივისტი. მაინც ვფიქრობ, რომ ცვლილებების თავი და თავი, რომ უფრო ფართოდ იყოს დანახული პრობლემები, არაბული გაზაფხულია. სწორედ არაბულმა გაზაფხულმა შეარყია ათწლეულების განმავლობაში ჩამოყალიბებული სტერეოტიპი და არა მხოლოდ განცხადება გააკეთებინა პრეზიდენტ ობამას, არამედ რეალური ნაბიჯებიც გადაადგმევინა შეერთებულ შტატებს იმისთვის, რომ დაერწმუნებინა მოსახლეობა მათ პარტნიორ ქვეყნებში, რომ ისინი ხალხის, საზოგადოების პარტნიორები არიან და არა რომელიმე ცალკე აღებული პოლიტიკური ლიდერის. თავიდან ეს ნაკლებად დამაჯერებლად ჟღერდა, მაგრამ გამოხდა ხანი და როგორც არაბულმა გაზაფხულმა, მოგვიანებით კავკასიურმა გაზაფხულმაც დაგვარწმუნა იმაში, რომ გულწრფელია, როგორც ბატონი ობამა, ასევე სრულ მზაობაშია ამერიკული დიპლომატია, რომ იყოს მართლაც საზოგადოების, ხალხის ინტერესებით მოტივირებული საკუთარ შეფასებებში და არა მხოლოდ მმართველი პოლიტიკური ძალის კომპლიმენტებით დაკავდეს, როგორც ამას ადგილი ჰქონდა გასულ წლებში.

***— ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი ადამიანის უფლებათა დაცვასთან დაკავშირებით ყურადღებას კონკრეტულ საკითხებზეც ამახვილებს...***

— ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით საქართველოში, რომ უზარმაზარი პრობლემებია, ეს არახალია. სხვათა შორის, როდესაც ზოგიერთი ჩვენი პარლამენტარი ბრძანებს, რომ ამ ინფორმაციაში, რაც ვაშინგტონმა გაავრცელა, ახალი არაფერია, ეს არის ყველაზე სერიოზული თვითლუსტრაცია. დიახ, ახალი არაფერია, მით უმეტეს, საქართველოს მოსახლეობისთვის, რადგან საქართველოს მოსახლეობამ ბევრად უფრო მწვავე ფაქტი იცის, ვიდრე ეს რომ მოხვდეს სხვა ქვეყნის ოფიციალურ მასალაში.

***— სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ დადებული შეფასება ადეკვატური არის იმ პროცესებისა, რაც ქვეყანაშია ანუ სახელმწიფო დეპარტამენტს რეალური ინფორმაცია აქვს?***

— მე ვიტყოდი, ეს არის ნაბიჯი რეალობისკენ, რადგან რეალობა კიდევ უფრო მწვავეა, ვიდრე ამას ნებისმიერი სახელმწიფოს დიპლომატიური უწყება დააფიქსირებდა, რადგან ხელისუფლება ყველაფერს უარყოფს. ხელისუფლება არ თაკილობს, რომ პარლამენტში ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხები ჩააბაროს ადამიანის უფლებებზე თავგამოდებულ თავდამსხმელს. ჩვენს ხელისუფლებას შესანიშნავი გამოცდილება აქვს შავის თეთრად წარმოჩენის და პირიქით. საპარლამენტო უმრავლესობაში ჩვენ ვერ მოვიძიებთ ადამიანს, რომელიც ოდნავ მაინც ობიექტურად შეაფასებდა არსებულ სიტუაციას და გულის დაწყვეტით მოიხსენიებდა ადამიანის უფლების მდგომარეობას ქვეყანაში. რომ აღარაფერი ვთქვათ პენიტენციალურ სისტემაზე, სადაც ფაქტიურად არ მოქმედებს საქართველოს კანონი სიკვდილის დასჯის აკრძალვის შესახებ. ამ სისტემაში პატიმრებს ვისაც სურს და როგორც სურს, ისე უსწრაფებენ სიცოცხლეს. და შემდეგ ამაზე პასუხს არავინ აგებს. ასეთი ფაქტები შესაძლოა ნაკლებად დამაჯერებელი ყოფილიყო დასავლეთის ცივილიზაციისთვის, მაგრამ ხელისუფლებამ შეძლო თავისი ულირსი საქციელით ისე გააქტიურა არასამთავრობო სექტორი, ისე აამაღლა მისი პროფესიული დონე, იმდენად დამაჯერებელი და მართლაც მოდარაჯე ნაგაზის როლის შემსრულებელი გახდა, რომ არასამთავრობოთა ეს ძალისხმევა, რომელთაც საბედნიეროდ ხელისუფლთა მსგავსად შესანიშნავად ეხერხებათ ინგლისური ენაც და უფრო დამაჯერებლებიც არიან ყველასთვის, ვიდრე გაცვეთილი ფრაზით მოსაუბრე ხელისუფლება, რასაკვირველია, არიან სერიოზული შემოქმედნი იმ მდგომარეობის აღიარებისა, რომელიც დღეს გამოსჭვივის ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის შეფასებებში.

***— ბატონო სოსო, ხელისუფლების წარმომადგენლებს, როგორ ფიქრობთ, ეს დასკვნა არ შეაშფოთებთ, თავიანთ პოზიციას არ შეაცვლევინებს?***

— არა, არ აქვს საპარლემენტო უმრავლესობას შეშფოთების უფლება. ეს ადამიანური განცდაა, რომლის უკუგდების გარეშე ვერ დამკვიდრდები საპარლამენტო უმრავლესობაში. ზოგადად ვერ ისარგებლებ იმ სიკეთით, რასაც გულუხვად ანაწილებს საკუთარ კაჭკაჭებს შორის უმაღლესი ხელისუფლება. დარჩიაშვილი იქნება, თორდია თუ სხვა, რასაც არ უნდა ფიქრობდნენ გულში და როგორი წუხილიც არ უნდა ჰქონდეთ ახლო მეგობართან, პირად საუბარში ვერასდროს გაბედავენ, ბზარი გააჩინონ იმ ერთობაში, რასაც ჰქვია ნაციონალური მოძრაობის თანამზრახველ გუნდთა ერთობა.

***— ამერიკის ელჩის განცხადებას ექნება თუ არა გავლენა იმ შეფასებაზე, რომელიც არჩევნების პერიოდთან დაკავშირებით დაიდება?***

— რასაკვირველია. არჩევნებამდე დარჩენილი თვეების განმავლობაში მაინც მოახერხებს ხელისუფლება, თითქოსდა ყველაფრის მცოდნე უცხოელი ექსპერტები მუდმივად თმის ყალყზე დაყენების რეჟიმში ამყოფოს, რადგან ჯერ კიდევ ბევრი ფაქტია მოსაძიებელი. უფლება დამცველი ორგანიზაციები და კონკრეტული პირები საქართველოში სრულიად დამაჯერებელნი არიან მათთან ურთიერთობაში. ამიტომ არ დგას არსად საკითხი (გარდა საპარლამენტო უმრავლესობისა), არიან თუ არა საქართველოში პოლიტპატიმრები. ეს არაერთი საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ გვარებით ჩამოთვლილი ინფორმაციაა. რეალობაა, რომ ეს არის არა უმეტეს ერთი მეოთხედისა, რომლებიც პოლიტპატიმართა სიაშია შეტანილი. თუნდაც ყბადაღებული „ენვერის“ საქმეზე, რომელმაც გადაფარა ყველა სხვა უსინდისობა ჩვენი მთავარი პროკურორის, იუსტიციის მინისტრის, კორუფციასთან ბრძოლის კომისიის თავმჯდომარის, რომელიც ერთი და იგივე პიროვნებაა. ყველა მზაკვრობას აქვს დასასრული. გამჭვირვალობა, ინფორმაციის გავრცელების შესაძლებლობა არის ის პირველი ზღუდე, რომელიც ძნელად გადასალახი იქნება იმ ადამიანთა მიერ, რომლებმაც ხელი აიღეს სახელმწიფოს სამსახურზე და ჩადგნენ მხოლოდ კერძო, პოლიტიკური, ინტერესების დასაცავად. მიხეილ მაჭავარიანის გამოსვლამ დამარწმუნა, რომ ნულს ქვემოთ არის ნაციონალური მოძრაობის პოტენციალი ადეკვატური ქმედებისთვის. სხვანაირი მათ არც გამოცდილება აქვთ და არც უნარი. მხოლოდ დაზეპირებული ფრაზები, დაჩემებული იდეები, რუსულ ჰანგებზე აწყობილი მათი პარტიული ჰიმნი. „ვსიო ხარაშო, პრიკრასნაია მარკიზა“. ამას თუ დავუმატებთ იმ ფაქტსაც, რომ ნაციონალური მოძრაობის ქმედება მთლიანად აღიწერება დემოკრატიაზე, თავისუფალ სიტყვაზე, ვლადიმერ ლენინის გამონათქვამებით და არა რომელიმე ჰუმანისტის ამ პოლიტიკოსისა მიგვითითებს იმაზე, რომ ბოლშევიკური სიხისტე განწირულია დარჩეს ნაციონალური მოძრაობის კერპად. შესაბამისად საზოგადოებას მოუწევს საკმაოდ დიდი დაძაბვით ქმედება, რომ ქვეყანაში ფეხი მოიკიდოს დემოკრატიის ყლორტებმა მაინც, რადგან ის, რასაც დღეს ხელისუფლება დემოკრატიას ეძახის, არის ამ ცნების დამამცირებელი სუროგატი, რომელიც მხოლოდ ფრაზეოლოგიით იყო თავმომწონე. ჩემთვის სასიხარულოა, რომ არა მხოლოდ თბილისს, არამედ უკვე ვაშინგტონსაც აღარ სჯერა.

ნონა ცაბაძე

# პაატა ზაქარეიშვილი: ქუთაისის პარლამენტის შენობას საკონცერტო დარბაზად გადავაკეთებთ“

**26 მაისს, როგორც დაგეგმილი იყო, სააკაშვილმა აღლუმი ქუთაისში ჩაიბარა, დაუმთავრებელი პარლამენტის შენობაც გაგვიხსნა და ახალი გმირებიც გამოგვიჩეკა. ქუთაისში გამგზავრებამდე თბილისშიც მოასწრო განცხადებების გაკეთება და დაგვპირდა, 2015 წლამდე თუ დამაცდით, მცხეთაში მეტროსადგურსაც გაგიყვანთო. მართლა, არ დამავიწყდეს, განსაკუთრებით გიორგი თარგამაძის ჩაფხუტით მოვიხიბლე, რომელიც სააკაშვილმა მოარგო თავზე.**

**ქუთაისურ 26 მაისზე შეფასებები ექსპერტ პაატა ზაქარეიშვილს ვთხოვეთ:**

***— ბატონო პაატა, დამოუკიდებლობის დღე პრეზიდენტმა ქუთაისში აღნიშნა, ახალი პარლამენტის შენობაც გახსნა... როგორც ექსპერტმა, რა მესიჯები ამოიკითხეთ მის განცხადებებში?***

— არანაირი მესიჯები აღარ არის, დიდი ხანია სააკაშვილმა ამოწურა თავისი უნარი, მესიჯები აგზავნოს. ერთადერთი, რაც შეიძლება ამოიკითხო და დაინახო, ეს არის უგუნურება, ალოგიკურობა. ძალიან ძნელია, ლოგიკურად ახსნა მისი ესა თუ ის ფრაზა. ეს არის ძალიან გულისდამწყვეტი, რომ კაცი აბსოლუტურად კონტროლს ვეღარ უწევს თავის თავს, თავის მეტყველებას და საერთოდ, რომელ საქართველოში ცხოვრობს, ჩემთვის უცნობია. ძნელია ლოგიკური ახსნა მისცე იმ ყველაფერს, რასაც ის ამბობს. დაახლოებით ასეთი რაღაცაა — ჩემი შენ გითხარიო. შემოუშვა რუსეთი საქართველოში, დღეს ამას ვიღაცებს აბრალებს, რუსეთის შემოყვანა უნდათო. ულოკავს თვითონ ჩექმას — ვიღაცეებს აბრალებს, არ დავუშვებ, რუსის ჩექმა ვლოკოთო. გაანადგურა საქართველოში ყველანაირი ნიშანი დემოკრატიულობისა და არავის არ მივცემთ უფლებას, დემოკრატია განადგურდეს საქართველოშიო. აბსურდის თეატრია, სწორედ ეს შეიძლება დაარქვა სააკაშვილის გუშინდელ ქცევებს. მრეწველობის ვითომდა ფსევდო გამოფენა რომ მოაწყვეს, რუსული ტექნიკა გამოიტანეს, გადაღებეს და დაარქვეს წარმოებულია საქართველოშიო. რა ბოდვაა ეს საერთოდ, რასთან გვაქვს საქმე?!

***— საკმაოდ ხშირად ახსენებს საუბრებში 2015 წელს... რისი თქმა სურს ამით?***

— მას მანდატი აქვს 2013 წლამდე. რა შუაშია 2015 წელი და რატომ ამოიჩემა ეს თხუთმეტი? რატომ არა 2016, ან 2017? რა ციკლი აქვს ასეთი, რა იდიაფიქსი აქვს ამ 2015 წელიწადზე?! მას უნდა უთხრას ყველამ, რომ შენ არჩეული ხარ 2013 წლამდე. კეთილი ინებე და გვითხარი, რას აპირებ 2013 წლის ჩათვლით, ვიდრე შენ იქნები პრეზიდენტი. აი, ამაზე უნდა იყოს ლაპარაკი. ორი ვადა ჰქონდა, კეთილი ინებოს, და დადოს მაგიდაზე ის პირობები, რაც ამ ორ ვადაში შეასრულა. ტერიტორიების აღდგენა უნდა ყოფილიყო მისი პრეზიდენტობის პირველ ვადაში, გააკეთა რამე ამისთვის?! სად შეასრულა ის პირობები, რაც მან დადო პირველ და მეორე ვადაში. რომელი საწარმო აშენდა მაგალითად თბილისში, რა ბიზნესი განვითარდა? ყველაფერი გაჩერებულია. თუ რამე აშენდა საძირკველიდან სახურავამდე თბილისში, ეს არის მხოლოდ და მხოლოდ შინაგან საქმეთა სამინისტრო. საბჭოთა კავშირის იმპერიის დროს აშენებული შენობების რემონტს აკეთებს და ამას ცხვირში გვტენის როგორც მშენებლობას. ესაა მშენებლობა?! ფასადის რემონტი მშენებლობაა? რა გაუკეთებია საერთოდ, რომ ასე ბაქიბუქობს და 2015 წლისთვის რაღაცებს გვპირდება.

***— მეტრო უნდა გაიყვანოს მცხეთაში...***

— მცხეთაში გაყვანას სჯობია დელისიდან საბურთალომდე გაიყვანოს ნორმალურად მეტრო და ადამიანები ერთი გვირაბიდან მეორე გვირაბში არ გადადიოდნენ. ერთი გვირაბი ვერ გაუკეთებია საბურთალოს ხაზზე და რომელ ახალ სადგურზეა საუბარი. ეს ყველაფერი დაცინვაა. ამერიკის მიერ მოცემული ფულით ასაშენებელი ტრასა, რომელიც უკვე დიდი ხნის აშენებული უნდა იყოს სულ ცოტა გვირაბამდე, ჯერ კიდევ გაჩერებულია გორთან. ეს ყველაფერი ამერიკელების ფულით კეთდება.

***— სამაგიეროდ, ააშენა ახალი პარლამენტის შენობა...***

— მისი მიზანია, რომ მოახდინოს აბსოლუტური დეპოლიტიზაცია ქვეყანაში და ამას არქმევს დეცენტრალიზაციას. დეცენტრალიზაციაა, როცა ცენტრიდან რეგიონებში გადაგაქვს ხელისუფლება, ანუ უნაწილებ რეგიონებსაც უფლებებს და არა ის, რომ პარლამენტი გადაიტანო დედაქალაქიდან. დეცენტრალიზაციაში თვითმმართველობაა ჩადებული, მას კი თბილისიდან გააქვს პოლიტიკური სტრუქტურები. რასაც ის აკეთებს, ეს არის დეპოლიტიზაცია.

***— თვითონ ახალ შენობაზე რა შთაბეჭდილება დაგრჩათ?***

— ეს არის ავადმყოფობა, შენობა ნახევრადაც არ არის აშენებული და მის გახსნას ჩქარობს. სწორედ ეს არის მისი ავადმყოფური ბუნების გამოვლინება. შენობა რომ დასრულდება, კარგი საკონცერტო დარბაზი იქნება და ქუთაისელებს კარგი კონცერტების ნახვა შეეძლებათ, როდესაც პარლამენტი ისევ დაბრუნდება თბილისში. რა ბოდვა და აკვიატება იყო, რომ მაინცდამაინც 26-ში გახსნილიყო, რა იყო იქ გასახსნელი, ერთადერთი დარბაზი გააკეთეს. პარლამენტის შენობა კი არ გაიხსნა, გაიხსნა პარლამენტის შენობაში სხდომათა დარბაზი. შემდეგ გახსნიან პარლამენტის შენობაში ბუფეტს და იმას გახსნის სააკაშვილი. შემდეგ გახსნიან პარლამენტის შენობაში კაცთა ტუალეტს და იმას გახსნის, მერე ქალთა ტუალეტს გახსნის პარლამენტის შენობაში. ასე აპირებს პარლამენტის გახსნას თუ რაშია საქმე? თუ ყველა დეპუტატის კაბინეტი ცალ-ცალკე გახსნა, კარგად ყოფილა ჩვენი საქმე. შენობა კარგია და ვულოცავ ქუთაისელებს ლამაზი შენობის შეძენას.

***— თქვენ თქვით, რომ საკონცერტო დარბაზად გამოდგებაო, რატომ? სააკაშვილის წასვლის შემდეგ ვერ იფუნქციონირებს ქუთაისში პარლამენტი?***

— თუ ქვეყანა იარსებებს, პარლამენტი უნდა იყოს დედაქალაქში. შეიძლება დედაქალაქის გადატანა უნდა ქუთაისში, ეს სხვა საკითხია. სადაც დედაქალაქი იქნება, პარლამენტიც იქ უნდა იყოს. პარლამენტი იყოს ქუთაისში, მთავრობა — თბილისში და საკონსტიტუციო სასამართლო ბათუმში, ეს



აბსურდული მოვლენაა. ეს მეტყველებს იმაზე, რომ სახელმწიფო არ არსებობს. ეს დაახლოებით ის არის, რომ ადამიანი მუდმივად ცხოვრობდეს რეანიმაციაში და მუდმივად ჩართული იყოს აპარატზე. ერთი აპარატი აწარმოებდეს სუნთქვას, მეორე აპარატი — კუჭის მოქმედებას, მაშინ ის ადამიანი ხომ აღარ არის? ცოცხალი კია, მაგრამ ადამიანი აღარაა, ის ბუნებით მინიჭებულ ფუნქციას ვერ ასრულებს. ასევეა სახელმწიფოც. თუ ასე გადანაწილდება ფუნქციები, ჩვენ დავემსგავსებით არაფუნქციონირებად სახელმწიფოს. საქართველოში ჯერ სახელმწიფო არ ყოფილა, როგორც კი სახელმწიფო შეიქმნება, პარლამენტი იქნება აუცილებლად დედაქალაქში.

***— ასევე მინდა გკითხოთ საპარლამენტო ოპოზიციის შესახებ. გიორგი თარგამაძე ჯერ უარს ამბობდა, თუმცა მაინც წავიდა ქუთაისში...***

— ხოდა, მიიღო კიდეც ჩაფხუტი თავში. დღეს საქართველოს დამაქცეველი არა თარგამაძე, არამედ სააკაშვილია. მე არ ვთვლი, რომ თარგამაძის შესახებ ბევრი ლაპარაკია საჭირო. თარგამაძე ადასტურებს საზოგადოებაში არსებულ იმ მკაფიო და მყარ პოზიციას, რომ ის ეხმარება სააკაშვილს, დემოკრატიული იმიჯი შეუქმნას არარსებულ ქვეყანას, როგორიცაა საქართველო. ეს არ არის ყველაზე დიდი ტრაგედია, ქრისტიან-დემოკრატების. მათი ტრაგედია ის იყო, როდესაც მათ ხმა მისცეს საკონსტიტუციო ცვლილებებს, რითაც არსებითად შეიცვალა ჯერ კიდევ არარსებული მანკიერი სახელმწიფო და მას კიდევ უფრო დიდი მანკიერი სახე შესძინეს. იმ ფონზე, როცა მათ მხარი დაუჭირეს საკონსტიტუციო ცვლილებებს, ქუთაისში ჩავლენ, ჩაფხუტს დაიხურავს თავზე თარგამაძე თუ სხვა რამეს მოიმოქმედებს, ამას არსებითი მნიშვნელობა აღარ აქვს.

***— როგორც ცნობილია, ჰილარი კლინტონი კავკასიური ტურნეს ფარგლებში 4 ივნისს საქართველოს ეწვევა, რას იტყვით ამ ვიზიტის შესახებ?***

— ეს კარგია. ერთადერთი დამაიმედებელი ის არის ჩვენი ქვეყნისთვის, რომ მათ მართლა უნდათ დაეხმარონ ჩვენს ქვეყანას და ამას საჭიროდ რომ თვლიან, ეს კარგია. შტატების ელჩის მყარი პოზიცია ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ ამერიკაში უფრო კარგად ხედავენ, რა ხდება საქართველოში, ვიდრე საქართველოს მთავრობა ამას წარმოაჩენს ქართველი ხალხის წინაშე.

***— არჩევნების წინ სერიოზულ გაფრთხილებებს მიიღებს სააკაშვილი?***

— დღეს სააკაშვილი სრულ აგონიაში და ისტერიკაშია. მას არ შესწევს უნარი, გონიერი წინადადება და რჩევა მიიღოს. ის აწყვეტილია და ქვეყანა მიჰყავს უფსკრულისაკენ. იმედია, ოქტომბერში შევძლებთ მის შეჩერებას.

***— აცხადებენ, რომ ივანიშვილში ვერ ხედავენ სერიოზულ მეტოქეს...***

— სააკაშვილმა დღემდე ვერ წარმოთქვა გვარი ივანიშვილი. დღეს სააკაშვილის ავადმყოფურ კონტექსტებზეა დაფუძნებული ქვეყნის მართვა და არა იგივე ბაქრაძის უუნარობაზე. მან გინდა ივანიშვილი თქვას და გინდა — პეტრიაშვილი. პრობლემა სააკაშვილშია. სად ახსენა იგივე მერაბიშვილმა სააკაშვილი, უცხოურ პრესაში. ქართულ პრესაში ხომ ვერ ამბობს ამას. მათ კრიჭა ეკვრებათ. ეს ტიპური ფსიქოლოგიური მომენტია. ისინი თავიანთი მოქმედებებით აღიარებენ, რომ მათ ჰყავთ მეტოქე, ივანიშვილის სახით და თანაც სერიოზული.

# ბიძინა ივანიშვილი: შარშანდელი 26 მაისი თავისუფლებისთვის ბრძოლის დღე იყო“

კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა 2011 წლის 26 მაისს თავისუფლებისთვის ბრძოლის დღე უწოდა. ამის შესახებ მან ჟურნალისტებს სამების საკათედრო ტაძარში 26 მაისის მოვლენების დროს დაღუპულთა და დაშავე-



ბულთა სახელზე პანაშვიდისა და პარაკლისის დასრულების შემდეგ განუცხადა.

– ერთი წელი გავიდა იმ ვანდალიზმისა და ბარბაროსობის შემდეგ, რაც ჩვენმა ხელისუფლებამ საკუთარი ხალხის წინააღმდეგ ჩაიდინა. 26 მაისი თავისუფლებისთვის ბრძოლის დღეა. დღეს მოვედი, რომ პატივი მივაგო თავისუფლებისთვის მებრძოლ გმირებს, – განაცხადა ივანიშვილმა.

მისივე თქმით, საქართველოს ხელისუფლების სირცხვილია, რომ 21-ე საუკუნეში ხალხი თავისუფლებისთვის ბრძოლაში იღუპება და სირცხვილია, რომ ხელისუფლება ხალხს ასე ექცევა.

ნიუსპრესი

# ბურჯანაძე ივანიშვილის სამებაში მისვლას პოზიტიურად აფასებს

„დემოკრატიული მოძრაობა“ ერთიანი საქართველოს ლიდერი ნინო ბურჯანაძე კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერის ბიძინა ივანიშვილის მიერ სამებაში მისვლის გადაწყვეტილებას პოზიტიურად აფასებს.



მისი თქმით, ივანიშვილის მხრიდან დიდი შეცდომა იქნებოდა , რომ ეს ნაბიჯი არ გადაედგა და გასაკვირი არ არის, რომ მან სწორი გადაწყვეტილება მიიღო.

როგორც ბურჯანაძემ აღნიშნა, დღეს საქართველოს დამოუკიდებლობის დღეა და სიმბოლურია, რომ ამ დღეს 2011 წლის 26 მაისის აქციის მონაწილეები ერთმანეთს ულოცავენ.

„ჩვენთვის ძალიან მტკივნეულია დღევანდელი დღე და სავალალოა, რომ ხელისუფლებამ ცრემლით გაუთენა ეს დღე ბევრ თავის თანამოქალაქეს და არა მხოლოდ იმ ადამიანებს ვინც იქ ვიყავით, არამედ ბევრს სხვას. ხელისუფლება ამაყობს იმით, რომ საკუთარ ხალხს გაწვრთნილი და შეიარაღებული ზონდერებით მოერია“-აღნიშნა ბურჯანაძემ.

მისივე თქმით „სახალხო კრების“ წევრები რამდენიმე დღის წინ შეხვდნენ პატრიარქს და დღევანდელი პარაკლისიც სწორედ მისი ლოცვა კურთხევით აღევლინება.

მისივე თქმით, გადახდილი იქნება პარაკლისი გასული წლის 26 მაისს დაკავებულთა და დაშავებულთა სახელზე და ასევე, პანაშვიდი გარდაცვლილთა სულების მოსახსენიებლად.

ნიუსპრესი

# ჯონდი ბაღათურია: 26 მაისის აქცია პრეზიდენტის მითითებით დაარბიეს“



პარტია „ქართული დასი“ გასული წლის 26 მაისის აქციის მონაწილეებს სოლიდარობას უცხადებს. როგორც სამების საკათედრო ტაძარში პარტია „ქართული დასის“ ლიდერმა, დეპუტატმა ჯონდი ბაღათურიამ განაცხადა, მისი პარტიის წევრები სრული შემადგენლობით იმყოფებოდნენ ღვთისმსახურებაზე, რომელიც შარშანდელი 26 მაისის აქციის დაშლის დროს დაღუპულებსა და დაშავებულებს მიეძღვნა.

ბაღათურიას შეფასებით, აქცია პრეზიდენტის პირადი მითითებითა და სურვილით დაარბიეს.

ნიუსპრესი

# აფხაზეთისა და ცხინვალის დამოუკიდებლობის ყიდვას რუსეთი ახლა სერბეთისგან აპირებს

**26–27 მაისს ხელისუფლებისა და ოპოზიციის წარმომადგენლები ზომაზე მეტად იყვნენ აჟიტირებულნი. ნაცმოძმა ქუთაისში გაიხარა აღლუმით, გუშინ კი თბილისი დაიქცა ივანიშვილის მომხრეების შეძახილებით. ვინ მტყუანია და ვინ მართალი, ეს ჩვენი განსასჯელი არ არის. საინტერესო და გულდასაწყვეტი ის არის, რომ ხელისუფლებასაც და ოპოზიციასაც დაავიწყდა სოხუმი და ცხინვალი. არადა, ამ რეგიონების გარშემო ძალიან შემაშფოთებელი პროცესები ვითარდება.**

თეა მარხვაიძე

ცნობილი გახდა, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა შესაძლოა სერბეთმა აღიაროს. კოსოვოს აღიარების შემდეგ სერბები დასავლეთზე განაწყენებული არიან. ეს დასავლეთი კი, თავის მხრივ, საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას უჭერს მხარს.

მხარდაჭერა, შეიძლება ითქვას, მხოლოდ სიტყვიერია, რადგანაც, როცა რუსეთი ამ ტერიტორიებს გვართმევდა, დასავლეთი მხოლოდ შეშფოთდა. 1993 წელს კი საერთოდ არ გაუგიათ, რა დაემართა ერთ პატარა ქვეყანას.

განცხადება იმის შესახებ, რომ სერბეთმა შესაძლოა აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი აღიაროს, ამ ქვეყნის პრეზიდენტმა ტომისლავ ნიკოლიჩმა გააკეთა. მან ამ თემაზე რადიოსადგურ „ეხო მოსკვისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ისაუბრა.

– თუ ასეთი საკითხი პარლამენტში დაისმება, ის განხილული იქნება. ამით კოსოვოში ჩვენს ინტერესებს არ ვემუქრებით. აქ პრინციპულად დიდი სტატუსობრივი განსხვავებაა. თუ თქვენ პატივს სცემთ საერთაშორისო სამართალს, მაშინ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი შეიძლება დამოუკიდებლები იყვნენ, კოსოვო და მეტოხია კი – არა, – განაცხადა სერბეთის პრეზიდენტმა.

აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი უკვე რამდენიმე ქვეყანამ, მათ შორის ვენესუელამ და ნიკარაგუამ აღიარა. ნიკარაგუის პრეზიდენტ დენიელ ორტეგას შალვა ნათელაშვილმა პირადად სთხოვა, არ აღიაროოო, მაგრამ ორტეგა გაჯიუტდა.

მათ გარდა, აფხაზეთი გაურკვეველი წარმომავლობის სახელმწიფოებმა აღიარეს. ტუვალუსა და ნაურუს აღიარება ჩვენს ხელისუფლებას სასაცილოდ არ ეყო.

გასაგებია, რომ არც ერთი ეს სახელმწიფო ამინდს არ ქმნის საერთაშორისო ასპარეზზე, მაგრამ მაინც ცუდი ფაქტია.

გაცილებით ცუდი ფაქტია ის, რომ სოხუმისა და ცხინვალის აღიარება ახლა უკვე ევროპაში დაიწყეს.

სერბეთს აფხაზეთიც და სამხრეთ ოსეთიც ფეხებზე ჰკიდია. მათ ამ შემთხვევაში სამაგიეროს გადახდის სურვილი ამოძრავებთ.

აგვისტოს ომამდე ცოტა ხნით ადრე დასავლეთმა კოსოვოს დამოუკიდებლობა აღიარა. სერბეთის ხელისუფლება ამაოდ ემუდარებოდა დასავლეთს, ეს არ გააკეთოთო, მაგრამ ამაოდ.

კოსოვოს აღიარების წინააღმდეგი რუსეთიც იყო. საქართველოც წინააღმდეგ წავიდა. დასავლეთის დიდი ხათრი კი ჰქონდათ, მაგრამ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს გამო თავი შეიკავეს.

ექსპერტებმა მაშინვე ივარაუდეს, რომ რუსეთი ამას აუცილებლად გამოიყენებდა. მოლოდინმა გაამართლა. მათ აფხაზეთი და სამაჩაბლო აღიარეს, ახლა კი სერბეთი აპირებს ამ საკითხის განხილვას.

იმედი ვიქონიოთ, რომ სერბეთის პარლამენტი ამ საკითხის განხილვას ცივი გონებით მოახდენს.

ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში არჩილ გეგეშიძე არ ფიქრობს, რომ სერბეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების საკითხის განხილვა ტენდენციის სახეს მიიღებს.

გეგეშიძემ „ნიუსპრესთან“ საუბარში არ გამორიცხა, რომ სერბეთის პარლამენტმა აღნიშნული საკითხი განიხილოს, თუმცა, ის მიიჩნევს, რომ ეს სერბეთის ახალი პრეზიდენტის მიერ უფრო რუსეთის გავლენით გაკეთებული განცხადება იყო.

– სერბეთში პრეზიდენტი არჩევნების გზით შეიცვალა. წინა პრეზიდენტი პროევროპული იყო და ევროკავშირისკენ მიისწრაფვოდა. შესაბამისად, აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან მიმართებით საერთაშორისო საზოგადოებაში ჩამოყალიბებულ აზრს იზიარებდა. ახალი პრეზიდენტი კი ცოტა ნაციონალისტია და მეტ-ნაკლებად რუსეთის გავლენის ქვეშაა, – განაცხადა მან.

გეგეშიძე არ გამორიცხავს, რომ პრეზიდენტმა ტომისლავ ნიკოლიჩმა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის საკითხის განხილვის შესახებ განცხადება რუსეთის კარნახით გააკეთა. მისი ვარაუდით, ეს პრეზიდენტის არა სერიოზული გადაწყვეტილება, არამედ, ევროპასთან ვაჭრობა იყო.

ექსპერტის თქმით, სამხრეთ ოსეთს, აფხაზეთსა და კოსოვოს შორის ბევრი პოლიტიკური, ისტორიული და ეთნიკური განმასხვავებელი ნიშანია. მისი განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ კოსოვო ევროკავ-



შირის 23-მა სახელმწიფომ, ასევე აშშ-მ, ავსტრალიამ და კიდევ მრავალმა ქვეყანამ აღიარა, ის სრულფასოვანი სახელმწიფო მაინც არ არის.

– კოსოვო მაინც არ არის სრულფასოვანი ქვეყანა, რადგან ის გაერო-სა და სხვა ორგანიზაციების წევრი არ გახლავთ. აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი კი საერთოდ არაფრის წევრები არ არიან, – განაცხადა მან.

ექსპერტის თქმით, კოსოვოს ახალმა ხელისუფლებამ, რომელიც დასავლეთზეა განაწყენებული, ეს განცხადება სამაგიეროს გადახდის მიზნით გააკეთა.

გამორიცხული მართლა არ არის, რომ რუსეთმა სერბეთისგან აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა იყიდოს.

ასეთი რამ რუსებს ადრეც ხშირად გაუკეთებიათ. ამის შესახებ გასულ წელს ავტორიტეტულმა გამოცემა „კომერსანტმა“ წერილი გამოაქვეყნა. სტატიას, რომელმაც დიდი რეზონანსი გამოიწვია, ასეთი სათაური ჰქონდა – „სუვერენიტეტით მოვაჭრენი“.

სტატიის ავტორმა ალექსანდრე გაბუევმა სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში მოგზაურობის შემდეგ დეტალურად გააანალიზა და საზოგადოებას მიაწოდა ინფორმაცია, თუ რამდენი უჯდება რუსეთის ბიუჯეტს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული რეჟიმების აღიარების პროცესი.

რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის შემდეგ რუსეთმა გაააქტიურა ურთიერთობა ლათინური ამერიკის ქვეყნებთან და მხოლოდ განვლილ სამ წელიწადში ჩაატარა 22 ვიზიტი – უმაღლეს და 60 შეხვედრა მაღალ დონეზე. 2008 წლის ნოემბერში ამ ვიზიტების სერია გახსნა ქვეყნის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა, რომელმაც ჯერ პერუ, ვენესუელა და კუბა, ხოლო შემდეგ ბრაზილია და არგენტინა მოიარა. მას მიჰყვნენ პრემიერ-მინისტრი პუტინი, ვიცე-პრემიერი სეჩინი და საგარეო უწყების პირველი პირები.

მედვედევის განცხადებით, ეს პროცესი თითქოს რუსეთის ცენტრალურ ამერიკაში „დაბრუნებას“ ისახავდა მიზნად, მაგრამ რეალურად ყველა ეს შეხვედრა და საპასუხო ვიზიტები გამიზნული იყო სეპარატისტული აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებისთვის და მსოფლიოში რუსეთის დაცემული იმიჯის გამოსწორების მცდელობისკენ იყო მიმართული.

რუსეთის პრეზიდენტის გადაწყვეტილებას აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის ცნობის შესახებ 2008 წლის სექტემბერში ნიკარაგუას პრეზიდენტი დანიელ ორტეგაც შეუერთდა. რუსეთის ხელისუფლებისთვის ამ „სასიამოვნო“ მოვლენის შემდეგ, რომ იგი აფხაზეთის ცნობის საკითხში მარტო აღარ არის, ნიკარაგუაში გაიგზავნა მრავალრიცხოვანი დელეგაცია ვიცე-პრემიერ სეჩინის მეთაურობით, რომელმაც ადგილზე შეისწავლა ლათინური ამერიკის ამ ერთ-ერთი ულარიბესი ქვეყნის ეკონომიკური პრობლემები და მონაცემთა ჩამონათვალი სწრაფად გადასცა მოსკოვს. რამდენიმე დიდი და მცირე ელექტროსადგურის მშენებლობა, ნავთობის მარაგის მოძიება და ნიკარაგუის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესყიდვის გაზრდა, გაზეთ „კომერსანტის“ ცნობით, რუსეთის ბიუჯეტს დაუჯდა 1 მილიარდი ამერიკული დოლარის შეღავათიანი კრედიტი, რომელიც მოსკოვში საპასუხო ვიზიტით ჩამოსულ დანიელ ორტეგას გადაეცა აფხაზეთის აღიარების საფასურად.

ორტეგას ასეთი უხვი საჩუქრით მოხიბლულმა ვენესუელის რევოლუციის ლიდერმა და ვლადიმირ პუტინის მეგობარმა, პოლკოვნიკმა უგო ჩავესმა 2009 წლის სექტემბერში მოსკოვში ყოფნის დროს ხელი მოაწერა აფხაზეთის ცნობას და გასამრჯელოდ რუსეთიდან 2,2 მილიარდი დოლარის შეღავათიანი კრედიტი წაიღო.

ესეც არ აკმარეს და 2010 წლის თებერვალში კარაკასში მყოფმა პუტინმა 600- მილიონიანი საჩუქარიც დაუმატა უგო ჩავესს. ასევე შედგა დამატებითი შეთანხმება ასტრონომიული თანხის – 20 მილიარდი ამერიკული დოლარის ინვესტიციის სახით გამოყოფაზე ნავთობით მდიდარი მდინარე ორინოკოს აუზის შესასწავლად და დასამუშავებლად.

რუსეთის საგარეო საქმეთა უწყება სერგეი ლავროვის მეთაურობით აქტიურად აგრძელებს ღონისძიებებს ლათინურ ამერიკაში. მან თავისი მოგზაურობის დამთავრება ამ რეგიონში დაამთხვია რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ცნობის სამი წლისთავს და მოლაპარაკებები გამართა ნიკარაგუისა და განსაკუთრებით ვენესუელის საჩუქრებით მოხიბლული პერუსა და სალვადორის ხელმძღვანელებთან, რომლებსაც ხელიდან არ უნდათ გაუშვან სუვერენიტეტებით ვაჭრობის მომგებიანი ბიზნესი. სალვადორი, რომელსაც პროცენტულად თავისი 6-მილიონიანი მოსახლეობით მსოფლიოში პირველი ადგილი უჭირავს ყოველ ათას მოსახლეზე ჩადენილი მკვლელობების რაოდენობით, უკვე აქვს გამოცდილება ამ დარგის ბიზნესში. იგი შედის იმ ქვეყნების მცირე ჯგუფში, რომლებიც ცნობენ ტაივანს და არა აქვთ დიპლომატიური ურთიერთობა ჩინეთის რესპუბლიკასთან. შედეგი კი ის არის, რომ სალვადორის დედაქალაქში ქოხმახებს შორის ტაიბეიდან მიღებული ფულით სამინისტროების ფეშენებელური შენობები წამოიჭიმა სახელისუფლებო ჩინოვნიკებისთვის.

პერუში ვიზიტის დროს ქვეყნის პრეზიდენტმა ოლიანტა უმალამ მოთხოვნების მთელი სია წარუდგინა სერგეი ლავროვს, მათ შორის რუსული ტანკების, თვითმფრინავებისა და სხვა სამხედრო აღჭურვილობის კრედიტით შესაძენად.

ვენესუელის საგარეო საქმეთა მინისტრმა ნიკოლას მადურომ თავის რუს კოლეგას იარაღის შესაძენად 4-მილიარდიანი, ხოლო ინფრასტრუქტურისა და სოციალური პროექტების განვითარებისთვის 6,5 მილიონი დოლარის კრედიტი მოსთხოვა.

ალექსანდრე გაბუევის დასკვნებმა საფიქრალი გაუჩინა რუს ფინანსისტებს, რადგან აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეჟიმების ცნობისთვის წარმოებული ბიზნეს-გარიგებები უმძიმეს მდგომარეობაში აგდებს რუსეთის ისედაც დეფიციტურ ბიუჯეტს. მათივე გათვლით, მარტო ცხინვალის რეგიონში მოსკოვიდან გადაგზავნილი თანხები, რომელთა დიდი ნაწილი მმართველი ელიტის ჯიბეებში აღმოჩნდა, ადგილობრივ მოსახლეობაზე თანაბრად რომ გადანაწილებულიყო, თითო სული 40 ათას დოლარზე მეტს მიიღებდა, ხოლო აფხაზეთისათვის დახმარების სახით 10 მილიარდი რუბლია გათვალისწინებული. ამ და სხვა მონაცემებზე უფრო ღრმად დაფიქრება მოუწევთ სილატაკის ზღვარზე მყოფ რუს გადამხდელებს, განსაკუთრებით ქვეყნის პროვინციებში.

# კულტურული მემკვიდრეობის განვითარებისთვის რეგიონული თანამშრომლობა იწყება

ეკა ირემაშვილი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საკონფერენციო დარბაზში გაიმართა პროექტის „რეგიონული თანამშრომლობა კულტურული მემკვიდრეობის განვითარებისათვის“ პრეზენტაცია. პროექტი განხორციელდა ევროკომისიის აღმოსავლეთ პარტნიორობის კულტურული პროგრამის ფარგლებში და მიზნად ისახავდა მემკვიდრეობის მართვის გარემოს გაუმჯობესებასა და რეგიონული თანამშრომლობის გზით აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში მემკვიდრეობის სექტორის მმართველობის დახვეწის ხელშეწყობას, ასევე, აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში კულტურული მემკვიდრეობის სიცოცხლისუნარიანი დაცვის მიღწევასა და მის ინტეგრაციას ეკონომიკური განვითარების სფეროში. პროექტის ოთხი ძირითადი მიმართულებაა: მემკვიდრეობის ეროვნული კონცეფციის დამუშავება, კულტურული მემკვიდრეობის სფეროს ინტერესთა ჯგუფების კვალიფიკაციის ამაღლება, რომლის ფარგლებშიც 10 თემატური ფორქშოფი ჩატარდება. მდგრადი ეკონომიკური განვითარების სფეროში მემკვიდრეობის როლის გაზრდის მიზნით რეგიონული თანამშრომლობის განვითარება და გამოცდილების გაზიარება როგორც აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში, ასევე რეგიონსა და ევროკავშირის ქვეყნებს შორის, რომელიც სპეციალური ინტერნეტჟურნალის დაარსებას გულისხმობს. მასში მასალები განთავსდება საქართველოს, სომხეთის და უკრაინის წარმომადგენლების მხრიდან. დაგეგმვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესებში სამოქალაქო საზოგადოების ჩართვას, რომლის ფარგლებშიც სხვადასხვა პროექტებთან დაკავშირებით საჯარო განხილვებისა და პრესკონფერენციების მოწყობა და იუნესკოს დახმარებით სპეციალური სახელმძღვანელოს გამოცემაა დაგეგმილი. პროექტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების შესახებ დეტალები მოგვიანებით გახდება ცნობილი.

— ეს პროექტი გულისხმობს რეგიონულ თანამშრომლობას აღმოსავლეთ პარტნიორობის ექვსივე ქვეყანასთან და ხორციელდება საქართველოში, უკრაინასა და სომხეთში. პროექტის პარტნიორები არიან ძეგლებისა და ღირსშესანიშნავი ადგილების საერთაშორისო საბჭოს საქართველოს ეროვნული კომიტეტი, კომპანია „არქიტექტურა და პრესტიჟი“ (უკრაინა), ძეგლებისა და ღირსშესანიშნავი ადგილების სომხეთის ეროვნული კომიტეტი, ნორვეგიის კულტურული მემკვიდრეობის დირექტორატი.

პროექტის ასოცირებული პარტნიორები არიან კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციათა ქსელი, ერებუნის ისტორიულ-არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალი (სომხეთი) და უკრაინის ძეგლთა დაცვისა და კვლევის ინსტიტუტი. პროექტის მხარდამჭერია პოლონეთის საელჩო საქართველოში და ბრიტანეთის საბჭო. ჩვენ ვთანამშრომლობთ დაინტერესებულ პირებთან და სამინისტროებთან. მინდა აღვნიშნო, რომ სამინისტროების მხრიდან უკვე გამოყვეს საკონტაქტო პირები, რომლებიც ჩვენს პროექტში ჩაერთვებიან. შინაგან საქმეთა სამინისტრომ სექტემბერში უკვე დაგეგმა კულტურული მემკვიდრეობის სემინარი, — განაცხადა პროექტის კოორდინატორმა ნატო ცინცაბაძემ.

რეგიონული თანამშრომლობა კულტურული მემკვიდრეობის განვითარებისათვის პროექტის პრეზენტაციაზე საკუთარი მოხსენებები წარმოადგინეს ევროკავშირის დელეგაციამ საქართველოში, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნულმა სააგენტომ, ნორვეგიის კულტურული მემკვიდრეობის დირექტორატმა, მოეწყო კითხვა-პასუხი პროექტის გარშემო, ოლივერ რაისნერმა კი შემაჯამებელი სიტყვა წარმოთქვა.

— ეს პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ. იგი ხორციელდება ევროპის სამეზობლო პოლიტიკის აღმოსავლეთ პარტნიორობის კულტურული პროგრამის ფარგლებში. ჩვენი რესპონდენტები იყვნენ ნიკოლოზ რურუა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი. ეს სამინისტრო არის სამთავრობო დაწესებულება, რომლის საქმიანობა მოიცავს კულტურისა და კულტურული მემკვიდრეობის სფეროებს. სამინისტრო მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე შეიმუშავებს ქვეყნის პოლიტიკას კულტურისა და კულტურული მემკვიდრეობის სფეროებში და კოორდინაციას უწევს მის განხორციელებას, ამიტომ ნიკოლოზ რურუა ჩვენს პრეზენტაციაზე ერთ-ერთი მთავარი სტუმარი აღმოჩნდა. ნიკოლოზ ვაჩეიშვილი საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელია. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, რომელიც 2008 წელს ქვეყნის ეროვნული და მსოფლიო მნიშვნელობის კომპლექსური ძეგლების ბაზაზე შეიქმნა, წარმოადგენს მათ ერთობლიობასა და სამართალმემკვიდრეს. ეროვნული სააგენტოს მისიაა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვა-შენარჩუნება, კვლევა და პოპულარიზაცია, მუზეუმ-ნაკრძალების ინფრასტრუქტურის განვითარება, საბავშვო-საგანმანათლებლო პროგრამების მომზადება და ამუშავება, ძეგლთა დაცვის სფეროში საზღვარგარეთის წამყვან სამეცნიერო და საგანმანათლებლო ცენტრებსა და ორგანიზაციებთან თანამშრომლობა, ძეგლთა ინვენტარიზაცია და კულტურული მემკვიდრეობის საინფორმაციო ბაზის შექმნა. ოლივერ რაისნერი პროექტების მენეჯერი, ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში, რომელიც 1995 წელს გაიხსნა. წარმომადგენლობა გახლავთ დიპლომატიური მისია. ის წარმოადგენს ევროკავშირს და მისი ფუნქციაა, წარმოაჩინოს, ახსნას და განახორციელოს ევროკავშირის პოლიტიკა საქართველოში, ასევე გააანალიზოს და აღწეროს საქართველოს პოლიტიკა და მოვლენათა განვითარება. 2006 წელს მიღებულ იქნა საქართველო ევროკავშირის ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმა, რომელიც მიზნად ისახავს პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების პირობების განხორციელებას, აგრეთვე საქართველოსთან უფრო მჭიდრო ურთიერთობის ხელშეწყობას, მნიშვნელოვანი ეკონომიკური ინტეგრაციისა და პოლიტიკურ თანამშრომლობის გაღრმავების ჩათვლით. ეს ურთიერთობები კიდევ უფრო გაძლიერდება 2009 წლის მაისში მიღებული „აღმოსავლეთის პარტნიორობის“ ფარგლებში. პროექტის პრეზენტაციაზე მოვიწვიეთ იორგენ იორგენსენი ნორვეგიის კულტურული მემკვიდრეობის დირექტორატი — რიკსანტიკვარენი, რომელიც პასუხისმგებელია ნორვეგიის კულტურული მემკვიდრეობის აქტისა და ნორვეგიის პარლამენტის მიერ დამტკიცებული მიზნების პრაქტიკულ განხორციელებაზე. დირექტორატი ექვემდებარება ნორვეგიის გარემოს სამინისტროს და თანამშრომლობს მასში შემავალ სხვა დირექტორატებთან. საერთაშორისო თანამშრომლობა რიკსანტიკვარენის სტრატეგიაში განსაზღვრული ერთ-ერთი მიზანია. საერთაშორისო თანამშრომლობის გზით რიკსანტიკვარენს აქტიური წვლილი შეაქვს კაცობრიობის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საქმეში და ხელს უწყობს კულტურული უფლებებისა და კულტურული მრავალფეროვნების გაძლიერებას. პროექტის პარტნიორია იკომოს საქართველო, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციაა და მიზნად ისახავს მემკვიდრეობის რესურსის კონსერვაციას. ის დაარსდა 1993 წელს როგორც ძეგლებისა და ღირსშესანიშნაობათა საერთაშორისო საბჭოს ეროვნული კავშირი. იკომოს საქართველოს მისიაა, ეროვნულ დონეზე გაავრცელოს და დაამკვიდროს კონსერვაციის საერთაშორისო სტანდარტები. ამ მიზნით იკომოს საქართველოში ფუნქციონირებს თემატური სექციები — ხალხური არქიტექტურა, ისტორიული დასახლებები, კულტურული ტურიზმი, სარესტავრაციო მეთოდოლოგია — და აგრეთვე ხორციელდება არაერთი პილოტური პროექტი, რომელშიც, პრაქტიკულად, გამოიყენება საერთაშორისოდ აღიარებული საკონსერვაციო მეთოდოლოგია. „არქიტექტურა და პრესტიჟი“ უკრაინაში 1994 წელს დაარსებული კერძო კომპანიაა, რომელმაც დიდი გამოცდილება მიიღო პოსტსაბჭოთა რეალობაში პრაქტიკული ურბანული დაგეგმარების, არქიტექტურული და ინტერიერის დიზაინის, განსაკუთრებით კი ისტორიული და ბუნებრივი მემკვიდრეობის სფეროებში. პარალელურად, პოსტსაბჭოთა სივრცესა და ეპოქაში ის იყო პირველი პროფესიული ჟურნალის გამომცემელი. ჟურნალში განსაკუთრებით აქცენტირებული იყო მემკვიდრეობის განვითარება და მისი ანალიზი, განხილული იყო მაგალითები როგორც პოსტსაბჭოთა რეგიონიდან, ისე საერთაშორისო პრაქტიკიდან. კომპანიას რეგიონულ და საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის დიდი გამოცდილება აქვს. იკომოს სომხეთი არის ძეგლებისა და ღირსშესანიშნავი ადგილების საერთაშორისო საბჭოს სომხეთის ეროვნული კომიტეტი. სომხეთის იკომოსი არის 2002 წელს დაარსებული არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც იღვწის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების კონსერვაციის, დაცვისა და რეაბილიტაციისათვის. ორგანიზაცია აერთიანებს 70 პროფესიონალს, მათ შორის ახალგაზრდა პროფესიონალებს. იკომოს სომხეთი წარმოდგენილია არაერთ საერთაშორისო სამეცნიერო კომიტეტში — ხალხური არქიტექტურა, ისტორიული ქალაქები და სოფლები, მემკვიდრეობის ძეგლების პრეზენტაცია და ინტერპრეტაცია,

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# სამორი ბალდე პირველ ალბომს ჩაწერს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

და თავის პირველ ალბომს კომპანია „ბრავო რექორდსში“ ჩაწერს, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესო ხმის ჩამწერი სტუდიაა საქართველოში. ბანკმა „რესპუბლიკამ“ უკვე გააფორმა საჭირო ხელშეკრულება, ჩვენ, როგორც ამ პროექტის ხელმძღვანელები, ამ საზეიმო ცერემონიალს დავესწარით და კიდევ ერთხელ ვულოცავთ სამორის ამ გამარჯვებას, — აღნიშნა პროექტის პროდიუსერმა ნოე სულაბერიძემ.

ბანკი „რესპუბლიკა“ დააფინანსებს სამორის პირველი ალბომის ჩაწერას, გამოშვებას და შემდგომ მის პოპულარიზაციას. ამასთან დაკავშირებით ბანკმა გააფორმა ხელშეკრულება საქართველოში საუკეთესო ხმის ჩამწერ სტუდია „ბრავო რექორდსთან“, რომელიც სამორის ალბომს ჩაწერს და გამოსცემს.

— დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ყველას, ვინც თუნდაც ერთი ესემესი გამომიგზავნა და ამ პროექტის გამარჯვებულად ლიკა ლაბაძესთან ერთად დამასახელა. დიდი მადლობა ბანკ „რესპუბლიკას“. მან ყველაის ოცნება ამისრულა, რომელიც ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო. მიხარია, რომ ჩემი პირველი ალბომი ჩაიწერება და გამოიცემა და ეს მოხდება ყველაზე მაგარ სტუდიაში, „ბრავო რექორდსში“, — განაცხადა სამორი ბალდემ.

„ბრავო რექორდსში“ გაითვალისწინეს სამორის უმთავრესი ინტერესი — მუსიკა და მუსიკოსისთვის ყველაზე სასურველი საჩუქარი გადასცეს. ბანკი „რესპუბლიკას“ ეზოში სამმხრივ ხელშეკრულებას მოეწერა ხელი. სამორიმ რამდენიმე სიმღერაც შეასრულა. ეზოში შეიკრიბნენ სამორის თაყვანისმცემლები, ბანკის თანამშრომლები, უბრალო გამვლელები. სამორიმ მათთან ერთად ბევრი ფოტო გადაიღო და ავტოგრაფებიც უხვად დაარიგა.

— ჩვენი კომპანიისთვის დიდი პატივია, რომ სამორი ბალდე, ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული პროექტის, „ცეკვავენ ვარსკვლავების“ გამარჯვებული, თავის პირველ ალბომს სწორედ „ბრავო რექორდსში“ ჩაწერს. ჩვენ ყველანაირად კომფორტულ პირობებს შევუქმნით მას იმისთვის, რომ სადებიუტო ალბომი ისეთი გამოვიდეს, როგორიც სამორი ბალდეს ეკადრება, — განაცხადა „ბრავო რექორდსის“ ხელმძღვანელმა ზაზა შენგელიამ.

სამორი ბალდეს რიგით პირველ ალბომზე მუშაობა უკვე დაწყებულია, ივნისის დასაწყისში იგეგმება ჩაწერები, ალბომი კი ივლისში გამოიცემა.

## ფოთისა□და□ხობის□მიტროპოლიტ□გრიგოლის□კურთხევით 2009□წლის□ივლისიდან□მიმდინარეობს□ხობის□მონასტრის უძველესი□ტაძრის□სარესტავრაციო-აღდგენითი□სამუშაოები

2010 წელს ხობის ხარების დედათა მონასტრის უძველეს ტაძარში არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩნდა წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახე საძვალე.

(საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2011 წლის 11 ნოემბრის 611/15 დადგენილებით, ხობის მონასტრის რესტავრაცია—განახლებისათვის შემოწირულობის შეგროვების მიზნით გამოყოფილი სატელეფონო ნომრები: მაგთი, ჯეოსელი და ბილაინი 700 607, სილქნეტი 608 608, ახალი ქსელები და ახტელი 700 608, შეიცვალა ახალი ნომრით 0-901-900-900.

ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ფასიანი ზარის განხორციელება შესაძლებელია შემდეგი თანმიმდევრობით: 0-901-900-900.




იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

ცფ,ფყრჯჰტრდბპბნტ,ბ5

ajsbcf lf [j,bc tgfhmbf7 c+y @!% )() $@%
[j,b7 cja8yj]b[tdb
qdsbcvij,kbc [fht,bc ltlfsf vjyfcnthb8
c8c8 3kb,thsb ,fyrbc4 [j,bc abkbfkb
,+r5 @@) !)! $^%
fyu8 N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



sfy[bc xfcfhbw[fl itub'kbfs ufvjb.tyjs cohf-ab uflf[lbc fgfhfnt,b5 b[bkts vtybeib 2 c[dflfc[df 2 cfmdtkvjmvtlj 2 [j,bc vjyfcnthb8 ~pfhbc qbht,ekt,ff ! kfhb`8

[J,BC QDSBCVIJ,KBC [FHT,BC LTLFSF VJYFCNHBC OBYFV'QDFHB BQEVTYBF FYF ~VECTKBFYB`


## SMS-განცხადებები - 3090

### იყიდება

- მუხრან-თელეთში 275 კვ.მ. საცხოვრებელი სახლის თეთრი კარკასი, მონტერეის გადახურვით, საკუთარი წყლით, ბუნებრივი აირით, 600 კვ.მ. მიწის ნაკვეთით, რკინის კარით და ჟალუზებით, მეტალო-პლასტმასის კარ-ფანჯრებით. შესაძლებელია განვადება. ფასი 30.000 დოლარი. ტელ.: 790-55-58-62; 577-42-41-22. გიორგი.
- სოფ. ასურეთში 170კვ.მ გასარემონტებელი სახლი, 800კვ.მ მიწის ნაკვეთით, ხეხილისა და ვაზის ნარგავებით. ბოლო ფასი: 15.000 დოლარი. ტელ.: 8-790-55-58-62, 577-42-41-22.
- იყიდება ძროხების ფერმა 18 სულით, კაპიტალური შენობით (ნამატით). მთელი წელი საძოვრით უზრუნველყოფილი. იდეალურ პირობებში. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 591-40-91-31. ვარლამი.
- სასწრაფოდ იყიდება მიწის ნაკვეთი, 4000 კვ. მ. სოფ. ძალისში. იაფად. ტელ.: 555-334-220

### უფყნ[ფლტ,ტ,ბ

- იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.
- ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.
- მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.
- ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.
- კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 234-02-38 ექიმი ქ-ნი სალომე.
- იყიდება ან გირავდება საკუთარი სახლი, ფართით 106 კვ.სმ. გამოდგება საოფისედ, საცხოვრებლად, საწარმოდ მის: ნუცუბიძის ფერდობი 1 მ/რ,სახლი №5. ფასი შეთანხმებით. ტელ. 599-41-52-29; 568-65-10-48; 232-52-29; 231-48-72 ვაჟა.
- სმენის აღდგენა რამდენიმე დღეში ბიომასაჟით, ოსტეოქონდროზის, სახსრების დაავადებების, პროსტატიტის, ცისტიტის, ნევრიტების, რადიკულიტის, გასტრიტის, კოლიტის, ქოლეცისტიტისა და სხვა დაავადებების განკურნება უმოკლეს დროში. მის: ქ.თბილისი, თ.აბულაძის ქ.20, დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტელ: 551-25-45-35, ბ-ნი ლევანი.
- წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 571-33-01-61.
- ნანა ქიბროწაშვილი, შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ფოტოსურათით მოგიხსნით: პათოლოგიურ სიმთვრალეს, ალკოჰოლიზმს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებს და ქმედებებს, ეჭვიანობას, ძილში მოუსვენრობას, კოშმარულ სიზმრებს, თვითმკვლელობის სურვილს, დეპრესიას, დაძაბულობას, ოჯახურ კონფლიქტებს. მის: წერეთლის 57, II სადარბაზო, II სართული, ოფისი 7. მიღება 12-დან 15 საათამდე, გარდა შაბათ-კვირისა. ტელ: 599-498-423.

# ნუ დავაკნინებთ „დილასა“ და ქართულ ფეხბურთს

**დილა – ზესტაფონი 4:1**

**თბილისი. მიხეილ მესხი.**

**10.000 მაყურებელი**

***0:1 აფციაური, 1:1 ხოჯავა (30პ), 2:1 ვაწაძე (50), 3:1 ილურიძე (66), 4:1 ინწკირველი (90)***

**დილა:** სკენდერი, ბეჟვაია, თოთაძე, ინწკირველი, სალუქვაძე, კაშია, არზიანი, ხოჯავა (ახალკაცი 81), კახელიშვილი, ს.გურული (ილურიძე 61), ვაწაძე (ბარაბაძე 88)

**ზესტაფონი:** რ.კვასხვაძე, ღონღაძე, საჯაია, კობახიძე (ოვონიკოკო 68), ელიავა, გორგიაშვილი (შარიქაძე 60), მენთეშაშვილი, აფციაური, შ.გრიგალაშვილი, დ.მუჯირი (გ.ონიანი 46), დვალი

**გაძევება:** ღონღაძე (30), დვალი (85)

ქართული ფეხბურთი ასეთ ტალახშია – ასე დავიწყებთ ამ მატჩის რეპორტაჟს. ჩვენს მკითხველს კარგად ეხსომება, როდესაც ჯერ კიდევ ზამთრის პაუზისას ვწერდით, რომ საქართველოს ჩემპიონისა და თასის მფლობელის ვინაობა ადრიანად არის გარკვეული. თასის მფლობელად მაშინ გორელებს ვგულისხმობდით და ასეც მოხდა. სულაც არ გვინდა, „დილას“ ეს წარმატება დავაკნინოთ, რადგან თემურ შალამბერიძის გაწვრთნილმა გუნდმა ურიგო შთაბეჭდილება ნამდვილად არ დატოვა და საკმაოდ ცნობილი (ქართული მასშტაბით) ფეხბურთელებით არის დაკომპლექტებული, მაგრამ ის, რაც მოედანზე მყოფმა მსაჯებმა 26 მაისს იკადრეს, ქართულ ფეხბურთს ნამდვილად ლაფში სვრის.

მთავარი არბიტრის ლევან კვარაცხელიას ქმედებამ ფინალი, პირდაპირ რომ ვთქვათ, „გააფუჭა“ და საფეხბურთო ზეიმი ნამდვილად არ შედგა. ვერც გულშემატკივარმა იხილა ის დაძაბული ბრძოლა, როგორიც ფინალს შეშვენის. მთელი პირველი ტაიმი კვარაცხელიას ხელი ერთი მიმართულებით ჰქონდა გაშვერილი და ნებისმიერ საკამათო ეპიზოდს გორელთა სასარგებლოდ სჯიდა. სამაგიეროდ, იყო ბევრი კამათი მსაჯსა და „ზესტაფონის“ ფეხბურთელებს შორის. ეს გასაკვირიც არ არის – იმერლებს ფეხბურთის თამაშს არ აცდიდნენ და სხვა რა უნდა ეკეთებინათ. თამაშიც რამდენჯერმე გაჩერდა, რადგან განრისხებულმა ზესტაფონელმა გულშემატკივრებმა გვერდით მსაჯს ზურაბ ერქვანიას სხვადასხვა საგანი ესროლეს. ერთ ეპიზოდში ორივე გუნდის სათადარიგოთა სკამზე მსხდომნიც შეკამათდნენ.

„დილამ“ დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის არსებობის ისტორიაში საქართველოს თასი პირველად მოიგო და მომავალ სეზონში ევროპის ლიგის გათამაშებაში მეორე საკვალიფიკაციო ეტაპიდან ჩაერთვება.

საწყისი წუთები გორელების იყო და პირველად მეტოქის კარისკენ ლაშა თოთაძემ ჯარიმიდან დაარტყა, თუმცა როინ კვასხვაძეს კომფორტი ვერ დაურღვია. მალევე, გოჩა ხოჯავას ჩამოწოდების შემდეგ, მათე ვაწაძემ თავით სუსტად დაარტყა და კვასხვაძეს ბურთის დაჭერა არ გასჭირვებია.

ყველაზე რეალური ხიფათი მე-11 წუთზე შეიქმნა, როდესაც ხოჯავამ ბურთი მარჯვნიდან საჯარიმოში შეჭრილ გიორგი კახელიშვილს შეაყოლა – მისი დარტყმული ოდნავ ასცდა ზესტაფონელთა კარს.

და გოლი, მხოლოდ გორელთა კარში. მე-13 წუთზე თორნიკე აფციაურმა მცირე შედევრი შექმნა – მეტოქის ორი მცველი ორჯერ გააბითურა და საჯარიმოს ფარგლებს გარედან მარცხენა ფეხით მარის სკენდერს მოხდენილი დარტყმით მარჯვენა „ცხრიანში“ გაუტანა.

მე-19 წუთზე უცნაური რამ მოხდა – დავით მუჯირს მეტოქესთან ორთაბრძოლის დროს თავი გაუტყდა, მაგრამ კვარაცხელიამ „ზესტაფონის“ ფეხბურთელი გააფრთხილა.

მატჩის საკვანძო მომენტი კი 30-ე წუთზე მოხდა. გოჩა ხოჯავამ ზესტაფონელთა მეკარესთან პირისპირ მათე ვაწაძე გაიყვანა, რომელიც დარტყმას აპირებდა, მაგრამ ზურგსუკან მყოფი თემურ ღონღაძე ფეხებში ჩაუხტა და წაიქცა. მსაჯმა პენალტი დანიშნა და ღონღაძე ბოლო იმედის ჯარიმისთვის გააძევა. პენალტი ზუსტად ხოჯავამ შეასრულა – 1:1.

ამის შემდეგ თამაში ცოტა ხნით შეწყდა. მცირე საქმის გარჩევაში, ორივე გუნდის მწვრთნელების გარდა, სპორტული დირექტორი მამუკა ჯუღელიც ჩაერთო. საბოლოოდ ვითარება დაწყნარდა და ჯუღელიც გორელთა სათადარიგო სკამის სიახლოვეს დისლოკაციის ადგილს დაუბრუნდა. თუმცა, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ სპორტულ დირექტორს სათადარიგოთა სკამზე ჯდომისა თუ მის სიახლოვეს ყოფნის უფლება არ აქვს.

რაც შეეხება პენალტს: პირველი ის, რომ ხოჯავას პასის მომენტში ვაწაძე თამაშგარე მდგომარეობაში იმყოფებოდა, რაზეც თვალები ლაინსმენმა დახუჭა, შემდეგ კი ღონღაძემ საჯარიმოში წესების სრული დაცვით ითამაშა, რაც მსაჯმა დარღვევად მიიჩნია, პენალტიც დანიშნა და „ზესტაფონი“ კაცნაკლულიც დატოვა.

ფაქტობრივად, ღონღაძის გაძევება გადამწყვეტი აღმოჩნდა, რადგან 10 კაცით დარჩენილი „ზესტაფონისთვის“ მეტოქისთვის წინააღმდეგობის გაწევა უკვე რთული იყო, მით უფრო ასეთი მსაჯობის ფონზე. ცოტა ხანში თამაში ისევ შეჩერდა, რადგან „ზესტაფონის“ქომაგებმა ტრიბუნიდან სხვადასხვა საგნები გადმოყარეს.

39-ე წუთზე, მარცხნიდან თოთაძის პასის მერე, იმერელთა საჯარიმოში ორ მცველს შორის მოქცეულმა ვაწაძემ ბურთი დაამუშავა და შემოტრიალებით დაარტყა, მაგრამ კვასხვაძემ იყოჩაღა.

44-ე წუთზე დავით მუჯირმა ბურთი ლაშა სალუქვაძეს აართვა და სკენდერთან პირისპირ გადიოდა, მაგრამ მსაჯმა მასზე წესების დარღვევა დააფიქსირა. უნდა ითქვას, რომ მსაჯმა ამჯერად „ზესტაფონს“ შეტევა ჩაუშალა, რადგან მუჯირის მხრიდან წესების დარღვევა საეჭვოდ ჩანდა.

შესვენებაზე გასვლამდე „ზესტაფონი“ აშკარა გოლს გადაურჩა. ხოჯავამ მეკარესთან პირისპირ კახელიშვილი გაიყვანა, რომელსაც კვასხვაძემ აუღო, ხოლო გადმოვარდნილ ბურთს ახლო მანძილიდან თავად ხოჯავამ ცარიელ კარში არაზუსტად დაამატა.

მეორე ტაიმი „დილას“ შეტევებით დაიწყო. ჯერ კახელიშვილმა ააცილა მიზანს, ხოლო შემდეგ გიგა ბეჟვაიას კვასხვაძემ აუღო. 50-ე წუთზე, მარჯვნიდან კახელიშვილის ჩამოწოდების შემდეგ, ედიკი საჯაიამ ბურთი კინაღამ საკუთარ კარში ჩაჭრა. საბოლოოდ კუთხური დაინიშნა, რომელიც ხოჯავამ შეასრულა და ვაწაძემ თავურით გორელები დააწინაურა – 2:1.

და მორჩა... „ზესტაფონი“ თავის თავს არ ჰგავდა, გუნდი გატყდა, აღარ ეტყობოდათ ის ჟინი და მონდომება, რომელიც მთელი სეზონის მანძილზე ჰქონდათ.

66-ე წუთზე, მარჯვენა ფრთიდან კახელიშვილის პასის შემდეგ, მეტოქის საჯარიმოში მყოფმა გიორგი ილურიძემ ვარდნაში ზუსტად დაარტყა – 3:1. იქვე მატჩი ისევ შეწყდა, რადგან გვერდით მსაჯს ერქვანაის „ზესტაფონის“ ფანებმა კვლავ რაღაც საგნები ესროლეს.

82-ე წუთზე, მარჯვენა ფლანგიდან ახალკაცის ჩამოწოდების მერე, ილურიძემ ახლო მანძილიდან ნახტომში კარს ბურთი თავით ააცილა.

84-ე წუთზე მსაჯის მოქმედებით განაწყენებულმა აფციაურმა კვარაცხელიას ბურთი მიაწოდა, აქაოდა, აგერ არის და ითამაშეო. არბიტრმა, ცხადია, ეს არ აპატია და ყვითელი ბარათი მისცა. თანაგუნდელს დვალი გამოესარჩლა და კვარაცხელიას ტაში დაუკრა, რისთვისაც მეორე ყვითელი ბარათი მიიღო და მოედნის დატოვება ნაადრევად მოუწია. დვალმა მაისური გაიხადა და კვარაცხელიას დემონსტრაციულად ჩუქნიდა.

ამ ეპიზოდიდან მალევე ცხრაკაციან „ზესტაფონს“ გოლის გატანა შეეძლო. აფციაურმა მეკარეს ლევან შარიქაძე შეატოვა, რომელმაც მარჯვენა მახვილი კუთხიდან სკენდერს ვერ გაუტანა. მატჩში წერტილი ინწკირველმა დასვა, როდესაც გორელებმა მარჯვენა ფლანგიდან კუთხური მოაწოდეს და ბარაბაძემ ბურთს ფეხი ააცილა, ხოლო „დილას“ ცენტრალურმა მცველმა გოლი ეფექტური დარტყმით გაიტანა.



**მატჩის შემდეგ:**

**თემურ შალამბერიძე, „დილას“ მწვრთნელი:**

– ძალიან დაძაბული და ემოციური თამაში იყო. ეს ემოცია ფეხბურთელის გაგდებამ და პენალტის დანიშვნამ მოიტანა. თუ პენალტი იყო, მაშინ კაციც უნდა გაეგდოთ. „დილას“ თასი აქამდე არ აუღია და ვულოცავ თასის აღებას. ფინალზე კი არა, როდესაც გუნდს შინაგან საქმეთა სამინისტრო აფინანსებს, ყოველთვის ასეთი ამბავი იქნება. რა, ამაზე ცუდი მსაჯობა არ გინახავთ?!

**გია ჭიაბრიშვილი, „ზესტაფონის“ მწვრთნელი:**

– ძალიან რთულია თამაში, როდესაც ჯარიმა არ არის და ჯარიმა იდება, როდესაც ფოლის გარეშე თამაშობ, როდესაც თამაშგარეს გარეშე თამაშობ. მსაჯმა ამაზე უარესი რა უნდა გააკეთოს?! ამის შემდეგ მსაჯობაზე ხმას აღარ ამოვიღებ. თუ წავაგებთ, ვიტყვი, რომ ჩემი ბრალია. უბრალოდ, ვიტყვი, რომ ეს მსაჯობა არ არის. ჩემი გუნდის თამაშს ცუდად შევაფასებ, რადგან 1:4 წავაგეთ. თუმცა, თუ არ გათამაშეს, ვერ ითამაშებ. თემურ შალამბერიძეს გამარჯვებას ვულოცავ. გულით ვუგულშემატკივრებ ევროტურნირებზე. შემდეგი სეზონი „დილასთვის“ ძალიან ცუდი იქნება, რადგან ასეთ რაღაცებს ვიმახსოვრებ და, სადაც შევხვდები, შევეცდები, მოვუგო. მსაჯმა ძალიან დიდი ლაფსუსები დაუშვა. არ შეიძლება, პირველი წუთიდან ბოლო წუთამდე ყვითლები აფრიალო. სჯობს, კვარაცხელიამ თავისი ემოციები სხვაგან დახარჯოს. ამდენი ადამიანი მიდის ფინალის სანახავად და ზეიმის ხილვა სურს, მაგრამ მსაჯმა ამდენი ხალხი დასაჯა. ეს თამაში მსაჯმა „გააფუჭა“. პირადად ფინალით ვერ ვისიამოვნე. საქართველოში ფეხბურთი ისედაც არ არის და საერთოდ ნუ მოვკლავთ.

# 19-წლამდელებმა ელიტ-რაუნდი წარმატებით დაიწყეს

**ბოსნია – საქართველო 2:4**

***1:0 მალეტიჩი (20), 1:1 ყაზაიშვილი (24), 1:2 ჭანტურია (35), 1:3 სხირტლაძე (39), 2:3 მალეტიჩი (43პ), 2:4 სხირტლაძე (61)***

**ბოსნია:** იაიალო, სარვანი (ჰაჯანოვიჩი 90), ბევაბი, გრაოვატსი, კუკავიცა, ბილაჩი (ჰოჯიჩი 58), ზოლოტიჩი, მალეტიჩი (ჰაძიჩი 79), პრციჩი, სივსიჩი, კოჟული

**საქართველო:** ლეგაშვილი, გრიგალაშვილი, გაგნიძე, გიგაური, ყაზაიშვილი, პარუნაშვილი (კიკნაველიძე 90), სხირტლაძე (გელაშვილი 73), ჭანტურია (სამუშია 83), ზარნაძე, პაპავა, ჯგერენაია

საქართველოს 19-წლამდე ნაკრებმა ელიტრაუნდი დამაჯერებელი გამარჯვებით დაიწყო. საწყის წუთებში ნერვიულობისა და გაშვებული გოლის შემდეგ კორღალიძის გუნდი დალაგდა, საკუთარი თამაში იპოვა და მალევე დაანახვა მეტოქესა და ტრიბუნაზე თავშეყრილ, მათდამი აგრესიულად განწყობილ გულშემატკივრებს, რომ ნამდვილ, ლამაზ და, რაც მთავარია, შედეგიან ფეხბურთს თამაშობს და ჯგუფის ფავორიტია.

პარალელურად მიმდინარე შეხვედრაში, სადაც ერთმანეთს ხორვატია და ავსტრია ხვდებოდნენ, „საჩვენო“ ანგარიში დაფიქსირდა – 2:2. ხორვატები თამაშს აგებდნენ და ბოლო წუთებზე მოახერხეს ქულის გადარჩენა.

ამ დროისათვის, 3 ქულით ჯგუფის ლიდერი საქართველოს ნაკრებია. თითო ქულა აქვთ ხორვატიასა და ავსტრიას, ბოსნიელები კი ნული ქულით ჯგუფის ბოლო ადგილს ამაგრებენ.

რაც შეეხება უშუალოდ მატჩს, ამჯერად საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვებგვერდს უნდა დავეყრდნოთ, რადგან მატჩის ხილვის საშუალება არ გვქონია და მხოლოდ ტექსტური „ლაივით“ შემოვიფარგლებოდით.

მატჩი ჩვენი გუნდის წვრილმანი შეცდომებით დაიწყო. პირველი გოლიც ჩვენი ცენტრალური დაცვის უყურადღებო თამაშის შემდეგ გაგვიტანეს. მალეტიჩი ლეგაშვილის კართან უმეთვალყურეოდ დარჩა და თავით გოლის გატანა აღარ გასჭირვებია.

გაშვებულმა გოლმა ქართველ ფეხბურთელებს ჟინი შემატა და ჩვენმა გუნდმა შტურმი მიიტანა ბოსნიელთა კარზე. ჭანტურია და ყაზაიშვილი, რაც მოესურვებოდათ, იმას აკეთებდნენ თავიანთი ფლანგებიდან, ცენტრში კი ძალიან სოლიდურად გამოიყურებოდა დავით სხირტლაძე, რომელსაც აშკარად ეტყობა გამოცდილება და სათამაშო კლასი.

ანგარიში ვაკო ყაზაიშვილმა გაათანაბრა. საჯარიმოს ხაზთან მყოფმა სხირტლაძემ თანაგუნდელს მახვილგონივრული გადაცემა შეაყოლა და ვაკომაც გადამწყვეტი დარტყმა ისე შეასრულა, როგორც მისი დონის მოთამაშეს ეკადრება – 1:1.

ამის შემდეგ კიდევ არაერთი სახიფათო, თითქმის ასპროცენტიანი მომენტები შეიქმნა მეტოქის კართან. ბოსნიელი მცველები ვერაფერს უხერხებდნენ ჭანტურიას ინდივიდუალურ გარღვევებს და მხოლოდ დიდი გაჭირვებით ახერხებდნენ მის შეჩერებას. ჭანტურიამ კი თავისი გოლი სულ მალე გაიტანა. მეტოქის საჯარიმოს სიახლოვეს დანიშნული ჯარიმა ნაკრების შემტევმა თავად შეასრულა. საჯარიმოში შექმნილ არეულობაში ბურთი ყველამ გაატარა და საბოლოოდ შორეულ დაბალ კუთხეში შევარდა. მეკარემ რეაგირება ველარ მოასწრო – 2:1.

მერე უკვე სხირტლაძის ჯერიც დადგა. დავით ლეგაშვილმა ბურთი თამაშში შეიყვანა და მიზანმიმართულად

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# ქეცბაიას ახალი პრობლემა – ამჯერად ნაკრები ყენიამ იუარა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

მწვრთნელი იქნება, ყენია ნაკრებში არ ითამაშებს.

ცოტა არ იყოს, გაკვირვებულიც დავრჩით – ყენიასგან ასეთ ნაბიჯს არ მოველოდით. თუმცა, კულუარულად იმასაც საუბრობენ, რომ ამჟამად უგუნდოდ მყოფი ყენიას გადაბირება მავან კლუბს სურს და ქეცბაიამ შეგნებულად არ ათამაშა, რათა მისი ყველა სხვა ტრანსფერი დაებლოკა.

ცხადია, მომხდართან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა თემურ ქეცბაიამ, რომელიც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვებგვერდზე გამოქვეყნდა:

– საქართველოს ეროვნული ნაკრები მთელი ქვეყნის საკუთრებაა. გუნდში გამოძახებული თითოეული მოთამაშის მიზანი კონკრეტულ შეხვედრაში შედეგის მიღწევა უნდა იყოს. ნაკრების მატჩებში და კონკრეტულად თურქეთთან შეხვედრაში მოედანზე გავიდა ყველა ის ფეხბურთელი, რომელიც შეხვედრას ოპტიმალურ ფორმაში შეხვდა. ჩვენ გუნდში რამდენჯერმე გამოვიძახეთ ის ფეხბურთელები, რომლებიც გარკვეული პერიოდის განმავლობაში ეროვნულ გუნდში სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ ხვდებოდნენ. მათი არასასურველი ფორმის მიუხედავად, ამ ფეხბურთელებს ჰქონდათ შესაძლებლობა, გუნდთან ერთად ყოფილიყვნენ შეკრებაზე, რათა მათ სამომავლოდ ნაკრებში დაბრუნების პერსპექტივა და მოტივაცია არ დაეკარგათ. საქართველოს ეროვნულ ნაკრებში იქნებიან მხოლოდ ის ფეხბურთელები, რომლებიც ქვეყნის გამარჯვებაზე იფიქრებენ და არა საკუთარ თავზე. თითოეული ფეხბურთელი ვალდებულია ზრუნავდეს ნაკრების წარმატებაზე. ისინი არ უნდა აყენებდნენ საკუთარ თავს ნაკრების ინტერესებზე წინ, – აცხადებს ნაკრების თავკაცი.

უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ეს ქეცბაიას პირველი კონფლიქტი არ არის ნაკრებში. აქამდე ნაკრებს მიღმა, მწვრთნელის გადაწყვეტილებით, დარჩნენ გოგიტა გოგუა, დავით სირაძე, გიორგი მერებაშვილი, ლევან კობიაშვილი... ძნელი დასაჯერებელია, რომ ყენიასთან მიმართებით ქეცბაიამ ყველაფერი შეგნებულად გააკეთა. თუმცა, მსგავს ფაქტებს აქამდე ჩვენს ნაკრებში მრავალჯერ ჰქონია ადგილი.

ეროვნული ნაკრები არ არის გამოფენა-გაყიდვის ადგილი – იქ შენ შენი ქვეყნის ინტერესს იცავ და შენ უკან საქართველოა. ეს ყველას ეხება – მწვრთნელსაც და ფეხბურთელსაც.

# შედეგები

**ფეხბურთი**

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| კოსტა რიკა-გვატემალა | 3:2 |
| მოზამბიკი-ნამიბია | 0:0 |
| დანია-ბრაზილია | 1:3 |
| ირლანდია-ბოსნია | 1:0 |
| პოლონეთი-სლოვაკეთი | 1:0 |
| ესპანეთი-სერბეთი | 2:0 |
| პორტუგალია-მაკედონია | 0:0 |
| შვეიცარია-გერმანია | 5:3 |
| გვინეა-კამერუნი | 1:2 |
| ჰოლანდია-ბულგარეთი | 1:2 |
| ფინეთი-თურქეთი | 3:2 |
| ჩეხეთი-ისრაელი | 2:1 |
| საბერძნეთი-სლოვენია | 1:1 |
| ნორვეგია-ინგლისი | 0:1 |
| ალჟირი-ნიგერი | 3:0 |
| სალვადორი-მოლდოვა | 2:0 |
| აშშ-შოტლანდია | 5:1 |
| ჰონდურასი-ა.ზელანდია | 0:1 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ბარსელონა ბ-ლას პალმასი | 2:0 |

**იტალია. სერია ბ**

| | |
|---|---|
| კროტონე-ბრეშა | 4:1 |
| ვარეზე-სამპდორია | 3:1 |
| მოდენა-ვერონა | 1:1 |
| იუვე სტაბია-სასუოლო | 1:3 |
| ალბინოლეფე-ტორინო | 0:0 |
| ბარი-გუბიო | 3:0 |
| ლივორნო-გროსეტო | 2:0 |
| პადოვა-ასკოლი | 0:2 |
| პასკარა-ნოჩერინა | 1:0 |
| რეჯინა-ვიჩენცა | 0:3 |
| ემპოლი-ჩიტადელა | 3:2 |

**აშშ. მლს**

| | |
|---|---|
| ტორონტო-ფილადელფია | 1:0 |
| კოლამბუსი-ჩიკაგო | 2:1 |
| დ.ს.იუნაიტედი-ნიუ ინლენდი | 3:2 |
| კოლორადო-მონრეალი | 3:2 |
| სოლტ ლეიკი-დალასი | 3:2 |
| პორტლენდი-ვანკუვერი | 1:1 |
| ჩივასი-სიეტლი | 1:1 |

**ბრაზილია. სერია ა**

| | |
|---|---|
| ატლეტიკო(გ)-პონტე პრეტა | 1:1 |
| პორტუგეზა-ვასკო | 0:1 |
| ფლამენგო-ინტერნასიონალი | 3:3 |
| ნაუტიკო-კრუზეირო | 0:0 |

**არგენტინა. პრიმერა დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ლანუსი-ოლ ბოიზი | 1:0 |
| არხენტინოსი-ბანფილდი | 1:0 |
| ბელგრანო-რასინგი | 0:1 |

**კალათბურთი**

**ნბა. პლეი ოფი 4 მოგებამდე**

| | |
|---|---|
| ბოსტონი-ფილადელფია | 85:75 |
| სერიის ანგარიში | 4:3 |

**ჩოგბურთი**

**ატპ. დიუსელდორფი. თიხა**

| | |
|---|---|
| ბერდიხი-ტიპსარევიჩი | 5:7;6:7 |
| შტეპანეკი-ტროიცკი | 6:2;4:6;3:6 |

**ატპ. ნიცა. თიხა**

| | |
|---|---|
| ალმაგრო-ბეკერი | 6:3;6:2 |

**ვტა. ბრიუხელი. თიხა**

**ფინალი**

| | |
|---|---|
| რადვანსკა ა.-ჰალეპი | 7:5;6:0 |

ვტა. სტრასბურგი. თიხა

**ფინალი**

| | |
|---|---|
| სკიავონე-კორნე | 6:4;6:4 |

**ჰოკეი**

**ნჰლ. პლეი ოფი 4 მოგებამდე**

| | |
|---|---|
| ნიუ ჯერსი-რეინჯერსი | 3:2(ოტ) |
| სერიის ანგარიში | 4:2 |

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# ოლივერ ტვისტი“ რუსთაველის თეატრშია

ეკა ირემაშვილი

ჩარლზ დიკენსის ცნობილი რომანის „ოლივერ ტვისტის“ მთავარი პერსონაჟი რუსთაველის თეატრშია. რეჟისორი დავით საყვარელიძე შემოქმედებით ჯგუფთან ერთად ბოლო რეპეტიციებს გადის, რომ 29 მაისს მიუზიკლის მოყვარულ საზოგადოებას რუსთაველის თეატრის დიდ სცენაზე პრემიერა შესთავაზოს.

ოლივერ! – ასე ეწოდება წარმოდგენას, რომელიც 29 მაისიდან 3 ივნისის ჩათვლით რუსთაველის თეატრის დიდ სცენაზე იქნება წარმოდგენილი და ის ლაიონელ ბარტის დაუვიწყარ მიუზიკლს ქართველი მელომანებისთვის კიდევ ერთხელ გააცოცხლებს.

ჩარლზ დიკენსის „ოლივერ ტვისტის“ მიხედვით დადგმული წარმოდგენა ყველაზე მასშტაბური და მაღალბიუჯეტიანი მიუზიკლია ქართული თეატრის ისტორიაში. ორმოქმედებიანი წარმოდგენისთვის პიესა თარგმნა მიხეილ გელაშვილმა, სიმღერების ტექსტის თარგმანი ირინა სანიკიძეს ეკუთვნის, ტექსტზე კი მუშაობდნენ ლაშა ბუღაძე და მანანა თევზაძე. სპექტაკლის რეჟისორია დავით საყვარელიძე, დირიჟორი – ირაკლი ჩოლოყაშვილი, მხატვარი – ნინო კობიაშვილი, ქორეოგრაფი – ტეტ კასკი, ვოკალის პედაგოგები – მარიკა ოსიტაშვილი, რუსუდან მექვაბიშვილი, კონცერტმაისტერები – ნათია აზარაშვილი, ქეთევან ინანიშვილი, ხათუნა ლოლაძე, ორკესტრის კონცერტმაისტერი – ლელა მჭედლიძე, მთავარი ქორმაისტერი – ავთანდილ ჩხენკელი, ქორმაისტერი – შალვა შაოშაძე, რეჟისორის თანაშემწეები – ნათია კუპატაძე, მარინა ბურჭულაძე. წარმოდგენაში ასევე მონაწილეობს ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის გუნდი და სიმფონიური ორკესტრი. სპექტაკლში „ოლივერ!“ მონაწილეობენ ნიკა ნოზაძე, პეტრე მალანია (ოლივერ ტვისტი), დავით დარჩია (ფეიგინი), თემიკო ჭიჭინაძე (ბილ საიქსი), მარიამ პაჭკორია, ეკატერინე ამყოლაძე (ნენსი), ეკატერინე ამყოლაძე, მარიამ პაჭკორია (ბეტი), პაატა გულიაშვილი (მისტერ ბამბლი), ნანუკა ხუსკივაძე (მისის ქორნი), რევაზ ჩხაიძე (მისტერ ბრაუნლოუ), გოგა ბარბაქაძე (მისტერ საუბერი), ქეთი ხიტირი (შარლოტა), ირაკლი სანაია (ნოე ქლეიპოლი), დავით უფლისაშვილი (მისტერ გრიმვიგი), მანანა აბრამიშვილი (მისის ბედუინი, სალი), ნიკა ეკალაძე, ჯუმბერ პატიაშვილი (არტფულ დოდჯერი), ჯუმბერ პატიაშვილი, ნიკა ეკალაძე (ჩარლი ბეიტსი), გიორგი გიგაშვილი (კაპიტანი), ზუკა დარჯანია (ნიფერი), სანდრო ჯებირაშვილი (ჰენდვორქერი), ლენტო ბალიაშვილი (დიფერი), გიორგი ადუაშვილი (ლამურა), რამაზ ჩხიკვაძე (ჩაქუჩა), პეტრე მალანია, ნიკა ნოზაძე (მანქი), სანდრო ზაალიშვილი (ჯეკი), თეკლა ჯავახაძე (მნე ქალი), ნინო გველესიანი (მერძევე), მარიამ სარდანაშვილი (ვარდების გამყიდველი), ბონდო გოგია (დანების მლესავი) და თენგიზ გიორგაძე, ზაზა ბარათაშვილი (პოლიციელები). მასობრივ სცენებში ასევე მონაწილეობენ ზაზა ბარათაშვილი, თენგიზ გიორგაძე, გელა თავბერიძე, კახა კუპატაძე, ედმონდ მინაშვილი, ქეთი სვანიძე, ბექა სონღულაშვილი და ბავშვები.



– წელს მსოფლიო დიდი ინგლისელი მწერლის ჩარლზ დიკენსის 200 წლისთავს აღნიშნავს. ამ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა და თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრმა საავტორო უფლებების მქონე კამერონ მაკინტოშის კომპანიისაგან მიუზიკლის „ოლივერ!“ დადგმის ექსკლუზიური უფლება მოიპოვეს. ასეთი პრეცედენტი პოსტსაბჭოთა სივრცეში ჯერ არ ყოფილა. ჩვენს მაყურებელს შესაძლებლობა ექნება, დატკბეს მაღალმხატვრულ დონეზე შესრულებული ულამაზესი სანახაობით, რომელიც მოხიბლავს უფროსებსაც და პატარებსაც. რუსთაველის თეატრისათვის ეს არ არის პირველი შეხვედრა დიდ ინგლისელ მწერალთან. 1993 წელს დაიდგა „საშობაო სიზმარი“ ჩარლზ დიკენსის საშობაო მოთხრობის მიხედვით. რაც შეეხება მიუზიკლს „ოლივერ!“, ის 1960 წელს დაწერა ბრიტანელმა კომპოზიტორმა და ლიბრეტისტმა ლაიონელ ბერტმა. მას საფუძვლად უდევს ჩარლზ დიკენსის ცნობილი რომანის „ოლივერ ტვისტის“ პირველი ნაწილი. სპექტაკლი თავიდანვე გულთბილად მიიღეს. 1963 წელს ლეონელ ბარტი, დონალდ პიპინი (დირიჟორი და მუსიკალური ხელმძღვანელი) და შინ კენი (დეკორაციისა და კოსტიუმების მხატვარი) ტონით დააჯილდოვეს. 1968 წელს შეიქმნა მიუზიკლის კინოვერსია. ფილმმა ამერიკული კინოაკადემიის ექვსი ჯილდო მიიღო. მას შემდეგ მიუზიკლი მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში დაიდგა. ამჯერად კი მას რუსთაველის თეატრის სცენაზე წარმოგიდგენთ. სპექტაკლში მონაწილეობენ რუსთაველის თეატრის მსახიობები, ოპერისა და ბალეტის თეატრის სიმფონიური ორკესტრი და გუნდი და ბავშვები. პროექტის ფარგლებში 2011 წლის შემოდგომაზე საზოგადოებრივი მაუწყებლის პირდაპირი ეთერით გადაიცემოდა შოუ „ვინ არის ოლივერი?“. ეს იყო კონკურსი, რომლის მეშვეობითაც შეირჩნენ ოლივერისა და ნენსის როლების შემსრულებელნი. ჩვენ მადლობას ვუხდით თბილისის მერიას, ბრიტანეთის საბჭოსა და ოპერის მეგობართა საბჭოს თანადგომისათვის, – ამბობს მიუზიკლის პროდიუსერი და რუსთაველის თეატრის მმართველი ზაალ ჩიქობავა.

სპექტაკლის „ოლივერ!“ პრემიერა რუსთაველის თეატრში 29 მაისს გაიმართება და იგი დიდ სცენაზე მხოლოდ 6 დღის განმავლობაში გათამაშდება. მიუზიკლზე დასასწრები ბილეთის ფასი 10-30 ლარია.

დავით საყვარელიძემ მიუზიკლის პრემიერამდე თავის კიდევ ერთ სპექტაკლზე იმუშავა, რომელიც მაყურებლის თხოვნით რუსთაველის თეატრის რეპერტუარს დაუბრუნდა. „სულიერი არსებები“ – ასე ეწოდება სპექტაკლს, რომლის პიესაც ლაშა ბუღაძეს ეკუთვნის. აღდგენილ სპექტაკლში მონაწილეობენ თათული დოლიძე (ირინე კვაშალი), ნინო თარხან მოურავი (ილონა), თემიკო ჭიჭინაძე (თემიკო კამკამიძე), მარინა კახიანი (თამილა ბაჩიაშვილი), დავით კვირცხალია და გელა ოთარაშვილი (ელდარ ბაწაშვილი), რუსუდან მაყაშვილი (მაიკო ბაწაშვილი), ქეთი ხიტირი (ანანო), დავით დარჩია (უჩა), მურმან ჯინორია (ბატონო კოტე), დავით უფლისაშვილი (ღორო). სპექტაკლში ენაადგმული უსულო საგნებიც არიან წარმოდგენილი – ნინო თარხან-მოურავი (კარადა), დავით დარჩია (საწოლი), თემიკო ჭიჭინაძე (ჭაღი), ქეთი ხიტირი (კარი), ნინო მითაიშვილი (სარკე), პაატა ვარდოსანიძე (კუსა კამკამიძის გადიდებული ფოტო). სპექტაკლი ერთმოქმედებიანი კომედიაა. რეჟისურა და მუსიკალური გაფორმება დავით საყვარელიძეს ეკუთვნის, რეჟისორის თანაშემწე გრიგოლ თათეიშვილია, მხატვარი – მერაბ მერაბიშვილი, ბილეთის ფასი კი 8-10 ლარია.

– თემიკოს და მაიკოს ერთმანეთი შეუყვარდებათ, მაგრამ მშობლები მათ ერთად ყოფნას ეწინააღმდეგებიან და ამას ახალგაზრდობაში მომხდარი მამების ჩხუბს აბრალებენ. ნელ-ნელა აშკარავდება უფროსი თაობის კრიმინალური წარსული და არასახარბიელო დღევანდელობა. ახალგაზრდების ურთიერთობას მოულოდნელად გამოჩენილი მძევალი და მის სულში სასწაულებრივად ჩასახლებული თემიკოს მამის მოქმედებაც ართულებს. ყველაფერი თავდაყირა დგება. შეყვარებულები მაინც დაქორწინდებიან, თუმცა მათი ცხოვრებაც მშობლების მიერ განვლილ გზას დაემსგავსება, – ამბობს რუსთაველის თეატრის მმართველი.

რუსთაველის თეატრი ამით არ ასრულებს საპრემიერო სპექტაკლების განრიგს – რეჟისორი გიორგი თავაძე წარმოადგენს ტომ სტოპარდის „გამოფენის შემდეგ“, ვალერიან გორგოშაძე მუშაობს ჰაინრიხ სპექტაკლზე, რომელიც ფონ კლაისტის „პრინცი ჰომბურგი“ მიხედვით განხორციელდება, ხოლო რეჟისორი იოსებ ბაკურაძე თეატრის მოყვარულებს ჟან დელი, ჟერალდ სიბლეირასის „გაუმარჯოს ბუშონს“ შესთავაზებს.

# კულტურული მემკვიდრეობის განვითარებისთვის რეგიონული თანამშრომლობა იწყება

დასაწყისი მე-8 გვერდზე

კედლის მხატვრობა, კულტურული მარშრუტები და მე-20 საუკუნის მემკვიდრეობა. კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციათა ქსელი კი უკვე 14 წელია აქტიურად მუშაობს შემდეგი ხუთი მიმართულებით: სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობა და ინსტიტუციური განვითარება, გარემოსდაცვითი კვლევა და პოლიტიკა, რესურების მართვა, საერთაშორისო მოთხოვნებისა და კანონმდებლობასთან შესაბამისობის მართვა და გარემოს დაცვა და კომუნიკაცია. იგი საქმიანობას ახორციელებს ადგილობრივ, ეროვნულ და რეგიონულ დონეზე მთელი კავკასიის მასშტაბით, – განმარტა მერაბ ბოჭოიძემ.

პროექტში ჯერჯერობით არ არის ჩართული ორგანიზაცია „ტფილისის ჰამქარი“, თუმცა, ისინი მომავალში თანამშრომლობას არ გამორიცხავენ. ორგანიზატორთა განცხადებით, სემინარები ჩატარდება ყველა დაინტერესებული პირისა და ჟურნალისტისთვის. პრეზენტაციის მონაწილეებს უკვე განხორციელებულ სარეაბილიტაციო პროექტებთან დაკავშირებით ჟურნალისტებისთვის კომენტარი არ გაუკეთებიათ.

სპორტი

# 19-წლამდელებმა ელიტ-რაუნდი წარმატებით დაიწყეს

დასაწყისი მე-9 გვერდზე

მოძებნა მეტოქის საჯარიმოსთან მყოფი სხირტლაძე, რომელმაც მცველსა და მოსაგერიებლად გამოსულ მეკარეს ერთად აჯობა და ბურთი თავით თავზე გადაუგდო – 3:1.

მეორე გოლი მეტოქემ თერთმეტმეტრიანით გაგვიტანა, რომელიც მსაჯმა მეტად საეჭვო ვითარებაში დანიშნა. საჯარიმოში ბურთზე მოთამაშე გაგნიძეს მეტოქის წაქცევა არ აპატია – 3:2. ტაიმი ამ ანგარიშით დასრულდა.

მეორე ტაიმში ტემპი აშკარად დაეცა. საქართველოს ნაკრები ცდილობდა, ბურთზე კონტროლი დაემყარებინა, რაც, მთლიანობაში, კარგად გამოგვდიოდა. დროდადრო კვლავ მწვავედ იჩხვლიტებოდნენ ჩვენი შემტევები. უკეთესად გამოიყურებოდა შუა ხაზიც. აშკარად ერთ-ერთი საუკეთესო იყო გუნდის კაპიტანი ლაშა პარუნაშვილი, რომელიც ყველა ბურთზე ბოლომდე იბრძოდა და შეტევებსაც გონივრულად წარმართავდა. უკეთ ჩაატარა მეორე ტაიმი ჩვენმა დაცვამაც. დავით ლეგაშვილმა კი, საგოლე გადაცემის გარდა, 1-2 დასამახსოვრებელი სეივითაც მიიქცია ყურადღება. დასანანია მხოლოდ ის ყვითელი ბარათები, რომლებიც, რომ არა ცოტა მოდუნება, არც უნდა მიგველო. მეორე ტაიმშივე იყო ერთი არჩათვლილი გოლიც, რომელიც მეტოქემ თამაშგარედან გაიტანა.

მეოთხე გოლი გიორგი ჭანტურიამ „გააკეთა“. ქართველმა შემტევმა ბურთი შეტევის მარცხენა ფლანზე მიიღო; გზად ყველა მოატყუა და საჯარიმოში დარჩენილ მცველებსაც იოლად გაუსწორდა. ფაქტობრივად, კარის ხაზამდე მიტანილ ბურთს სხირტლაძემ მიარტყა ფეხი და ეს უკვე იმის ნიშანი იყო, რომ ჩვენმა ბიჭებმა ჯგუფში პირველი და მეტად მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვეს.

ჭანტურიას შეცვლის შემდეგ მოედანზე შესულ გელაშვილსაც ჰქონდა ასპროცენტიანი მომენტი, თუმცა, მეკარესთან პირისპირ გასულმა თავდამსხმელმა კარს ზემოდან გადააცილა.

სფფ-ს ვებ-გვერდზე გუნდის მთავარი მწვრთნელის, ოთარ კორღალიძის მატჩისშემდგომი კომენტარიც არის:

– რაც მთავარია, მოვიგეთ. ეს შედეგი ჩემთვისაც სასიხარულოა და ყველა იმ ქართველი გულშემატკივრისთვისაც, რომლებიც საქართველოდან გვქომაგობენ. თუმცა, თამაში ძალიან ცუდად დავიწყეთ. ზოგ ფეხბურთელს აშკარად ეტყობოდა შიში და სასტარტო მღელვარება – ეს, ძირითადად, დაცვის ხაზს ეხება. საკუთარ თავში არ იყვნენ დარწმუნებულნი და შედეგად გოლი გავუშვით. მაგრამ, საბედნიეროდ, ჩვენს გუნდს აქვს იმის რესურსი, რომ ჩამორჩენაც დავძლიეთ და ორი ბურთით წინაც გავედით. მერე ისევ გაგვიტანეს... ამ შემთხვევაში, მე ვთვლი, რომ უსამართლოდ დაგვინიშნეს თერთმეტმეტრიანი და, საერთოდ, პირველ ტაიმში მსაჯის ტენდენციურობა ძალიან აშკარა იყო. შესვენებაზე ბიჭებს ასეთი რამ ვუთხარი: თამაშს ვიგებთ; ახლა, მთავარია, კარი მშრალად შევინახოთ, ბურთი დიდხანს ვაკონტროლოთ და, თუ კიდევ გავიტანთ, მთლად უკეთესი-მეთქი. პატარა ტაქტიკური გადაადგილებებიც მოვახდინეთ – შევეცადეთ, სუსტი ადგილები შეგვევსო. მაგალითად, გიგაური გადავწიეთ მარჯვნივ, რადგან იმ ფლანგიდან უფრო აქტიურად გვიტევდნენ. ზუსტად ის თამაში ითამაშა ბოსნიამ, რასაც წინასწარ ვვარაუდობდით. მინდა, ჩემს ფეხბურთელებს მადლობა ვუთხრა თავდადებული თამაშისა და ბოლომდე ბრძოლისთვის. თუმცა, ისიც მინდა აღვნიშნო, რომ გაცილებით მეტი შეგვიძლია და აუცილებლად მოვუმატებთ. ერთი დღე ბიჭებს აღდგენა ექნებათ, შემდეგ ვნახავთ და გავარჩევთ ხორვატიის თამაშის ვიდეოს. რაც ნანახი გვაქვს, ვიცით, რომ საკმაოდ უხეში გუნდია... ძალიან კარგია, რომ მომდევნო მატჩში გუნდის კაპიტანი და დაცვის ლიდერი – აჩიკო ტვილდიანი დაბრუნდება, რომელმაც პირველი შეხვედრა შესარჩევში მიღებული ყვითელი ბარათების გამო გამოტოვა. რაც მთავარია, მსაჯებთან უნდა ვიყოთ ძალიან ფრთხილად და უნდა ვეცადოთ, რომ არაფრის საბაბი არ მივცეთ. ძალიან სასიამოვნოა, რომ ჩვენთან ერთადაა და ტურნირის ბოლომდე იქნება ალექსანდრე ჩივაძე. ის ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელია და ბიჭებისთვის დიდი სტიმულია მისი აქ ყოფნა, – განაცხადა ოთარ კორღალიძემ.

გეტყვით იმასაც, რომ მომდევნო მატჩი ჩვენმა ნაკრებმა გუშინ გამართა ხორვატებთან და გვიან დასრულდა.

# სკანვორდი



1. ცალკეული შენობა კვარტალში; 2. მაღალი წიწვოვანი ხე; 3. „... დაიდარდო!“; 4. სურინამის დედაქალაქი; 5. ცხოველთა სამყარო; 6. დოლი; 7. ტყავის თხელი ფენა რისამე ზედაპირზე; 8. ფრანგი კომპოზიტორი (1683-1764); 9. კათოლიკური წირვა; 10. ავი სული; 11. ... ღვთისმშობელი; 12. თეატრის თანამშრომელი; 13. ბილიარდის ჯოხი; 14. ხმადაბლა (მუს.); 15. ... კლინტონი; 16. კატის გასაგდები შეძახილი; 17. მსახური ქალი ჰარამხანაში; 18. ეგვიპტელთა მზის ღვთაება; 19. თაობიდან-თაობაზე გადაცემული წეს-ჩვეულება; 20. უთავბოლო ცხოვრების მოყვარულნი; 21. შტო; 22. ხის ფეხსაცმელი; 23. ... გრანელი; 24. ჰიმალაის დათვი; 25. ქალაქი ლიტვაში; 26. შტატი (აშშ); 27. სკანდინავიური ეპიკური ლიტერატურის ძეგლი; 28. სახელმწიფო აზიაში; 29. რაიმე მოვლენის განვითარება დროის გარკვეულ მონაკვეთში; 30. სამის აღმნიშვნელი წინსართი; 31. ნიავი; 32. იტალიური ლვეზელი.

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები

### კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. მოლუსკი; 2. ესტრადა; 3. შტუტგარტი; 4. ბაგები; 5. ეტრატი; 9. იალტა; 10. სნუკერი; 14. მარკეტინგი; 15. ხურცილავა; 16. ღალატი; 19. ბულიონი; 20. რუტინა; 21. ვისოლი.

**თარაზულად:** კონოსამენტი; 7. ინფანტი; 8. ბუხარა; 11. გამბიტი; 12. ადენი; 13. კრედიტი; 17. ბუტაფორია; 18. ხვანჭკარა; 22. ბულბული; 23. ტრიესტი; 24. ანსამბლი; 25. ტარიბანა.

### კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ბურგასი; 2. ალეგრი; 3. გარიბალდი; 4. ღვინიო; 5. გორდონსი; 7. არნო; 11. ბოჭორმა; 13. ექსპოზე; 15. ეწერი; 16. პორშე; 18. ამანი; 19. რევიუ.

**თარაზულად:** 6. უშქარი; 8. სლოგანი; 9. როიტერი; 10. აპლომბი; 12. ციცქა; 14. ბორანო; 17. დისპაშერი; 20. სლალომი; 21. გრემიო; 22. ნუნისი; 23. ჰეროდოტე.

# ავღანეთში ნატოს ოთხი სამხედრო დაიღუპა

ავღანეთში ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების აფეთქების შედეგად ნატოს ოთხი სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა. ინფორმაციას ამის შესახებ „ასოშიეიტედ პრესი“ ალიანსის მიერ გაკეთებულ განცხადებაზე დაყრდნობით ავრცელებს.

სავარაუდოდ, ერთ-ერთი გარდაცვლილი სამხედრო დიდი ბრიტანეთის მოქალაქეა – მისი ავტომობილი სამხრეთ პროვინცია ჰელმანდში ნაღმზე აფეთქდა. ამ სამხედრო მოსამსახურის დაღუპვა უკვე დაადასტურეს დიდი ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტროში.

მეორე სამხედრო ქვეყნის აღმოსავლეთში განხორციელებუ-



ლი იერიშის შედეგად დაიღუპა. ამ ინციდენტს მოჰყვა თუ არა სხვა შემთხვევები, რომლებიც შესაძლოა ადამიანების გარდაცვალებასთან იყოს დაკავშირებული, უცნობია.

ბოლო თვის განმავლობაში ავღანეთში დაღუპულ ნატოს სამხედრო მოსამსახურეთა რაოდენობამ 33-ს მიაღწია. წლის დასაწყისიდან დაღუპულია 165 სამხედრო. სულ სამხედრო ოპერაციის დაწყების შემდეგ დაღუპულ ბრიტანელთა რაოდენობა უკვე 414 აღწევს.

თავის მხრივ, ავღანეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, შაბათს ერთობლივი სამხედრო ოპერაციაში ექვსი ექსტრემისტი დაიღუპა.

ამ ფონზე, ავღანეთის პარლამენტმა 2014 წლის შემდეგ აშშ-სა და ავღანეთს შორის სტრატეგიული პარტნიორობის შეთანხმება მოიწონა. შეთანხმებას 2 მაისს ბარაკ ობამამ და ჰამიდ ყარზაიმ მოაწერეს ხელი.

ხელშეკრულებაში ორი ქვეყნის თანამშრომლობის გარდა საუბარია 2014 წლის შემდეგ, როდესაც ნატოს ჯარებმა ქვეყნის ტერიტორია უნდა დატოვონ, აშშ-ის ავღანეთში, შესაძლო, ყოფნის პირობები. შეთახმების რატიფიცირება ახლა აშშ-ის კონგრესმა უნდა მოახდინოს.

# უმაროვი ყველა რუს მუსლიმანს ჯიჰადისკენ მოუწოდებს

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო კავკასიის საერთაშორისო კონფერენციას გამოეხმაურა.

საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ განცხადებაში ნათქვამია, რომ მიუღებელია ისეთი კონფრენციის ჩატარება, რომელიც „რუსეთის ტერიტორიულ ერთიანობას უქმნის საფრთხეს“. რუსეთის მკაცრი რეაქცია იმანაც განაპირობა, რომ კონფერენციაზე დოკუ უმაროვის ხელისუფლება ჩრდილოეთ კავკასიაში ერთადერთ კანონიერი ძალად „აღიარეს“.



სტამბულში კავკასიის საერთაშორისო კონფერენცია 13 მაისს გაიმართა. სტამბულში ფატიჰის ქუჩა სხვადასხვა მუსლიმი ორგანიზაციების ადგილსამყოფელად მოიაზრება, რომლებიც ჩრდილო კავკასიელებს რუსების წინააღმდეგ საბრძოლველად ეხმარებიან.

„კავკასიელი დიასპორის“ კონფერენციაზე დაგეგმილი 450 ადამიანი არ მისულა, თუმცა ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანი იყო ის, რომ „კავკასიის ემირატების“ მიერ ორგანიზებული პირველი კონფერენცია საზღვარგარეთ იმართებოდა.

კონფერენციის მიზანი კავკასიელი დიასპორის „კავკასიის ემირატების“ მისამართით მხარდაჭერის გაერთიანება და ჩრდილოეთ კავკასიის ერთადერთ ლეგიტიმურ ლიდერად დოკუ უმაროვის აღიარება იყო. კონფერენციაზე გამოსული ყველა მომხსენებელი ზემოთ თქმულს უჭერდა მხარს.

კონფერენციის ჩატარებისათვის ხელი არ შეუშლია იმ ფაქტს, რომ „კავკასიის ემირატი“ ამერიკასა და გაეროს ტერორისტულ ორგანიზაციათა სიაში ჰყავს შეყვანილი.

შეხვედრაზე დოკუ უმაროვის 6-წუთიანი მიმართვაც მოისმინეს, სადაც იგი მხარდამჭერებს განუმარტავს, რომ ამბოხებულები ჩეჩენი ხალხისათვის იბრძვიან და მათ სთხოვა ისეთი განცხადებების გაკეთებისაგან თავი შეიკავონ, რომლებიც ჩეჩენი ხალხის გაყოფას შეუწყობს ხელს. ამასთან, დაამატა რომ თუ ეს ხალხი ამბოხებულებს არ დაეხმარება, ხელი მაინც არ შეუშალონ მათ. უმაროვის მიმართვიდან ნათელი იყო, რომ იგი ჩრდილოეთ კავკასიაში რუსეთის პოლიტიკის წინააღმდეგ საუბრობდა.

მეორე რვაწუთიან მიმართვაში უმაროვმა რუსეთის მოქალაქეებს, განსაკუთრებით მუსლიმებს მოუწოდა მთავრობის წინააღმდეგ ჯიჰადს დაუჭირონ მხარი. მან მაგალითად ის ახალგაზრდა კაცი დაასახელა, რომელიც მასთან ერთად უკვე 18 წელია იბრძვის და უმაროვს შვილივით ჰყავს.

უმაროვმა ვლადიმერ პუტინი და მისი გარემოცვა გააფრთხილა, რომ ისინი ვერ შეძლებენ ამ ომის შეჩერებას და ჩეჩენი ახალგაზრდების ამბოხებულებისაგან განდგომას. უმაროვმა ხაზი გაუსვა, რომ ჩეჩნეთის „დამოუკიდებლობა“ მისი მიზანია. ორივე მიმართვისას უმაროვს გვერდზე მისი მოადგილე ემირ კამზათი და ემირ ზაურბექი edgნენ.

„კავაკასიის იმარატი“ რუსეთის ჩრდილო კავკასიის ვირტუალური ისლამური სახელმწიფო 2007 წელს ჩამოყალიბდა, რომლის წევრებიც შემდეგ პრინციპს იზიარებენ „ვინ ჩვენთან არ არის ჩვენი მტერია“. მისი მიზანი რუსეთის ფედერაციისაგან ჩრდილოეთ კავკასიის დამოუკიდებლობის მიღწევაა.

დოკუ (დოკა) უმაროვი (დ. 13 აპრილი, 1964, ჩეჩნეთი). იჩქერიის პრეზიდენტი და ჩრდილოეთ კავკასიის ემირი. იგი რუსეთ-ჩეჩნეთის ომის დაწყების დღიდან იბრძვის რუსეთის წინააღმდეგ. ამ ომში გამოჩენილი სიმამაცისთვის უმაროვი დაჯილდოებულია ორი ორდენით („ერის პატივი“ და „ერის გმირი“). პირად სამხედრო შემადგენლობაში ჰყავს რამდენიმე ასეული მებრძოლი.

# რუსეთი, სავარაუდოდ, დარიალზე“ უარს იტყვის

რუსეთის თავდაცვის სამინისტრო იმედგაცრუებულია აზერბაიჯანის „არაკონსტრუქციული“ პოზიციით, გაბალაში მყოფი რადიოლოკაციური სადგურის იჯარის ფასთან დაკავშირებით. ამასთან ერთად, რუსული მხარის განცხადებით, გაბალის რადიოლოკაციურ სადგურს ღრმა მოდერნიზაცია სჭირდება, რაც ასევე დიდ ფინანსებთან არის დაკავშირებული. ამის გამო, რუსეთს რადარის დაქირავება 10-15 წლით სურს, რათა ამოიღოს დახარჯული თანხა.



შეგახსენებთ, რომ აზერბაიჯანმა რადარისთვის 7 მილიონის ნაცვლად, თავდაპირველად 14 მილიონი დოლარი მოითხოვა, რაზეც რუსეთისგან უარი მიიღო. თუმცა ბაქოზე მოსკოვის ზეწოლამ უკუეფექტი გამოიწვია, ბაქომ იჯარის ფასი ჯერ 150 მილიონამდე გაზარდა, შემდეგ კი 300 მილიონი მოითხოვა. რუსეთმა ასეთ ფასს „არაადეკვატური“ უწოდა. გამორიცხული არ არის, რომ რუსეთმა გაბალა დატოვოს.

აზერბაიჯანში მდებარე გაბალის რადიოლოკაციური სადგური, რომელიც რუსეთის ფედერაციის კოსმოსური სამხედრო ძალების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია, სტაციონარულ, „დარიალის“ ტიპის რადიოლოკაციურ სადგურს წარმოადგენს. მისი დანიშნულებაა შესაძლო სარაკეტო თავდასხმის შესახებ მონაცემების მიღება და რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების დროული ინფორმირება.

სადგურის გაშვება 1985 წელს განხორციელდა და იმ დროისათვის უახლესი აპარატურით იქნა აღჭურვილი (თუმცა მან დღეისათვის თავისი რესურსი ფაქტობრივად ამოწურა). მისი დაფარვის ზონის რადიუსი თითქმის 8000 კმ-ია და სრულად აკონტროლებს ახლო აღმოსავლეთს, ინდოეთის ოკეანეს და ჩრდილო-აღმოსავლეთ აფრიკას. სადგური საშუალებას იძლევა არა მხოლოდ აღმოჩენილი იქნას რაკეტის გაშვება, არამედ გაკონტროლდეს მისი მოძრაობის ტრაექტორია და საჭირო ინფორმაცია წამებში გადაეცეს რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის ცენტრალურ პუნქტს.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რადიოლოკაციური სადგური აზერბაიჯანის საკუთრებაში გადავიდა, თუმცა მის გამოყენებას კვლავ რუსეთის ფედერაცია აგრძელებდა. 2002 წელს, აზერბაიჯანსა და რუსეთის ფედერაციას შორის გაფორმდა ხელშეკრულება ამ უკანასკნელისათვის გაბალის რადიოლოკაციური სადგურის 10 წლით არენდით გადაცემის თაობაზე. ხელშეკრულებით, იჯარის ღირებულება წელიწადში 7 მლნ აშშ დოლარს შეადგენს, ამასთან რუსეთმა ვალდებულება აიღო სადგური მხოლოდ და მხოლოდ საინფორმაციო-ანალიტიკური მიზნებისათვის გამოეყენებინა და მიღებული მონაცემების ნაწილი აზერბაიჯანისთვის გადაეცა.

საშტატო განრიგით, სადგურის მომსახურე პერსონალი 1100 კაცია, რომელთაგან 900 სამხედრო მოსამსახურეა, ხოლო 200 სპეციალისტი სამოქალაქო პირი.

ექსპერტთა ნაწილს მიაჩნია, რომ რუსეთისათვის სადგურს უფრო პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, ვიდრე სამხედრო, რადგან იგი ტექნოლოგიურად მოძველებულია.

## ცფვუკჯდბფჰჯ უფყნ[ფლტ,ტ,ბ

„ახალი მემარჯვენეები“ მწუხარებას გამოთქვამს და თანაგრძნობას უცხადებს მამუკა კაციტაძეს და მის ოჯახს დედის გარდაცვალების გამო.

ცფვუკჯდბფჰჯ უფყნ[ფლტ,ტ,ბ ვბბქტ,ფ .ჯდტკლქტ7 რდბპბს უფპლფ7 !@-ლფყ !& ცფფსფვლტ8

# სირიის ქალაქ ხულაში მომხდარ ტრაგედიაზე სერიოზულ საერთაშორისო პასუხს“ ითხოვენ

დასავლეთის ქვეყნები „სერიოზულ საერთაშორისო პასუხს“ ითხოვენ სირიის ქალაქ ხულაში მომხდარ ძალადობაზე, რომლის შედეგადაც სულ მცირე 90 ადამიანი დაიღუპა. კერძოდ, დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა უილიამ ჰეიგმა გაეროს უშიშროების საბჭოს საგანგებო სხდომის მოწვევა მოითხოვა. აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა მომხდარს „სიმხეცე“ უწოდა და განაცხადა, რომ ვაშინგტონი ყველა ღონეს იხმარს იმისათვის, რომ ბაშარ ასადის ხელისუფლებასა და მის მომხრეებზე ზეწოლა გააძლიეროს და ამ „შიშის მთავრობამ“ არსებობა უნდა შეწყვიტოს.



სირიაში მომხდარი ამბავი ასევე დაგმეს გაეროს გენერალურმა მდივანმა პან გი მუნმა და გაეროს სპეციალურმა წარმომადგენელმა კოფი ანანმა. სირიაში გაეროს დამკვირვებელთა ხელმძღვანელმა გენერალმა რობერტ მუდმა მომხდარს „სასტიკი ტრაგედია“ უწოდა და აღნიშნა, რომ დამკვირვებლებმა ტრაგედიის ადგილი უკვე მოინახულეს, თუმცა მან არ დააკონკრეტა თუ ვის მიიჩნევს დამნაშავედ ამ საშინელ ტრაგედიაში.

გაერომ დაადასტურა 90 ადამიანის დაღუპვა, რომელთა შორისაც 32 ბავშვია.

სირიის ხელისუფლებამ მომხდარზე პასუხისმგებლობა „შეიარაღებულ ტერორისტულ დაჯგუფებებს დააკისრა“, ხოლო ოპოზიციამ თავის მხრივ ამ მკვლელობაში ბაშარ ასადის რეჟიმი დაადანაშაულა.

შეგახსენებთ, რომ ქალაქი ხულა სირიის ცენტრალური პროვინციაა. იგი სასტიკად დაიცხრილა, როდესაც ტრადიციული ლოცვის შემდეგ ათასობით ადამიანი ანტისამთავრობო დემონსტრაციაზე გამოვიდა.

– სირიაში ვითარება კვლავ დაძაბულია, – ამის შესახებ გაეროს გენერალურმა მდივანმა პან გი მუნმა განაცხადა.

მისი თქმით, კონფლიქტისა და დაძაბულობის დასრულებისათვის გაწეული ძალისხმევის მიუხედავად რეალური შედეგი ფაქტობრივად არ ჩანს.

გენერალურმა მდივანმა აღნიშნა, რომ პრეზიდენტ ასადისადმი დაპირისპირებული დაჯგუფებები აკონტროლებენ სირიის რიგ დიდ ქალაქებს.

სირიის ოპოზიციის წარმომადგენლების განცხადებით, პროვინცია ჰომსში სამთავრობო ძალების მიერ მოკლულია 50-ზე მეტი ადამიანი და 100-მდე დაჭრილია. გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, დაღუპულთა შორის არიან ბავშვები.

*მოამზადა გერა მამულაშვილმა*

## TV პროგრამა

**ოიშაბათი 28 მაისი**

**07.30** ჩვენი დილა **09.00, 12.00, 16.00, 20.00** მოამბე **11.00** სამოთხის ვაშლები **12.45** ვახო სანაიას რეპორტაჟი **13.45, 05.40** დოკ. ფ. "მსოფლიო ოდისეები" **14.15** 10 პლუს 10 **15.15** ჩვენი ფერმა **17.00, 05.20** დოკ. ფილმი "რომი: იმპერიის აღმავლობა და დაცემა" **18.00** პეპე და მეგობრები **19.00** მოამბე **19.05** სერ. **"არც ასე, არც ისე"** **21.00** სერ. **"დეტექტივი"** **22.00** აუდიტორია **23.00** საფეხბურთო მიმოხილვა **23.30** მედიამონიტორი **00.30** საფარი **01.00** მოამბე **01.20** მხ. ფილმი **"დიდი ლამე"** (კ. სკოტი) **03.15** მხ. ფილმი **"ფორესტ გამპი"** (12) (ტ. ჰენკსი)

**08.00** დოკ. ფილმი "სპუტნიკის წლები" **09.00** ან. ფილმი "სიმბადი: შვიდი ზღვის ლეგენდა" **10.30** საბ. ფილმი **"პინოქიო"** **12.00** ქართული დოკუმენტალისტიკა **13.00** მხ. ფ. **"ბუნების ძალები"** **14.30, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **16.00** დოკ. ფილმი **16.45** სერ. **"არავითარი საიდუმლო ჩვენს შორის"** **19.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **20.00** მხ. ფილმი **"ჰენრი-VIII"** **00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **01.00** მხ. ფ. **"კარს მომდგარი მტერი"** (15) (ჯ. ლოუ)

**07.30** იმედის დილა **10.05** სერ. **"მოპარული ბედნიერება"** **11.00, 14.00, 17.00, 20.00, 01.30, 05.15, 07.00** ქრონიკა **11.30** სერ. **"უკვდავი ამბავი"** **12.30** დღის შოუ **14.40** სერ. **"გოგონა გარეუბნიდან"** **15.40** ხანუმა **17.40** სერ. **"მეწამული ცა"** **18.40** სერ. **"შურისძიების სახელით"** **21.00** სერ. **"მემკვიდრეები"** **22.00** რომ გადახვალ, გააჩერე **22.20** მხ. ფილმი **"ქონდრისკაცი"** **00.15** კულინარიული დუელი **01.40** მხ. ფილმი **"ჩემი ძმაკაცის შეყვარებული"** (12) (კ. ჰადსონი) **03.25** მხ. ფილმი **"ტრანსპორტერი"** (ჯ. სტეტჰემი) **05.15** მუსიკა **06.30** სერ. **"შურისძიების საფასური"**

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"დედის გული"** **11.00** სერ. **"კლონი"** **12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00, 06.00** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს კურიერი **13.30** შუა დღე **15.30** ილბლიანი ბორბალი **17.00** სერ. **"ტერეზა"** **18.45** სერ. **"მგზნებარე გული"** **19.50** სერ. **"ველური ყვავილი"** **22.00** ნიჭიერი **23.30** შერეკილები **00.30** შუა დღე **02.00** პატრული **02.30** მხ. ფილმი (ტიტ.)

**08.00** ან. ფილმი **08.55** სერ. **"მარია ემილია"** **09.45, 12.00, 15.15, 17.00** ტვ-მარკეტი **10.00** მხ. ფილმი **12.15** სერ. **"მისი სულის მუსიკა"** **13.00** მზესუმზირა (პირდ.) **15.30** პულსი **16.00** იცხოვრე ფეხბურთით **17.10** სერ. **"ველური მთვარე"** **18.00** მხ. ფილმი **20.00** სერ. **"ვნებათა მიწა"** **21.00** სერ. **"გაუხსნელი საქმე"** **22.00** მხ. ფილმი **00.00** მზესუმზირა **02.00** მხ. ფილმი

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30** სერ. **"სკოლის მეგობრები"** **10.30** დოკ. ფილმი **11.10, 14.10, 17.10** ინგლისურის გაკვეთილი **11.40, 15.00, 18.00** თურქულის გაკვეთილი **11.50, 21.25** სერ. **"ქალი გაიცნობს"** **12.50, 19.35** სერ. **"ჯაკლინ კენედი"** **13.50** 1000 წვრილმანი **15.15, 19.35** სერ. **"სკოლის მეგობრები"** **15.50** დოკ. ფილმი **16.30** დროის ვექტორი **18.15** დოკ. ფილმი **23.00** სახლი ბათუმში **23.30** მხ. ფილმი

**ერთსულოვნება**

**08.30** განთიადი **10.00, 21.15** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 12.05, 18.55, 21.55** ისტორიის დღიური **10.10** პატრიარქის ქადაგება **10.30** ლექსით ქებათა ქება **10.35** კვირიაკე **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 24.05** საეკლესიო კალენდარი **12.10** მხ. ფილმი **"სამანიშვილის დედინაცვალი"**. **13.30** კონცერტი– ნუნუ გაბუნია. **15.05, 18.50, 22.55** ერთი ნივთის ისტორია. **15.10** განთიადის სტუმარი. **15.30** სპექტაკლი **"შეთქმულება"** **17.40** ეთნოგრაფია. **18.05, 21.15** ერთსულოვნების ვერნისაჟი **18.10** გუთნისდედა **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00** სიახლენი **19.20** მხ. ფილმი **"ყველაზე სწრაფები მსოფლიოში"**. **20.40** ძილი ნებისა **21.05** ფატრიარქის ქადაგება. **21.20** სალვთისმეტყველო საუბრებიყ **22.00** სიახლენი **22.25** დოკ. ფილმი "ღირსი ასურელი მამა პიროს ბრეთელი" **22.35** დოკ. ფილმი "ფშავის არგვი". **23.00** საღამოს ლოცვა. **23.15** დოკ. ფილმი "ცასწავალა" გ. ჩოხელი. **00.10, 02.30** სიახლენი. **00.35** განთიადის სტუმარი **00.55** უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები.

ghjuhfvt,b b,tzlt,f cffutynj 3byajpfdhbc4 yt,fhsdbs

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


28 maisi

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 1,6219

ევრო —2,0582

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,5626

რუსული რუბლი — 0,0549

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 21–25, ღამით — 10–14

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 18–21, ღამით — 8–10

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 19–23, ღამით — 7–9




ამინდის პროგნოზი 28 მაისისთვის


# 8 მაისიდან

გაზეთ „ახალ თაობასთან“ ერთად

„ისტორია და ამოუცნობი სამყარო“ მეოთხე ტომი

**მასონები**



გამოსულია:

პირველი ტომი ტირანები



მეორე ტომი 100 გამოჩენილი მხედართმთავარი



მესამე ტომი კანიბალიზმის ისტორია



გამოსაცემად მზადდება:

- უდიდესი ბრძოლები
- 100 ლიდერი, ვინც შეცვალა ისტორია
- 100 გამოჩენილი მეცნიერი
- მასონები - იდუმალი საძმო
- მაფიის ისტორია

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი

# 28 მაისიდან

ახალ თაობასთან“ ერთად



ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი

მეორე ტომი

ფასი 6 ლარი


.დცჯფვ უფბსლფჟბცობყცს=

აბობოქრებული დღეა

fcnhjkjubuyjpb

@* ვფბცბცსებც

**ვერძი** — ეს დღე მშვიდ სიტუაციაში გაატარეთ. **კურო** — ფული გაქვთ, მაგრამ მთლიანად ნუ დახარჯავთ. **ტყუპები** — არ აყვეთ ხალხს, ყური მიუგდეთ ინტუიციას. **კირჩხიბი** — ახალი საქმე სარფიანი აღმოჩნდება. **ლომი** — პატარა პრობლემას ადვილად გადალახავთ, მთავარია მონდომება. **ქალწული** — სახლში კარგი ამბები გელოდებათ, ამ დღეს დიდი ხანია, ელოდით. **სასწორი** — ფრთხილად იყავით, ხალხმრავლობას მოერიდეთ. **ღრიანკალი** — წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **მშვილდოსანი** — აფორიაქებული ხართ, დაკავდით საყვარელი საქმით. **თხის რქა** — ნურავის ენდობით, საკუთარ გონებას დაუჯერეთ. **მერწყული** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული. **თევზები** — ყურადღების ცენტრში ხართ, მაგრამ გაკრიტიკებენ.

უბცე3ლტ,ს ,ტცყბტ3 ცქტს=

h3xყცეx3ცბ ფ

**თარაზულად:** 5. სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში; 7. ცხენის ალკაზმულობა; 8. მოსკოვის სიმბოლო; 10. ცალკეული შემთხვევა; 12. აზროვნების ორგანო; 13. გინეკოლოგი; 14. ექსპრომტი; 20. თარაშ ემხვარის ცხენი; 23. ფრთოსანი ქალ-ურჩხული ბერძნულ მითოლოგიაში; 24. განთიადი; 25. პატარა ზომის კენგურუ; 26. პირბადე; 27. მოსქო, ტკბილი ალკოჰოლური სასმელი.

**შვეულად:** 1. ისტორიული საბუთების საცავი; 2. საგრილობელი; 3. გაუშლელი ყვავილი; 4. მტრედების ოჯახის ფრინველი; 6. ავი სული, ეშმაკი; 9. გერმანული ავტო; 11. მკვრივი, წყალშეუღწევადი მინერალური მასა; 12. სპორტული, თეატრალური და სხვა შეჯიბრება; 16. უსინათლოების შრიფტის ავტორი; 17. ახმახი; 19. რისამე შესწავლა მისი ნაწილებად დაშლის გზით; 21. საეპისკოპოსო; 22. ნაჟონი წყალი.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*



# ქეცბაიას ახალი პრობლემა — ამჯერად ნაკრები ყენიამ იუარა



ქართულ ფეხბურთში კიდევ ერთი სკანდალი მწიფდება. ეროვნული გუნდის ერთ-ერთმა ყველაზე პერსპექტიულმა და მომავალი გუნდის ბურჯად მიჩნეულმა ლევან ყენიამ ნაკრებში თამაშზე უარი განაცხადა. ეს ყველაფერი საქართველოსა და თურქეთის (1:3) საფეხბურთო ნაკრებთა ამხანაგური მატჩის შემდეგ მოხდა, სადაც ყენია შეკრებაზე კი იყო გამოძახებული, მაგრამ მისი მოედანზე გასვლა თემურ ქეცბაიამ საჭიროდ არ მიიჩნია.

— ძალიან გულგატეხილი ვარ. თემურ ქეცბაიასგან ასეთ რამეს არ ველოდი. ჩემი თამაშის სანახავად რამდენიმე გუნდის წარმომადგენელი იყო ჩამოსული — „ლაციო“, „ბაზელი“ და თურქული კლუბები. 20 წუთი ვერ გაიმეტა ჩემთვის. რა მოხდებოდა, შეცვლაზე ცოტა ხნით მაინც რომ შევეყვანე? ჩემთვის ძალიან ბევრს წყვეტდა ეს თამაში. აბსოლუტურად ჯანმრთელი ვარ და ფეხბურთელებს ჰკითხეთ, როგორ ვიყავი ვარჯიშზე, — ეს ყენიას სიტყვებია, რომელიც მან ქართულ მედიასთან თქვა.

ასევე მედიასთან საუბრისას ყენიას ბიძამ, ყოფილმა ფეხბურთელმა და ამჟამად მწვრთნელმა გიორგი კიკნაძემ ღიად განაცხადა, რომ სანამ ქეცბაია ნაკრების

გაგრძელება მე-9 გვერდზე

# სამორი ბალდე პირველ ალბომს ჩაწერს

ეკა ირემაშვილი



ცნობილი ტელეწამყვანი და პროექტის „ეცეკვე ვარსკვლავს“ გამარჯვებული სამორი ბალდე თავის პირველ ალბომს ჩაწერს. სამორიმ უკვე მოაწერა ხელი ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებას ბანკ „რესპუბლიკასთან“. ბანკის ინფორმაციით, სულ ახლახან დასრულდა ტელეპროექტი „ცეკვავენ ვარსკვლავები“, რომლის წარმდგენიც ბანკი „რესპუბლიკა“ იყო. პროექტის გამარჯვებულმა სამორი ბალდემ საზოგადოების სიმპათია და სიყვარული დაიმსახურა. მან აჩვენა, რომ დასახული მიზნისკენ ნიჭთან ერთად მონდომება და შრომაა საჭირო. რადგანაც, ბანკ „რესპუბლიკას“ და სამორის საერთო ღირებულებები აღმოაჩნდათ, ფიზიკური აქტივობა, ინოვაცია, გუნდური სულისკვეთება, პროფესიონალიზმი და საზოგადოებასთან ინტეგრაციაზე ორიენტაცია, ბანკმა გადაწყვიტა, სამორი ბალდესთან გააფორმოს თანამშრომლობის ხელშეკრულება და წლის ბოლომდე სამორი ჩაერთოს ბანკის მიერ ორგანიზებულ პროექტებსა და სხვადასხვა აქტივობებში.

— სამორი ბალდე და ლიკა ლაბაძე, ხალხის გადაწყვეტილებით, ჩვენი პროექტის „ცეკვავენ ვარსკვლავები“ გამარჯვებულები გახდნენ. სამორის დიდი ხნის ოცნება აუსრულდა

გაგრძელება მე-8 გვერდზე